


ISSN 1512-3936

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამშენებლო ფაკულტეტი



№2(45) 2017

სამშენებლო  
უნივერსიტეტი  
სამშენებლო  
ფაკულტეტი



თბილისი 2017

## გ მ ა ბ ე ბ ლ ი ძ ა

მთავარი რედაქტორი – მალხაზ წიქარიშვილი  
მთავარი რედაქტორის

მოადგილები – გელა ყიფიანი  
როინ იმედაძე

დამფუძნებელი  
გიორგი ლალუნდარიძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგის წევრები:

ბაციკაძე თამაზი, გურგენიძე დავითი, დანელია დემური, დრაშვილი  
ფერდინანდი (სლოვაკეთი), ქვიციანი ტარიელი, კოდუა ნოდარი, კლიმიაშვილი  
ლევანი, კუბლაშვილი მურმანი, კუბესკოვა დარია (ჩეხეთი), მახვილაძე რევაზი,  
მემმარიაშვილი ელგუჯა, მიაჩენკოვი ვლადიმერი (რუსეთი), მშვენიერაძე  
ინგუშა, ნადირაძე ანზორი, რაიხიკი იაროსლავი (პოლონეთი), რეკვავა პაპაშა,  
რიპი იანი (პოლანდია), ფრანგიშვილი არჩილი, ჩერნოგოლოვი იგორი  
(რუსეთი), ჩიხლაძე ვლადიმერი, ჩიქოვანი არჩილი, ციხესიმიშვილი ზაური,  
ცხვედაძე რევაზი, ჭოხონელიძე გუგა, ხაზარაძე ომარი, ხმელიძე თამაზი,  
ჯავახიშვილი მარინა.

პასუხისმგებელი მდივანი: თინათინ მალრაძე  
საკონტაქტო ტელ. 65-93; 599-478422

E-mail: [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

ვებ-გვერდი: [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

კომპიუტერული და გრაფიკული უზრუნველყოფა  
ლიკა ლალუნდარიძე

◀ ▶

65-02-500-158422

E-mail: [tinman@mail.ru](mailto:tinman@mail.ru)

[www.sheneha.ge](http://www.sheneha.ge)

**EDITOR-IN-CHIEF:** M. Tsikarishvili

## **DEPUTY EDITORS**

**IN-CHIEF: G. Kipiani;  
R. Imedadze**

**CONSTITUTIVE:  
G. Lagundaridze**

## **MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:**

T. Batsikadze; Chernogolov (Russia); V. Chikladze; A. Chikovani; G. Chkhonelidze; D. Gurgenidze; D. Danelia; F. Drashkovich; M. Javakhishvili; T. Kvitsiani; O. Khazaradze, T. Khmelidze; N. Kodua; L. Klimiashvili; M. Kublashvili; D. Kubeskova (Czech Republic); R. Makhviladze; E. Medzmariashvili; V. Miachenkov (Russia); I. Mshvenieradze; A. Nadiradze; A. Prangishvili; Y. Raichik (Poland); J. Rip (Nederland); P. Rekvava; Z. Tsikhelashvili; R. Tskhvedadze.

## **Responsible secretary T. Magradze**

Tel: 65-93; 599 478422

*E-mail:tinmag@mail.ru*

**Web-site:** [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

*Computer and Program providing:*

L. Lagundaridze

## შინაარსი

რ. მახვილაძე, რ. სიხარულიძე, ლ. ჯოგლიძე, გ. სიხარულიძე. შენობათა სართულებულ გადახურვის ფილები სითბო და ბბმრაბაზმტარობის მაღალი მაჩვენებელების უზრუნველყოფის გზები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა.....	6
ლ. კახიანი, ლ. ბალანჩივაძე, ა. ლეპანიძე. აგამაღლოთ არსებული და ასაშენებელი შენობა-ნაბეჭობების სეისმომედებრება.....	12
შ. ბაქანიძე, ლ. ზამბანიძე, გ. სურგულაძე, გ. შალიტაური. მასალის ეკონომიკის შესაძლებლობა გეგმაში ტეხილდერმიანი შემომზარდლაში კედლის გამოყენებისას .....	16
• . , . , .	
	20
ა. კვარაცხელია, გ. ყიფიანი. ვენოვანი ვირზიტების დინამიკური მდგრადობა.....	23
ლ. უგულავა, გ. რობაქიძე. მსუბუქი დეპორატიული პეტონი .....	29
მ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი, ი. მარლიშვილი. ნერგოეზექტური შენობები და მათი ძირითადი თბოტეზნიკური მახასიათებლები.....	32
თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, გიორგობიანი, გ. ტურაშვილი. სტელკედლიანი ცილინდრის გაანგარიშება ზღვრულ დატვირთვაზე შიგა წნევის პირობებში.....	36
ა. ნადირაძე, ი. შიხაშვილი, დ. გოცაძე, გ. ჭავჭავაძე, ა. ჯანჯლავა. სეტგზის საზონააღმდებო სისტემების დამზადება ზინასწარდაპაპული რპინაპეტონის გომების გამოყენებით.....	39
გ. დანელია. დახრილი ხიმინჯების გაანგარიშება .....	43
ნ. მურდულია, თ. მაღრაძე, კ. იაშვილი, ლ. ყორლანაშვილი. რპინაპეტონი შევსებული ცოლადის მიღის ცენტრალური პუმშვა .....	47
• . = ? ? .	
	52
ნ. ნაკეთაური. ზინასწარდაპაპული რპინაპეტონის გარგასული შენობების საიმპორტო უზრუნველყოფა .....	55
• . , . , . , . , ? .	
	59
გ. ბეგიაშვილი, ნ. მუმლაძე თ. შუბითიძე. პარალელური გადატანის ზედაპირები .....	63
რ. იმედაძე, თ. მაღრაძე, გ. მანჯავიძე, ლ. ბერიძე. არქიტექტურა თუ პონსტრუქცია .....	66
ლ. კახიანი, გ. გურეშიძე, გ. ორაგველიძე. ღუნვადი ელემენტების დახრილი კვეთის სიმტკიცის შემოწმება რპინაპეტონის რჩვევის მექანიზმის მეთოდების გამოყენებით .....	70
A. Гасымова.	
	73
გ. ბეგიაშვილი, გ. ყიფიანი, გ. თოლუა. მიზისპგრის კატასტროფული მოვლენებისაგან ზოგიერთი დაცვითი ღონისძიებები .....	77

ა. საყვარელიძე. ასაპის ბავლენა ბეტონის ბაჯირჯვებაზე .....	86
ლ. ჯანაშვილი, ი. მიქაელი და გ. კოხია. საავტომობილო ბზების დაცვა ღვარცოფული ნაკადებისბან .....	89
შ.ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, ბ. სურგულაძე, ა. ჩხარჩხალია. მრავალსართულიანი შენობების შემომზარბლაზი კედლების კონსტრუქციული ბაზაზევატის საკითხებისათვის .....	94
ლ. ვერულაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, ნ. არეშიძე, ნ. ნაკვეთაური. სამშენებლო საქმეში ბამოყენებული კომანზიტები .....	101
• , . , . , . ( , , , ) ....	103
ზ. კიქნაძე, თ. ტაბატაძე. ზორმათოარმოშმნის თანამედროვე პარადიგმა....	106
ზ. მჭედლიშვილი, ა. ტაბატაძე, ლ. ქრისტესიაშვილი. მაღალ ტემპერატურულ რეზისი მომუშავე ღისკებში ტემპერატურების ბანაზილების ანბარიში .....	110
• . . . . c .....	113
გ. გრძელიშვილი, კ. ჭურაძე, ნ. ოთარაშვილი. ჩალაშისბანაშენიანების რთულ პირობებში ჩაღრმავებული ნაბებობების მშენებლობის ხერხები .....	117
ა. საყვარელიძე. ბეტონის ბაჯირჯვება .....	120
გ. მრისწრავიშვილი, თ. ყიფიანი. სატრანსპორტო ბგირაბების პროექტირების თანამედროვე მიზგომები .....	122
თ. ბაციკაძე, ჯ. ნიუარაძე, რ. გიორგობიანი, გ. ტურაშვილი. შეღბენილი ცილინდრის დრეკად-კლასტიკური მდგრმარეობა ბარე ზევისა და ცვლადი ტემპერატურის პირობებში .....	129
ჯ. სამხარაძე, გ. ჯავახიშვილი. სამართველოს სანედლებულო გაზის ბამოყენებით აპუსტიკურ-დეკორატიული მასალების ტემპოლოგიის დამუშავება და მათი ბამოყენება თანამედროვე ბინათმშენებლობაში.....	134
თ. ჩუბინიძე. მოზაიკური ხელოვნების განვითარების ზოგადი მიზანები.....	138
ნ. თევზაძე, რ. ქლენტი. „მშენებლობისა და არქიტექტურის“ მოდულის შესახებ.....	149
ლ. უგულაძე. სამშენებლო საეციალობის სტუდენტების პრაქტიკის თაობაზე.....	159
მილოცვა .....	161
SUMMARIES.....	164

შეცნობათა სართულშია გადახურვის ფილებში სითბო და  
გბერაბაზმთარობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის  
გზები და მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებულობების  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. ქოსტავას 77, 0175 თბილისი  
საქართველო, შპს „ეკოთბილმშენი“ თბილისი, ტყიბულის ქ. №16)  
რ. მახვილაძე, რ. სიხარულიძე, ლ. ჯოგლიძე, ბ. სიხარულიძე

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია შენობების მაღალი თბოწინაღობის, თბო  
და ბგერაგაუმტარობის მქონე დაბალი მოცულობითი წონის მახალებით  
მოწყობილი სართულშია გადახურვები, რითაც უნდა გაუმჯობესდეს  
როგორც საცხოვრებელი, ასევე სამსახურებრივი დასაქმების გარემო;  
გაანალიზებულია მათი გამოყენებისაგან სოციალურ-ეკონომიკური  
ეფექტურობა შესაბამისი დახვენებითა და რეკომენდაციებით.

**საკვანძო სიტყვები:** რენინაბეტონი, გადახურვის ფილები, პენოპლასტი,  
მსუბუქი ფორმვანი შემავსებლები, მასალის მოცულობითი წონა,  
თბოგამტარობა, თბოწინაღობა, ბგერა-თბოგაუმტარობისა და თბოათვისების  
საანგარიშო კოეფიციენტები.

## 1. შესაბალი

როგორც საცხოვრებელ, ასევე საზოგადოებრივ და სამრეწველო  
დანიშნულების შენობებში ცხოვრებისა და საქმიანობის კომფორტული გარემოს  
შექმნის საჭიროებით კედლებთან და ტიხებთან ერთად სართულშეა  
გადახურვების კონსტრუქციებში თბოწინაღობის, თბო და ბგერაგაუმტარობის  
მაღალი მაჩვენებლების მქონე მასალა-ნაკეთობებისგამოყენებაა საჭირო.  
თვითმსიდიკედლებისა და ტიხების მოწყობისას სასურველია დაბალი  
მოცულობითი წონის მასალების მოხმარება, ხოლო გადახურვის რენინაბეტონის  
კონსტრუქციებში დათბუნების თანამედროვე სერტიფიცირებული მასალების  
გამოყენება, რომლებსაც ასევე თბო და ბგერაგაუმტარობის მაღალი მაჩვენებლები  
გაძინიათ.

თემა საკმაოდ მრავალი სახეობის მასალა-ნაკეთობების გაანალიზებას  
საჭიროებს, რის გამოც მოცემულ სტატიაში აქცენტირებას სართულშეა  
გადახურვის კონსტრუქციებზე ვაკეთებთ.

## 2. ძირითადი ნაწილი

მრავალსართულიანი შენობების დაპროექტება და მშენებლობაც ძირითადად  
მონოლითური რენინაბეტონის კარკასულ კონსტრუქციებში ხორციელდება, რაც  
განპირობებულია მათი მდგრადობისა და ამტანუნარიანობის უზრუნველყოფის  
საჭიროებით. საქართველოში აღნიშნულ მოთხოვნებს ემარტება 8-9 ბალიანი  
სეისმიური პირობების „უზრუნველყოფასთან პნ 01.01-09 „სეისმომედუგი  
მშენებლობა“ დაკავშირებული მოთხოვნები.

რენინაბეტონის მზიდ კონსტრუქციებში (სვეტებში, რიგელებში და  
გადახურვებში) გამოიყენება მძიმე ხრეშოვან შემავსებლებზე დამზადებული  
ბეტონები, რომელთაც მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების II-3-79\*  
სამშენებლო თბოტექნიკა”, დანართები 2 და 3 [1]. მათში მოყვანილი  
მაჩვენებლების მიხედვით ბინებში და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში  
ნორმატიული საექსპლოატაციო პირობების შენარჩუნების საჭიროებით  
აუცილებელი ხდება იატაკების დათბუნება. თუ ზედა და ქვედა ბინებში გათბობის  
სისტემები ჩართული არ არის თქვენი ბინის გათბობის პირობებში სითბოს  
დანაკარგები მნიშვნელოვანი იქნება, მაცხოვრებლებს კი დასჭირდებათ უფრო

მეტი თბოენერგიის მოხმარება. შედეგად დანესტიანდება ჭერიცა და იატაკის შემაღენელი ფენებიც, გაჩნდება კონდენსატი.

აღნიშნული ნორმებისა და მისი 2 და 3 დანართების მიხედვით ბინების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ინდექსი -ს შესაბამისობით რკინაბეტონით მოწყობილ სართულშეა გადახურვებში თბოგამტარობის საანგარიშო კოეფიციენტი პუნქტი 1 სვეტი 8 მიხედვით  $\lambda=2,04 \text{გ/}^{\circ}\text{C}$ , ხოლო 24 საათიანი თბოათვისების გათვალისწინებით საანგარიშოკოეფიციენტი სვეტი 10 მიხედვით  $S=16.95 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ . ორივე კოეფიციენტი არასახარბიელო მაჩვენებლებად ითვლება.

რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციებში გამოიყენება ხელოვანი შემავსებელი, მისი მოცულობითი წონა 2500 კგ/მ<sup>3</sup>-ია, ითვლება ცივ მასალად, რაც ცხადია უარყოფითად აისახება შენობის შიგთავსის თბურ მაჩვენებლებზეც.

თუ რკინაბეტონში გამოყენებული იქნება ფოროვან პეტაზე დამზადებული ბეტონი მოცულობითი წონით 900 კგ/მ<sup>3</sup>, მაშინ ვმსჯელობთ დანართი 3-ის პუნქტი 10-ის სვეტებში 8 და 10-ით,  $\lambda=0,343 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$  და  $S=5,2 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ .

რაც უფრო დაბალია თბოგამტარობის კოეფიციენტი გადახურვები უფრო მეტად ბგერაგაუმტარიცაა, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია სამეზობლო ურთიერთობებში. ეს ნიშნავს, რომ დამთბარი ბინის იატაკიდან და ჭერიდან ნაკლები სითბო გაედინება ქვედა და ზედა მეზობლების სათავსებში. ასევე თუ კედლებიც საიმედო მასალითაა ამოშენებული ბინა ინარჩუნებს ჩართული გათბობის სისტემით დაგროვილ ტემპერატურას. სხვა შემთხვევაში კედლები და ჭერი ნებტიანდება ჩნდება კონდენსატი.

შიდა კომფორტის უზრუნველყოფის საჭიროებით იყენებენ თბოსაიზოლაციო მასალებს. სართულშეა გადახურვებში ტრადიციულად გამოიყენება ნაყარი ფოროვანი მასალები, მათ შორისაა კერამზიტი და პეტოს ხელოვანი სხვადასხვა მოცულობითი წონით, რაც უფრო დაბალია მოცულობითი წონები, მით უკეთესია მათი თბო, ასევე ბგერასაიზოლაციო მაჩვენებლებიც.


მაგალითად კერამზიტის შემთხვევაში მოცულობითი წონით 800 კგ/მ<sup>3</sup> იმავე 3 დანართის პუნქტში 158 მიხედვით  $\lambda=0,23 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}, S=3,6 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ , ხოლო მოცულობითი წონით 200 კგ/მ<sup>3</sup> (იხ. პუნქტი 162)  $\lambda=0,123 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$  და  $S=1,303 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ . ფოროვანი პეტოს შემთხვევაში მოცულობითი წონით 800 კგ/მ<sup>3</sup> (პუნქტი 166)  $\lambda=0,263 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}, S=3,83 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ . ხოლო მოცულობითი წონით 400 კგ/მ<sup>3</sup>  $\lambda=0,16 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}, S=2,12 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$ . (პუნქტი 168).

სამწუხაოდ პრაქტიკაში მშენებლობებზე საავტორო და ტექნიკასედველობის უურადებების შედეგად ვაიმშენებლები გრანულოვანი კერამზიტისა და ხელოვანი პეტოს ნაცვლად უპირატესად იყენებენ ვულკანური წილის, პეტის, შენობების დემონტაჟისაგან ნაშალი აგურისაგან დამზადებულ ფხვნილებს, რომლითაც გაჯერებულია თბილისის, ხაშურისა და სხვა ქალაქების სამშენებლო მასალების ბაზრები. ასეთი ფხვნილი იყრება გადახურვის ფილაზზე, სწორდება 6-8 სმ სისქეზე, ზემოდან 2-3 სმ სისქით ეწყობა ცემენტ-ქიშოვანი ხსნარით მომასწორებელი ფენა, ბოლოს კი იგება სუფთა იატაკი.

საპროექტო მდგომარეობაში თბოსაიზოლაციოდ გამოიყენებული ფხვნილი ძირეულად ცვლის კერამზიტის, პეტის და სხვა ფოროვანი მასალების თბოგამტარობის მაჩვენებლებს, უახლოვდება ქვიშისას მოცულობით წონამდე 1600 კგ/მ<sup>3</sup> (იხ. პუნქტი 174), რაც ორჯერ ან მეტად აუარესებს თბოგამტარობისა  $\lambda=0,58 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$  და 24 საათიან პერიოდზე თბოათვისების  $S=7,91 \text{ ვტ/}^{\circ}\text{C}$  საანგარიშო კოეფიციენტების მაჩვენებლებს.

ნაშრომის გარშემო მასალების შეგროვების პროცესში მსუბუქი გადახურვების კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მოძიებისას, ჩვენსა და უცხოურ სამეცნიერო წყაროებში ათობით საინტერესო მოსაზრებას გავეცანით

კომბინირებულ რამდენიმე 2-3 ფენისაგან შედგენილ სართულშეა გადახურვის ფილოვან კონსტრუქციებზე, რომელთაგან შეა ფენები ანალოგიურად სახურავის სენდვიჩ-პანელებისა პენოპლასტის მსგავსია. მათ შორის საქართველოს ინტელექტუარი საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართვენტი“ 2014 წლის 27 ოქტომბერს სტატიის ერთ-ერთი ავტორის ბატონ რევაზ სიხარულიძის დაპატენტებული გამოგონება „ასაწყობ-მონოლითური გადახურვა“ [4] მათ შორის გამოირჩევა ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების აწყობადობის სიმარტივით. მათი გამოყენებით შენდება რამდენიმე ობიექტი თბილისა და ბაკურიანში. ფოტოსურათებზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, კრწანისში, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პროცესი.




სურ. 1 მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლზე სართულშეა გადახურვის მოწყობის დადამასრულებელი ეტაპი - ზედა რკინაბეტონის მოწყობის სამუშაოები


სურ. 2 სართულშეა გადახურვის ქვეშა დამჭერი საყალიბე ძელები ტელესკოპიური დგარები

დაინტერესებული პიროვნება თავად უნდა გაეცნოს პატენტის შინაარს. მოკლე აღწერილობით მისი სამშენებლო ხიბლი მდგომარეობს შემდეგში:

- მონოლითურ რკინაბეტონის კარგასში სვეტების ამოყვანის შემდეგ გარე კონტურისა და შიდა, გრძივი მიმართულებით სვეტების გასწვრივ რიგელების მოწყობის საჭიროებითა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობით ეწყობა არმატურის კარგასები, ცხადია მათ ქვეშ სვეტებს შორის რიგელის ძირის მთელ სიგანეზე უნდა გაიდოს საყალიბე ქარგილებიც, ასევე ქარგილები მაგრავება რიგელების კვეთის გვერდებზეც სიმაღლის ქვედა ნაწილებზე გადახურვის ზედაპირის დონიდან 23 სმ სიმაღლის დია მდგომარეობაში შენარჩუნებით, იხილეთ სურათი 3;
- მეორე ეტაპია რიგელების ძირის დაბეტონება მოწყობილი ყალიბის საყალიბე გვერდულების სიმაღლეზე მონიშნულ დონემდე;
- მესამე ეტაპია გრძივად განლაგებული რიგელების უკვე დაბეტონებულ ქვედა თაროებში წინასწარ დამზადებული რკინაბეტონის ძელების (ტრიგონების) შეწყობა (ნახაზი 3) ბიჯით 60-60 სმ;
- მეოთხე ეტაპია ძელ-ტრიგონებს შორის 60სმ ბიჯში ასევე წინასწარ გამზადებული რკინაბეტონის ძირისა და მასში ჩასმული 14 სმ სისქის პენოპლასტით ამოვსებული ბლოკების ჩაწყობა, იხილეთ ნახაზი 4;
- მეხუთე ეტაპია წინა მიმდევრობით ჩაწყობილი ძელ-ტრიგონებისა და გადახურვის პენოპლასტით ამოვსებული ბლოკების არმატურის ბადეებით დაფარვა და ერთიანობაშივე დაბეტონება, რაც კარგად ჩანს ფოტოზე №1.



სურ 3 სართულშეუბნის გადახურვის კონსტრუქცია დასრულებულ მდგომარეობაში: 1 - რიგელების დაბეტონებული ქვედა თაროში არმატურის დაუბეტონებელ კარგასში შეწყობის წინ ძელ-ტრიგორების 4 სმ სისქეზე დაბეტონებული ფუძე, 2 - ძელ-ტრიგორების დაუბეტონებელი არმატურის კარგასის ამოშვერილი ნაწილი, 3 - პენოპლასტით ამოვსებული რკინაბეტონის ფუძე-კოლოფი ძელ-ტრიგორებზე ჩამოსადები თაროებით, 4 - სართულშეუბნის გადახურვის მოწყობის დამასრულებელი ეტაპი – 2 და 3 პოზიციების თავზე ეწყობა არმატურის ბადეები და ბეტონით ივსება ძელ-ტრიგორების სივრცე სიღმეში, პოზიცია 2 და გადახურვის მთლიან ფართობზე პოზიცია 3 და ბეტონით სწორდება დაარმატურებული ზედაპირი მეხუთე ეტაპის სამუშაოები მოიცავს რიგელებისა და ძელ-ტრიგორების დაუბეტონებელი ნაწილების ამოვსებასა და გადახურვის ფილის ფორმირებას ერთიანი რკინაბეტონის ზედაპირით იხილეთ ფოტო 1.



სურ. 4 პენოპლასტით და რკინაბეტონის ფუძით შედგენილი გადახურვის ბლოკები ზომით 47X47 სმ, სიმაღლით 14 სმ: 1 - რკინაბეტონის ფუძე ორმხრივი ჩამოსადები თაროებით; 2 - პენოპლასტი

ასეთი ფენობრივი თანამიმდევრობით გადახურვების მოწყობისას ნახევრად მცირდება რკინაბეტონით შედგენილი ფილის სისქე 18 სმ-დან 9 სმ-დან (იხილეთ სურათი 3), შესაბამისად მისი საკუთარი წონაც  $1\text{D}^2\text{-}\mathbf{\Phi} = 1\text{X}1\text{X}2,5\text{X}0,09=0,225$  ტონით, რაც სვეტების ბადის  $6\text{X}6$  მეტრზე შემთხვევაში სვეტზე გადაცემული მუდმივ დატვირთვებში შეადგენს  $6\text{X}6\text{X}0,225=8,1$  ტონას, ხოლო 10 სართულიანი შენობის შემთხვევაში ერთ საძირკველზე ვერტიკალურ ძალას 81 ტონა აკლდება. ასევე თუ გრძივი და განივი რიგელები ტრადიციული ვარიანტით მიღებული იყო კვეთებით 40X60 სმ, გამოგონებით შესაძლებელია მათი შემცირება 50 ან 40 სმ-

მდე გადახურვებისაგან მათზე გადაცემულ შემცირებული დატვირთვების გამო, ასევე ნაკლები იქნება მოთხოვნილება საყალიბო შეფიცვრაზეც რიგელებისა და ფილების ფორმირების პერიოდში, იხილეთ ფოტო 2.

უფრო მნიშვნელოვანია თბოგამტარობის მაჩვენებლები, რომელიც დანართი 3 მიხედვით პოზიციები 142-149 პოლიმერული მასალების გამოყენების შემთხვევაში შეადგენს: პენოპოლისტიროლზე სამი სტანდარტის მიხედვით=0,05-0,06 ვტ/მ<sup>0</sup>C; პენოპლასტის ორ სტანდარტზე  $\lambda=0,052-0,064$  ვტ/მ<sup>0</sup>C; პენოპოლიურეტანის სამ სტანდარტზე  $\lambda=0,04-0,05$  ვტ/მ<sup>0</sup>C.

აღნიშნული მაჩვენებლები 1979 წლის მასალებზეა გაანგარიშებული მას შემდეგ 30 წლზე მეტია გასული და უკეთესი მაჩვენებლების მქონე მსუბუქი მასალებიცაა შექმნილი, რომელთა გამოყენებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენს მოსაზრებებს.

აღნიშნულს წინა გვერდებზე მოცემული ფხვნილოვან წილასთან შედარებით  $\lambda=0,58$  ვტ/მ<sup>0</sup>C ათჯერ უკეთესი თბოგაუმტარობის მაჩვენებლები გააჩნია და რაც მთავარია მისი დაყრა იატაკზე აღარ იქნება საჭირო, ანუ გადახურვებისაგან 1 მ<sup>2</sup> ფართობზეც მცირდება დატვირთვები 1X1X0,08X1,6=0,13 ტონით, სვეტების 6X6 მეტრ ბადეზე 0,13X6X6=4,68 ტონით, რაც შუა სვეტზე გადატანილი დატვირთვის ტოლფასია.

ცხადია თბოგამტარობის კოეფიციენტის სიდიდის დადგენაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს დამათბუნებელი მასალის სისქეც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყველა მათგანი თანაბარ პირობებშია განხილული.

ასევე მსუბუქი მასალების გამოყენებით მიიღწევა ბგერაგამტარობის შემცირების ეფექტიც. ორივე თბოგამტარობისა და ბგერაგამტარობის მაჩვენებლების გაუმჯობესება სამეზობლო თანაცხოვრებაში სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს – აღარ ან ნაკლებად შემაწუხებელი გახდება ხმაურის ფონი.

ზემოთ გაანალიზებული ფაქტობრივი მასალისა და მოსაზრებების საფუძველზე თვალსაჩინოა ფულადი და შრომითი დანახარჯების მიხედვით ეკონომიკური ეფექტიც. გამოგონებელი ბატონი რევაზ სიხარულიდე საუბარში მორიდებით 20%-ის ფარგლებს ჯერდება და დაინტერესებულ პირებს ურჩევს თვითონ მოახდინონ გაანგარიშება. ჩვენც არ დავარღვეთ მომხმარებლის ინტერესს და მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით.

როგორც წინა გვერდებზე აღინიშნა მონოლითურ-ასაწყობ კარკასში გამოგონების მიხედვით საკმარისია მოეწყოს რიგელები კონტურზე კარკასის ოთხმხრივი შეკვრით და გრძივი მიმართულებით, განივად კი მხოლოდ კიდეებში და კიბის უჯრედშია მათი მოწყობა საჭირო.

ტრადიციულად შედგენილ კონსტრუქციულ დოკუმენტაციაში 8 ბალიანი სეისმური პირობების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭება სვეტებს შორის ორივე მიმართულებით რიგელების მოწყობას.

განვიხილოთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთი სართული ზომებით გეგმაში 18X43,2 მეტრი, სვეტების გრძივი ბიჯი 6,6-6,6 მეტრი, კიბის უჯრედში 3,6 მეტრი, განივი ბიჯი 6-6 მეტრია, ერთი სართულის ფართობი იქნება 18X43,2=806 მ<sup>2</sup>.

ტრადიციულ ვარიანტში გრძივი და განივი რიგელების კვეთი მივიღოთ 40X60 სმ, მათი მთლიანი სიგრძე ირივე მიმართულებით შეადგენს 43,2X4+18X8=316,8 გრძივ მეტრს. მოთხოვნილება ბეტონზე იქნება 316,8X0,4X0,6=76,03 მ<sup>3</sup>, მოთხოვნილება არმატურაზე თუ მისი შეცულობა 1 მ<sup>3</sup> ბეტონში 140 კგ-ია - 76,03X140=10644 კგ=10,64 ტონა.

გამოგონების მიხედვით განხილულ ვარიანტში კონტურული და კიბის უჯრედში გათვალისწინებული რიგელების კვეთი მივიღოთ 40X50 სმ, მათი

მთლიანი სიგრძე 196,8 გრძივი მეტრია, მოთხოვნილება ბეტონზე  $196,8 \times 0,4 \times 0,5 = 39,36$  მ<sup>3</sup>, არმატურის ხარჯი  $39,36 \times 140 = 5510$  კგ = 5,51 ტონა.

ორივე ვარიანტის მონაცემების შედარებით მასალებზე მოთხოვნილება განახევრებულია.

ასევე განვიხილოთ კარკასის მდგრადფობის უზრუნველყოფის საკითხიც, რაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით სეისმურად აქტიურ 7-8 ბალიან რაიონებში. განხილულ ვარიანტში ტრადიციულთან შედარებით სვეტებს შორის განვი მიმართულების რიგელები 60-60 სმ ბიჯით ჩანაცვლებულია ძელ-ტრიგონებით კვეთებით 13X23 (h) სმ, სურათი 3, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით რკინაბეტონის წიბოებს წარმოადგენენ და მცირე ბიჯის გამო უფრო მეტ სივრცით სიხისტეს ანიჭებენ შენობას. კიბის უჯრედის კედლებშიც შესაძლებელია განვი რიგელების ჩანაცვლება დიაფრაგმული კედლებით. გრძივი მიმართულებით დიაფრაგმული ორი კედლის გათვალისწინება კი დამპროექტებლების პრეროგატივაა.

### 3. დასპპნა

წარმოდგენილ ნაშრომში საინჟინრო-კონსტრუქციული და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ წარმოდგენილი რკინაბეტონის მონოლითურ-ასაწყობი კარკასის გამოყენებით გადახურვის კონსტრუქციებში უმჯობესდება ბეტონი და თბოსაიზოლაციო მაჩვენებლები, რაც დადგებითად უნდა აისახოს მრავალსართულიან შენობებში მოსახლეობის სამეზობლო კეთილდღეობაზე უხმაური გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფით.

ასევე თვალსაჩინოა ეკონომიკური ეფექტიც. მცირდება და თითქმის ნახევრდება ძირითადი სამშენებლო მასალების არმატურისა და ბეტონის შესასყიდი ხარჯები, შესაბამისად შრომითი დანახარჯებიც შენობის კარკასის ამოვგანაზე.

მნიშვნელოვნად კლებულობს შენობის საკუთარი წონაც და შესაბამისად გრუნტზე დაწოლის სიდიდეც, რაც ასევე დადგებითად იმოქმედებს მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის დირებულებაზე.

### ლიტერატურა

- 1) II-3-79\*. ., 1982.
- 2) ნ. ვერულავა, რ. მახვილაძე – საქართველოში მშენებლობის სფეროში ენერგოდამზოგველობის ამაღლების პრობლემის მოკლე ანალიზი, მოსაზრებები და წინადადებები, სამეცნიერო-ტექნიკური ურნალი „ენერგია“, №3-4 (43-44), თბილისი 2007, გვ 43-51;
- 3) რ. მახვილაძე, ლ. ჯოგლიძე შენობათა შემომზღვდავ კონსტრუქციებში სითბო და ბეტონის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის გზები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა, სამეცნიერო-ტექნიკური ურნალი „მშენებლობა“ №2 (41), თბილისი 2016, გვ 63-68.
- 4) რ. სიხარულიძე „ასაწყობ-მონოლითური გადახურვა“ საქართველოს მიერ 2014 წლის 27 ოქტომბერს გაცემული პატენტი.

აგამაღლოთ არსებული და ასაშენებელი შენობა-ნაგებობების  
სეისმომედებრები  
ლ. კახიანი, ლ. ბალანჩივაძე, ა. ლებანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია საკითხები, რომელიც ეხება  
არსებული და ასაშენებელი შენობა-ნაგებობების სეისმომედებრების  
ამაღლებას სეისმოდამცავი სისტემების გამოყენებით. განხილულია  
არსებული სეისმოდამცავი სისტემები, მათი მოწყობისა და გაანგარიშების  
თავისებურებები, შემოთავაზებულია მშენებლობაში მათი დანერგვის  
საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** სეისმომედებრები, კონსტრუქციები, სიხილე,  
სეისმოდამცავი სისტემები, სიმტკიცე, დეფორმაცია.

## 1. შესავალი

ლიტერატურიდან ცნობილია [1],[2], რომ მშენებლობის ისტორია მოიცავს დიდი  
რაოდენობის მონაცემებს შენობების რდგევის შესახებ, რომელიც გამოწვეულია  
ნაგებობის რხევებით, მდგრადობის დაკარგვით, რაც მიანიშნებს ნაგებობის  
დინამიკური გაანგარიშების არასრულყოფაზე.


თანამედროვე მშენებლობაში დღეისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენს  
კარგასული შენობები, როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე საზღვარგარეთ, რომელთა  
სეისმუსაფრთხოება განაირობებულია არსებული ნორმატიული მასალების  
შედეგად ჩატარებულ გაანგარიშებებზე, ანტისეისმური დონისძიებების  
გათვალისწინებაზე და სხვა.

## 2. ძირითადი ნაშილი

შენობა-ნაგებობების სეისმომედეგობის პრობლემა მეტად აქტუალურია და  
მნიშვნელოვანი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის რეგიონისა და ქალაქისათვის,  
რომლებიც განლაგებულია სეისმურად აქტიურ ზონებში. საქართველოს  
ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმურად აქტიური რეგიონის შემადგენელი  
ნაწილი, განეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის სეისმურ სარტყელს [2].  
ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს და მის მიმდებარე  
ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ისტორიულ წარსულში ადგილი პქნდა  
საკმაოდ დიდი სიმძლავრის მიწისძვრებს. ბოლო 50 წლის განმავლობაში  
აღნიშნულმა რეგიონმა 20-ჯერ და მეტჯერ განიცადა ძლიერი, ინტენსივობის 7-9  
ბალის სიმძლავრის მიწისძვრა, რომელმაც დიდი მატერიალური ზარალი და  
ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია, დაინგრა მრავალი შენობა. შენობათა  
დანგრევის მიზეზს წარმოადგენდა მათი საანგარიშო და გაანგარიშებებში  
კონსტრუქციების ფაქტიური დეფორმაციების არ გათვალისწინება.  
კონსტრუქციების დეფორმაციაზე დიდ გავლენას ახდენს მიწისძვრის ციკლური და  
ნიშანულადი ზემოქმედება, ასევე მასალათა მექანიკური მახასიათებლების  
ცვლილებები, რაც თავის მხრივ ცვლის ბზარწარმოქმნისა და ზღვრული  
მდგომარეობის ხასიათს, მივყევარო ელემენტის სიხისტის კლებამდე და  
მოლიანად შენობის საანგარიშო სქემის ცვლილებამდე.

მიუხედავად მრავალი ქვეყნის მეცნიერების მიერ მნიშვნელოვანი  
რაოდენობის კვლევებისა, რომელიც სეისმომედები მშენებლობის ცენტრებში  
მიმდინარეობს, პრობლემა არ არის საკმარისად შესწავლილი.


საქართველოს სეისმური დარაიონების რუქა (ნახ.1), რომელზედაც კარგად არის ასახული რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ჩვენს ტერიტორიას მიწისძვრისას.



ნახ.1. სეისმური რუქა

სეისმომედეგობაზე სეისმოდამცავი სისტემების გამოყენებით გაანგარიშების ისტორია იწყება მე-19 საუკუნის ბოლოდან, როდესაც პირველად 1930 წელს გამოქვეყნდა ცნობები ნაგებობების სეისმოზოლაციის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იყო მოქნილი პირველი სართულის ან სარდაფის გამოყენებაზე. მკლევარები თვლიდნენ, რომ მოქნილი შენობის სეისმური რეაქცია ნაკლები უნდა ყოფილიყო ნისტი შენობის სეისმურ რეაქციაზე, რადგან მოქნილი შენობის თავისუფალი რეევის პერიოდი დიდია, ანგარიშში მიიღება დინამიური კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობა, რაც ამცირებს სეისმური მაღის სიდიდეს [1], ამ კვლევებზე დაყრდნობით აშშ იღებენ გადაწვევილებას მოქნილი პირველი სართულის მქონე შენობების მასიურ მშენებლობას.

მოქნილი პირველი სართულის შემთხვევაში გვაქვს მოქნილი ჩარჩო პირველ სართულზე, ხოლო შენობის ზედა ნაწილი წარმოადგენს ნისტ კონსტრუქციას. პირველი სართულის მოქნილობის მისაღწევად ჩარჩოს ელემენტები კეთდება მცირე განიკვეთის, ზედა ნაწილი საკმაოდ ნისტია, ამიტომ დეფორმაცია მცირეა და გაანგარიშებისას მისი სიდიდე შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ [2].




ნახ.2 მოქნილი პირველი სართულის მქონე შენობა

შენობათა სეისმოდაცვის თანამედროვე სისტემის შექმნა სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როცა გამოქვეყნდა 1925 წელს ვისკორდინის წინადადგება ნაგებობის სარდაფში სფერული დაბოლოების ელემენტის გამოყენების შესახებ. მისი აზრით

ასეთი კონსტრუქცია მნიშვნელოვნად შეამცირებდა მიწისძვრის დროს აღძვრულ ინერციის ძალებს.

იმ პერიოდისათვის ნაგებობათა სეისმოდაცვა ემყარებოდა კონსტრუქციათა მზიდუნარიანობის გაზრდას, რაც დაკავშირებული იყო მასალის დიდ ხარჯთან, დღეისათვის იგი ნაკლებად პოპულარულია. თანამედროვე მშენებლობაში ხშირად გამოიყენება სისტემები, რომლებიც ამცირებენ გრუნტისაგან ნაგებობაზე გადმოცემულ სეისმურ აჩქარებას. ასეთი სისტემები აქტიური სეისმოდამცავი საშუალებებია და იყოფა რამდენიმე ჯგუფად: სეისმოზოლაციური სისტემები, ადაპტაციური სისტემები, დემპფერული სისტემები, სისტემები რხევის ჩახშობის გამოყენებით და აქტიური კომბინირებული სისტემები [5].

აქტიური სეისმოდამცავი სისტემებით ნაგებობის სეისმომედეგობის უზრუნველყოფის მეორედის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნაგებობაში ან საძირკველზე სხვადასხვა სპეციალური სისტემების და კონსტრუქციების მოწყობის გზით ხორციელდება მათზე მოსული სეისმური ზემოქმედების ინგენიორობის შემცირება. ასეთი სეისმოდამცავი კონსტრუქცია არის რეზინალითონის დემპფერი, რომელიც განთავსებულია საძირკველსა და ნაგებობას შორის [6].



ნახ.3. რეზინალითონის დემპფერი

ნახ.4. შენობაში რხევის ჩახშობა მიწისძვრის დროს სეისმოზოლაციის სისტემის გამოყენებით.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აქტიური სეისმოდაცვის საშუალებები ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია ნაგებობის სეისმური ზემოქმედების ორსამჯერ შემცირება, რაც საშუალებას იძლევა გაანგარიშება ჩატარდეს ერთი ბალით ნაკლებ სისტემაზე ზემოქმედებაზე. სეისმომედეგობაზე გაანგარიშებისას ბოლო დროს ფართოდ გამოიყენება ორი სტრატეგიული მიმართულება - სეისმომედეგი შენობების “პასიური დარეგულირება” ენერგიის გაბნევა და სეისმოზოლაცია. სტრატეგია ენერგიის გაბნევისა მდგომარეობს იმაში, რომ კონსტრუქციის სისტემაში განთავსდება სპეციალურად დაპროექტებული ენერგიის გაბნევის ელემენტები. ნაგებობის დინამიური რხევისას ეს ელემენტები შეიძლება იყოს ლითონის კავშირების სახით, რომელიც დამაგრებულია ნაგებობაზე და მუშაობს მასთან ერთად პარალელურად. ასევე ენერგიის განბნევისათვის გამოყენებულია პიდრავლიკური ბლანტი დემპფერები (რხევის ჩახშობები) და სხვა.

სეისმოზოლაცია, რომელიც როგორც წესი განთავსებულია საძირკველსა და მიწისზედა ნაგებობის ნაწილს შორის, ახდენს გრუნტისა და ნაგებობის გადადგილებებისა და რხევების განცალკევებას. აქედან გამომდინარე ნაგებობა იყოფა ორ ნაწილად: საძირკველი, რომელიც სისტად არის შეერთებული გრუნტთან და მიწისზედა ნაწილი ნაგებობისა, რომელიც მოქნილად არის შეერთებული საძირკველთან. ისინი განცალკევებული არიან საიზოლაციო ნაკერით, რომელშიაც თავსდება საიზოლაციო ელემენტი [6].

სეისმოზოლაციის სისტემა ხასიათდება შედარებით დაბალი სიხისტით პორიზონტალური მიმართულებით და მაღალი ვერტიკალური სიხისტით.

შენობა-ნაგებობის გაანგარიშებისას შეიძლება რეალიზებული იყოს ორი სტრატეგია:

ნაგებობის საკუთარი რხევის პერიოდის გაზრდა და ერთდროულად რხევის ჩახშობის გაზრდა.

პირველ სტატიაში წრფივი დრეკად-პლასტიკური მოწყობა გამოიყენება ნაგებობის ძირითადი რხევის პერიოდის გაზრდისათვის, რაც მაქსიმალურად შეამცირებს საექტრულ აჩქარებას, რომელიც მოქმედებს ნაგებობის მასაზე. აჩქარების რეაქციის საექტრი სხვადასხვა სახის გრუნტებისათვის სხვადასხვა. სეისმური თავისებურებები [2] გვიჩვენებენ, რომ პერიოდის ყველაზე დიდი მნიშვნელობა  $0,2g \div 0,8g$ -მდე ზღვრებში ხდება, სწორედ 10 სართულამდე შენობების დიდი რაოდენობა ამ ზღვრებშია.

აჩქარების რეაქციის საექტრის სწრაფი შემცირება უფრო მაღალი პერიოდის მნიშვნელობისას, პერიოდისათვის სიდიდით  $2 \div 4$ -მდე, საექტრული აჩქარება შეიძლება იყოს  $2 \div 3$ -ჯერ ნაკლები, ვიდრე ზემოთადნიშნული, მეორეს მხრივ გადაადგილების რეაქციის საექტრი იზრდება რხევის პერიოდის გაზრდისას და მიაღწევს იზოლირებული ნაგებობის ანალოგიურ პერიოდს. სეისმოიზოლაციის სისტემის გამოყენებისას მიწისძვრის დროს ძირითადი გადაადგილება ხდება იზოლაციის სისტემის დონეზე, ნაგებობის გადაადგილება არის შეზღუდული. სეისმოიზოლაციის ზემოთ ნაგებობის ნაწილი პრაქტიკულად იქცევა როგორც მყარი ტანი.

### 3. დასპეციალური დანართები

ენერგეტიკული მიღებომა გვიჩვენებს, რომ ენერგიის დიდი ნაწილი თავმოყრილია ნაგებობის საძირკველში და განიბნევა იზოლაციის სისტემაში. ამგვარად, სეისმოიზოლაცია იცავს კონსტრუქციის ელემენტებს მოსალოდნელი რღვევის დეფორმაციისაგან. იზოლაციის სისტემის ენერგიის განბნევის თვისება გამოყენებულია საძირკვლის გადაადგილების შესამცირებლად.

მიწისზედა ნაწილში ეფექტების შემცირება ხდება პორიზონტალური სეისმური ძალის შეზღუდვის ხარჯზე. შემოთავაზებული სეისმოიზოლაცია ფართოდ უნდა დაინერგოს, როგორც ასალი შენობა-ნაგებობების აგებისას, ასევე არსებული შენობების სეისმომედეგობის ამაღლების და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

### ლიტერატურა

1. . - , 2012, .279.
2. . - , 2002, .322.
3. ლ.კახიანი, მ.მარჯანიშვილი-მრავალსართულიანი არასიმეტ-რიული შენობების გაანგარიშება სეისმიურ ზემოქმედებაზე სიმპოზიუმი „სეისმომედეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია“ სამშენებლო მექანიკის უურნალი, თბილისი, 2000წ., გვ.4.
4. ლ. კახიანი ლ. მახვილაძე, გ. ნიურაძე, მსხვილბლოკური საცხოვრებელი სახლების სეისმომედეგობის ამაღ-ლების ტექნოლოგიური გადაწყვეტა. საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის უურნალი, 1(22) თბილისი 2010, გვ.6.
5. ლ. კახიანი, ი.სალაძე, ა.ლებანიძე, ლ.ბალანჩივაძე, რკინაბეტონის მაღლივი კარკასული შენობის სეის-მოქმედეგობის უზრუნველყოფა სეისმოიზოლაციის სისტემების გამოყენებით, სამეცნიერო-ტექნიკური უურნალი “მშენებლობა”, №4(27), 2012, გვ.13-139;
6. ლ.კახიანი, ი.სალაძე, სეისმოიზოლაციის მქონე კარკასული შენობის გამარტივებული წრფივი გაანგარიშების მეთოდი – სამეცნიერო-ტექნიკური უურნალი “მშენებლობა” №2(29), 2013, გვ.124.

## მასალის ეპონომის შესაძლებლობა გებმაში ფეხილერძიანი შემომვარბლავი კედლის ბამოზენებისას

შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, ბ. სურგულაძე, გ. შალიტაური  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
მ. კოსტავას 77)

**რეზიუმე:** უკარკასო კონსტრუქციული გადაწყვეტისას, შენობა-ნაგებობების შემომფარგლავ კედლებს, პორიზონტალურ დატვირთვებზე მუშაობისას, მოეთხოვებათ გარკვეული სიხისტე მათ მართობ სიბრტყეში. აღნიშნულ ამოცანას უფრო ეფექტურად ასრულებენ არა ლენტური, არამედ რთულპრო ფილურზედაპირიანი (ტეხნიკი, ტალღოვანი, გოფრირებული და სხვ) კედლები.

ნაშრომში განხილულია ტეხნიკური კედლები და დასაბუთებულია მასალის ეკონომის შესაძლებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** შემომფარგლავი, ლენტური, ტეხნიკური კედლები, ინერციის მომენტი, განიკვეთის ფართობი, მასალის ხარჯი, მასალის ეკონომია.

### 1. შესავალი

როგორც წესი, შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავ კედლებს ასრულებენ გეგმაში წრფივი დერძებით, ანუ ლენტურს. შენობის უკარკასო, გრძივი მზიდვედლიანი კონსტრუქციული გადაწყვეტის შემთხვევაში, მათზე პორიზონტალური ძალების (ქარი, სეისმური დატვირთვა) მოქმედებისას, მნიშვნელოვანია აღნიშნული კედლების სიხისტე მათ მართობ სიბრტყეში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, ლენტურის ნაცვლად, კედლების რთულპროფილურზედაპირიანი კონსტრუქციული გადაწყვეტა [1,2], რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ სიხისტეს კედლების მართობ სიბრტყეში კვეთის ინერციის მომენტის ამაღლების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, მართალია, მცირეოდენ გაიზრდება კედლის საერთო სისქე, მაგრამ იქმნება მასალის (უმეტესწილად-მძიმე ბეტონის) ეკონომის შესაძლებლობა.


რთულპროფილური კედლების ზედაპირებზე წარმოქმნილი „უბეების“ გამოყენება

შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებით: მოსაპირკეთებელი ფილების მიმართ დანიშნულება, თბოსაიზოლაციო მასალის განთავსება, ვენტილირებადი ფასადის არხების მოწყობა და სხვ.

ნაშრომში ამ თვალსაზრისით განხილულია შემომფარგლავი კედლების რთულპროფილურზედაპირიანი კონსტრუქციული გადაწყვეტის ერთ-ერთი ტიპი, კერძოდ- ტეხნიკური კედლები.


### 2. ძირითადი ნაწილი

გაანგარიშებები, როგორც წესი, სრულდება შემომფარგლავი კედლის 1 გრძივი მეტრისათვის. განვიხილოთ ლენტური კედლი სიგანით  $b$  (ნახ.1). მისი განივალების ფართობია  $S_{\text{ლ}} = 100 \text{ b}$  ( $\text{b}^2$ ), ხოლო კვეთის ინერციის მომენტი  $x-x$  დერძის მიმართ (ანუ კედლის მართობ სიბრტყეში)  $I_{\text{ლ}} = \frac{100 b^3}{12} = 8.333 b^3$  ( $\text{b}^4$ );



ნახ.1 ლენტური კედლის განვის ურავმენტი

ლენტური კედელი შევცვალოთ ტოლი ინერციის მომენტის მქონე ტეხილდერძიანი კედლით, სიგრძით  $c$  [3] (ნახ.2).



ნახ.2 ტეხილდერძიანი კედლი (კედლის სიგრძე 0.5c)  
ა). კედლის გეგმის მიხატვით;  
ბ). კედლის გეგმის სიგრძი

კედლის ნაწილი სიგრძით  $d$  შედგება ორი მართვულთხა სამკუთხედისაგან (ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან კედლის გრძივი დერძით). კვეთის ინერციის მომენტები: (იგი შედგება ორი მართვულთხა სამკუთხედისაგან) 1 სამკუთხედის ( $X_1$  დერძის მიმართ)  $I_1 = \frac{d(\frac{c}{2})^3}{36} = \frac{dc^3}{288}$  ( $\text{სმ}^4$ );

$$\text{კედლის ნაწილის - სიგრძით } d: \quad I_d = 2 \frac{dc^3}{288} + 2 \left[ \frac{d}{2} \cdot \left( \frac{c}{3} \right)^2 \right] \approx 0.0208 dc^3 \text{ ( } \text{სმ}^4 \text{)}$$

ტეხილდერძიანი კედლის 1 გრძივი მეტრის:  $I_g = \frac{100}{d} \cdot I_d = \frac{100 \cdot 0.0208 dc^3}{d} = 2.08 C^3$  (  $\text{სმ}^4$  ).

მოცემული (ლენტური) და შემოთავაზებული (ტეხილდერძიანი) კედლების კვეთების ინერციის მომენტების ტოლობიდან ( $I_{\text{ლ}} = I_g$ ) განვსაზღვროთ ტეხილდერძიანი კედლის სისქე:  $8.333 b^3 = 2.08 C^3$


საიდანაც  $C=1.59b$  და  $0.5C=0.795b$

განსახილველი კედლები შევადაროთ ერთმანეთთან მასალის (ბეტონის) ხარჯის, ანუ მათი ფართობების მიხედვით:  $S_{\text{ლ}}=100b; S_g=0.5C \cdot 100=0.5 \cdot 1.59 \cdot 100=79.5 \text{ b}$

ლენტური კედლების ნაცვლად ტეხილდერძიანი კონსტრუქციული გადაწყვეტის შემთხვევაში მასალის ეკონომია შეადგენს  $\frac{100-79.5}{100} \cdot 100 = 20.5 \%$

ტეხილდერძიანი კედლის ზემოთ განხილული კონსტრუქციული გადაწყვეტის დროს “კბილის” სიმაღლე მიღებული გვქონდა  $0.5 \text{ C}$ .

განვიხილოთ შემთხვევა, როცა “კბილის” სიმაღლეა  $0.25 \text{ C}$  (ნახ.3)



ნახ.3 ტეხილდერძიანი კედლი (კედლის სიგრძე 0.5c)  
ა). კედლის გეგმის მიხატვით;  
ბ). კედლის გეგმის სიგრძი

კედლის ნაწილი სიგრძით  $d$  შედგება ერთი მართკუთხედის (1) და 2 სამკუთხედისაგან (2). მათი ინერციის მომენტებია:

$$I_1 = \frac{d(\frac{c}{2})^3}{12} = \frac{dc^3}{96}; \quad I_2 = \frac{d(\frac{c}{2})^3}{36} = \frac{dc^3}{2304}; \quad I_d = \frac{dc^3}{96} + 2 \cdot \frac{dc^3}{2304} + 2 \left[ \frac{dc}{2} \cdot (\frac{c}{4} + \frac{c}{4} \cdot \frac{1}{3})^2 \right] = \frac{dc^3}{25.6};$$


ხოლო ტეხილდერძიანი კედლის 1 გრძივ მეტრზე:  $I_\delta = I_d - \frac{100}{d} = \frac{dc^3}{25.6} - \frac{100}{d} = 3.91 C^3$

პირობიდან  $I_\delta = I_\delta$  გვექნება:  $8.333 b^3 = 3.91 C^3$ , საიდანაც  $C = 1.286 b$ ,  $0.5 C = 0.643 b$

1 გრძივი მეტრი ტეხილდერძიანი კედლის ფართობი:  $S_\delta = 0.75 \cdot C \cdot 100 = 0.75 \cdot 1.286 \cdot b \cdot 100 = 96.45 b$

მასალის ეკონომია  $\frac{100 - 96.45}{100} \cdot 100 = 3.55 \%$

ანალოგიურად გაანგარიშებული გვაქვს (ნაშრომში არ მოგვაქვს) ტეხილდერძიანი კედლები “კბილის” სიმაღლისას 0.375C და 0.125C (ნახ.4). კედლის მიღებული სისქეების და მასალის ეკონომიის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 1.




ნახ. 4 ტეხილდერძიანი კედლის ნაწილი სიგრძით  $d$  „კბილის“ სიმაღლისას: а) 0,375c, б) 0,125 c

მასალის ეკონომის მნიშვნელობები ლენტურის ნაცვლად ტეხილდერძიანი კედლის გამოყენებისას ცხრილი.


ტეხილდერძიანი კედლის გეომეტრიული მახსინათებლები კედლის „კბილის“ სიმაღლე	კედლის საერთო სისქე (C)	მასალის ეკონომია (%)
0.125 C	1.14 b	0.25
0.25 C	128 b	3.55
0.375 C	144 b	9.7
0.5 C	159 b	20.5

შენიშვნა:  $b$ -არის ლენტური კედლის სისქე ტეხილდერძიანი კედლის „კბილის“ სიმაღლეზე მასალის ეკონომის დამოკიდებულების გრაფიკი მოცემულია ნახაზზე 5.



ნახ.5 „კბილის“ სიმაღლის მასალის ეკონომიკური დამოკიდებულების გრაფიკი: ტეხილდერძიანი კედლის „კბილის“ სიმაღლეზე

ტეხნიკური გედლების წარმოქმნილი “უბეების” სხვადასხვა დანიშნულებით (თბოიზოლაცია, ვენტილირებადი ფასადების მოწყობა, ფასადების მოპირკეთება) გამოყენების სქემა იხილეთ ნახ.6



ნახ.6 ტეხნიკურმანი კედლის უბეების შესაძლო ჭრებისგან:

1. მოპირკეთება ან მოუსახალი წალიბი;
2. თბოიზოლაცია;
3. არხები ვენტილირებადი ფასადისათვის;
4. მზიდი კედლი

### 3. დასპეციალური კედლები

ლენტური შემომფარგლავი კედლების ნაცვლად იგივე სიხისტის მქონე ტეხნიკურმანი კედლის გამოყენება იძლევა მასალის ხარჯის ეკონომიის საშუალებას (დაახ. 20%-მდე). ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი იზრდება ტეხნიკურმანი კედლის “კბილის” სიმაღლის ზრდის გაალდაპვალ.

### ლიტერატურა

1. ვ.ლოლაძე. შ.ბაქანიძე, ნ. მსხილაძე, ვ. პირმისაშვილი. მრავალშრიანი მრავალფუნქციური შემომფარგლავი კონსტრუქციები და მათი დამზადების ხერხი. პატენტი P 5990. 01.06.2014, გვ.12
2. შ. ბაქანიძე, ვ. ლოლაძე, ლ. სამხარაძე, ვ.პირმისაშვილი. მრავალშრიანი კედლის დაბეტონების ხერხი. პატენტი P 6074, 05.28.2014. გვ.16
3. ვ. ლოლაძე, შ. ბაქანიძე, ნ. მსხილაძე, ვ.პირმისაშვილი. მონოლითურ მშენებლობაში მოუხსნადი ყალიბების გამოყენების კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტები. მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2012, გვ. 181

◀◀ ▶▶

( . , . , . , . , . 77,0175, , )

(19/6) (1), .

(2,3).

$$O_t = \beta_1 O_{t-1} + \beta_2 O_{t-2} + \dots + \beta_n O_{t-n} + a_t \quad (1)$$

( ).

(1) “

$$v \qquad \qquad y \qquad \qquad t$$

$$(t-1)$$

(1) / /<1.  
 (2) ( “ ” )

(3) :  

$$Q_t = {}_1 Q_{t-1} + {}_2 Q_{t-2} + a_t; \quad (3)$$
  

$$Q_t = {}_1 Q_{t-1} + {}_2 Q_{t-2} + {}_3 Q_{t-3} + a_t; \quad (4)$$

( ):

- 1.  ${}_2 + {}_1 < 1;$
- 2.  ${}_2 - {}_1 < 1;$
- 3.  $-1 < {}_2 < 1.$

, ,

M  $q.$  CC(1),CC(2) :

$$Q_t = a_t - {}_1 Q_{t-1}; \quad (5)$$

$$Q_t = a_t - {}_1 Q_{t-1} - {}_2 Q_{t-2}; \quad (6)$$

$$Q_t = a_t - {}_1 Q_{t-1} - {}_2 Q_{t-2} - \dots - {}_q Q_{t-q}; \quad (7)$$

$q =$  ;  
 $a_t =$  . ( ; ; ).

CC(1) CC(2).  $q$  CC(q).

(p,q).

p=1 (1)  
 $q=1.$

$Q_t = Q_{t-1} + a_t - {}_1 Q_{t-1}; \quad (8)$

$Q_t = {}_1 Q_{t-1} + \dots + {}_p Q_{t-p} + a_t - {}_1 Q_{t-1} - \dots - {}_q Q_{t-q}; \quad (9)$

$-$  ;  
 $-$  ;  
 $a_t =$  .

1.  $-1 < + < 1 -$  ;  
 2.  $-1 < + < 1 -$  ;

(p,q),

,

,  
(1),  
,

( ).

, **N = 72:**

- (1.0)  $Q_t = 0.69Q_{t-1} + 35.8;$   
(2.0)  $Q_t = 0.79Q_{t-1} - 0.124Q_{t-2} + 34.9;$   
(1.1)  $Q_t = 0.63Q_{t-1} + 35.1 + 0.19 Q_{t-1};$   
(2.1)  $Q_t = 1.55Q_{t-1} - 0.65 Q_{t-2} + 34.7 + 0.8 Q_{t-1}.$

, **N = 45:**

- (1.0)  $Q_t = 0.57Q_{t-1} + 29.4;$   
(2.0)  $Q_t = 0.63Q_{t-1} - 0.101Q_{t-2} + 29.8;$   
(1.1)  $Q_t = 0.33Q_{t-1} + 35.1 - 0.319 Q_{t-1};$   
(2.1)  $Q_t = 0.27Q_{t-1} + 0.1 Q_{t-2} + 34.7 - 0.389 Q_{t-1}.$

, **N = 69:**

- (0.1)  $Q_t = 61.7 - 0.351 Q_{t-1}.$

, **N = 82:**

- (1.1)  $Q_t = 71.9 - 0.689Q_{t-1} - 0.964 Q_{t-1}.$

**N –**

### 3.

1. „ „ , . 1974 .

2. . , . 28-30  
1976. .

3. .

84.N1,1976 . .

## ფინოვანი ზორგითხმის დინამიკური მდგრადობა

ა. კვარაცხელია, გ. ყიფიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

(საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ქ. წამებული 16, 0144, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** გადმოცემულია ფენოვანი ფირფიტის დინამიკური მდგრადობა  
პერიოდულად მცუმშავი დატვირთვის მოქმედებისას, რომელიც მოდებულია  
მის შეს სიბრტყეზე. მიღებულია ზოგადი ფორმულები საკუთარი რხევების  
სის შირეების, კრიტიკული დატვირთვისა და აგ ზენების კოეფიციენტისათვის,  
რომლებიც ითვალისწინებენ განივი ძვრისა და მაღალი რიგის  
პარამეტრული წევრების გავლენას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით  
მიღებულია დინამიკური არამდგრადობის ზონები ტრანსვერსალურ-  
იზოტროპული ფირფიტებისათვის.

**საბაზო სიტყვები:** ფირფიტა; მდგრადობა; დინამიკა; კრიტიკული  
დატვირთვა; ამპლიტუდა

### 1. შესავალი

განხილულია ფენოვანი ფირფიტების სპეციალური ამოცანის გამოკვლევა.  
ფენოვან ფირფიტაზე სტაციონარული ტემპერატურული ველის ზემოქმედება.  
გამოიყენება ბადეების მეთოდი. მაგალითის სახით მოცემულია ერთგვაროვანი  
ფირფიტა ფენოვან დრეპად ფუძეზე მოთავსებული. ფენოვანი გარსებისა და  
ფირფიტებისათვის ნაჩვენებია ზოგადი სისტემისა და ორპარამეტრიანი ფენოვანი  
ფუძის წონასწორობის განტოლების ერთობრივი გამოყენების შესაძლებლობა,  
რომლის მოდელი შემოთავაზებული ვ. ვლასოვისა და ნ. ლეონტიევის [1] მიერ.  
მიღებულია გამოსახულებები სისქის მიხედვით ცვლადი დრეპადობის მოდულის  
მქონე ერთფენიანი ფუძის პარამეტრებისათვის.

მრავალფენოვანი ფირფიტები და გარსები მონაცვლეობით მზადდება დიდი  
სიხისტის ფენებისაგან, როელთაც ეწოდება შემავსებელი. მათი სისქე შეიძლება  
მნიშვნელოვნად იცვლებოდეს. მზიდ ფენებად იყენებენ ლითონებს, მათ  
შენადნობებს, მაღალი სიმტკიცის კომპოზიტურ მასალებს.

შემავსებლად გამოიყენება სხვადასხვა სიმტკიცის ქაფბლასტი, ფოროვანი  
რეზინი, კორპის ხე, ლითონები და მათი შენადნობები ფიჭის სახით, ტალღისებრი  
ფურცლები და ა.შ. მშენებლობაში ფართოდ გამოიყენება ფენოვანი პანელები,  
რომელთა მზიდი ფენები ლითონის ან რკინაბეტონისაგან მზადდება, ხოლო  
შემავსებელია მსუბუქი ბეტონების სხვადასხვა ტიპები.

სშირად მრავალფენიან ფირფიტებსა და გარსებს ამზადებენ ძირითადი  
ელემენტებისაგან, როგორიცაა მინაქსოვილი, მინაშპონი, აზბესტი, ხის შპონი და  
ა.შ. მათ აწყობენ ფენებად ერთმანეთზე და სინთეზური ფისიო აწებებენ. ამ  
შემთხვევაში შემავსებლის როლს შემკვრელი ასრულებს. ამ საკითხებზე  
დაწვრილებით ლიტერატურა გადმოცემული მიმოხილვით სტატიებში [2, 3, 4].

როგორც ავღნიშვნე, მრავალფენიანი ფირფიტები და გარსები ფართოდ  
გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა სფეროებსა და მშნებლობაში. ეს გამოწვეულია  
მთელი რიგი მნიშვნელოვანი თვისებებით: დიდი სიხისტი, შედარებით მცირე  
წონით, კარგი ბეტონით და თბური იზოლაციით, აგრეთვე ვიბრო- და  
რადიოსაიზოლაციო თვისებებით. მაგრამ თანამედროვე ფირფიტები,  
კომპოზიტური მასალები და სხვადასხვა შემავსებლები გამოირჩევიან მცირე  
სიხისტი ძვრაზე და ტრანსვერსალური სიზუსტით (დიდი დეფორმაციებით  
განივი მიმართულებით). აქედან გამომდინარე, მრავალფენიან ფირფიტებსა და

გარსებში აუცილებელია განივი ძვრის, ცალკეული ფენების დაახლოების და მნიშვნელოვანი ანიზოტროპიის გათვალისწინება. ახალი მასალების სპეციფიკური თავისებურებანი და მათი გათვალისწინების აუცილებლობა გაანგარიშებათა თეორიაში აღმოჩენილი იყო ს. ამბარცუმიანის მიერ [5] შემდგომში კი ნაშრომებში 6, 7].

მრავალფენიანი გარსები და ფირფიტები პირველად გამოიყენეს ავიაციაში. ისინი წარმოადგენენ სამფენიან კონსტრუქციებს ორი კიდურა მზიდი და შუაშემავსებელი ფენით. სამფენიანი ფირფიტების თეორიის საფუძვლების დამუშავება ითვლება ჯერ კიდვე მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან. სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება როგორც მრავალფენიან, ასევე როფორც კერძო შემთხვევა სამფენიანი ფირფიტებს და გარსებს, რამოდენიმე ათას ნაშრომს [8] შეიცავს. რომელთა შემდგომი გადმოცემულია ნაშრომებში [9, 10, 11, 12, 13, 14].

მთელ რიგ ნაშრომებში [15, 16] და [17, 18] გადმოცემულია კონტურის მიმართ ნებისმიერად განლაგებული ჭრილებით ან ხვრეტით შესუსტებული სამფენიანი ფირფიტისა და გარსის მდგრადობის გაანგარიშების მიახლოებითი და დაზუსტებული მეთოდები. მათ საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები მშენებლობაში ფართოდ გამოყენებული სამფენიანი ანაკრები პანელების გაანგარიშებისა და დაპროექტების საქმეში.

სწორედ ეს არის მრავალფენიანი ფირფიტებისა და გარსების თეორიის მრავალგვარი ვარიანტების შექმნის მიზეზი. ამ დარგში გამოქვეყნებული ნაშრომების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

შემოთავაზებულია ახალი თეორიები, რომლებიც მათი შექმნის სხვადასხვა მიდგომას ეყრდნობა. ჩვენს მიერ განხილული ამოცანაც ეყრდნობა დრეკდობის თეორიისა და სამშენებლო მექანიკის ზოგად დამოკიდებულებებს.

## 2. ძირითადი ნაშილი

განვხილოთ სტაციონალური ტემპერატურული ველის მოქმედება კონტურით დაყრდნობილი მრავლფენიან ფირფიტაზე. ფირფიტის სისქის მიხედვით ტემპერატურის განაწილება ჩავთვალოთ არაწრფივად. ფირფიტაზე მოქმედებს მკუმშავი დინამიკური დატვირთვა, რომელიც მოდებულია მის შუა სიბრტყეზე  $Ox_1 (\beta = -1, \gamma = \delta = 0)$  დერძის მიმართულებით. გამოვიკვლიოთ მისი დიანმიკური მდგრადობა. [19]-ის საფუძველზე გვექნება:

$$\begin{aligned} F_1 \Delta^2 \phi &= 0; \\ D_{11} \Delta^2 w - P_{111} \Delta^2 \chi + \rho_1 w_{,tt} - q^* &= 0; \\ -P_{111} \Delta^2 w &= (S_{111} \Delta^2 - P_{13} \Delta) \chi = 0, \end{aligned} \quad (1)$$

სადაც

$$q^* = \bar{q}^* w; \quad \bar{q}^* N(t)(\Delta_N - \Delta_{N1}^2). \quad (2)$$

აქ ოპერატორები

$$\Delta_N = w_{,11}; \quad \Delta_{N1}^2 = \frac{h^2}{12} (w_{,1111} + w_{,2222}). \quad (3)$$

ამოხსნა მივიღეთ შემდეგი ფორმით:

$$\begin{aligned} w(x_1, x_2, t) &= \bar{w}_{rs}(t)s; \quad \chi(x_1, x_2, t) = \bar{\chi}_{rs}(t)s; \\ S &= \sin \alpha_1 x_1 \sin \alpha_2 x_2; \quad \alpha_1 = r \pi \alpha_1^{-1}; \quad \alpha_2 = r \pi \alpha_2^{-1}. \end{aligned} \quad (4)$$

ეს გამოსახულებები აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს, რომლებშიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ  $M_{11} = M'_{11} = 0$ .

(1) სისტემაში პირველი განტოლება დამოუკიდებელია ორი დანარჩენისაგან და აღწერს ბრტყელ ამოცანას. დანარჩენი ორი განტოლება აღწერს დინამიკურ მდგრადობას და (4)-ის ჩასმის შემდეგ მიიღებს სახეს:

$$D_{11} \theta^2 \bar{w}_{rs} - P_{111} \theta^2 \bar{\chi}_{rs} + \rho_1 \bar{w}_{rs,tt} - N(t) \alpha_1^2 \left(1 + \frac{h^2}{12} \theta\right) \bar{w}_{rs} = 0;$$

$$-P_{111}\theta^2\bar{w}_{rs} + (S_{111}\theta^2 + P_{13}\theta)\bar{\chi}_{rs} = 0, \quad (5)$$

სადაც  $\theta$  განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით:

$$\theta = \alpha_1^2 + \alpha_2^2. \quad (6)$$

(5)-დან  $\bar{\chi}_{rs}$ -ის გამორიცხვით მიიღება:

$$\left(D_{11}\theta^2 - \frac{P_{111}\theta^3}{S_{111}\theta + P_{13}}\right)\bar{w}_{rs} + \rho_1\bar{w}_{rs,tt} - N(t)\alpha_1^2\left(1 + \frac{h^2}{12}\theta\right)\bar{w}_{rs} = 0;$$

ავლინიშნოთ

$$N_3 = \frac{D_{11}\theta^2}{\alpha_1^2}; \quad d = \frac{P_{111}\theta}{D_{11}(S_{111}\theta + P_{13})}; \quad \eta = \frac{1}{1 + \frac{h^2\theta}{12}}. \quad (7)$$

მაშინ წინა განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\bar{w}_{rs,tt} + \frac{\alpha_1^2 N_3}{\rho_1} \left[1 - d - \frac{N(t)\left(1 + \frac{h^2\theta}{12}\right)}{N_3}\right] \bar{w}_{rs} = 0. \quad (8)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები

$$\omega_0^2 = \alpha_1^2 N_3 / \rho_1; \quad \omega^2 = \omega_0^2(1 - d); \quad (9)$$

მაშინ (8) განტოლება შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$\bar{w}_{rs,tt} + \omega^2[1 - N(t)/N^*]\bar{w}_{rs} = 0, \quad (10)$$

სადაც  $N^*$  კრიტიკული დატვირთვაა, რომელიც განისაზღვრება ფორმულით

$$N^* = N_3\eta(1 - d). \quad (11)$$

თუ დინამიკური დატვირთვა წარმოადგენს შემდეგი ტიპის ფუნქციას:

$$N^* = N_0 + Nf(t), \quad (12)$$

სადაც  $f(t)$  არის პერიოდული ფუნქცია  $T$  პერიოდით, მაშინ (10)-ს უწოდებენ პილის [20] განტოლებას.

კერძო შემთხვევაში, როდესაც

$$N(t) = N_0 + N \cos \lambda t, \quad (13)$$

(10) განტოლება შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ სახეზე:

$$\bar{w}_{rs,tt} + \Omega_{rs}^2(1 - 2\mu_{rs} \cos \lambda t)\bar{w}_{rs} = 0. \quad (14)$$

მას უწოდებენ მატიეს [20] განტოლებას. აქ  $\Omega_{rs}$  წარმოადგენს ფირფიტის საკუთარ რხევების სიხშირეს, რომელიც დატვირთული გარე დატვირთვის  $N_0$  მდგენელით. (12) და (13)-ში შემავალ  $N$  სიდიდეს უწოდებენ აგმნების ამპლიტუდას, ხოლო  $\mu_{rs}$  - აგზნების კოეფიციენტს. ისინი განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებიდან:

$$\Omega_{rs}^2 = \omega^2 \left(1 - \frac{N_0}{N^*}\right); \quad \mu_{rs} = \frac{N}{2(N^* - N_0)}. \quad (15)$$

როგორც ცნობილია, მატიეს განტოლებას კოეფიციენტების ზოგიერთი ფარდობისათვის აქვს უსაზღვრო ზრდადი ამოხსნები, რომლებიც წარმოადგენენ დინამიკური არამდგრადობის ზონებს. მათი საზღვრები შეიძლება დავადგინოთ მიახლოებითი ფორმულებით [21]:

არამდგრადობის პირველი მთავარი ზონისათვის

$$\lambda^* = 2\Omega_{rs}\sqrt{1 \pm \mu_{rs}}; \quad (16)$$

მეორე ზონისათვის

$$\lambda^* = \Omega_{rs}\sqrt{1 \pm \frac{1}{3}\mu_{rs}^2}; \quad \lambda^* = \Omega_{rs}\sqrt{1 - 2\mu_{rs}^2}; \quad (17)$$

მესამე ზონისათვის

$$\lambda^* = \frac{2}{3}\Omega_{rs}\sqrt{1 - 9\mu_{rs}^2/(8 \pm 9\mu_{rs})}. \quad (18)$$

აქ  $\lambda^*$  გარე დატვირთვის კრიტიკული სიხშირეა, რომელიც შეესაბამება დინამიკური არამდგრადობის ზონების საზღვრებს; – მრავალფენიანი ფირფიტის საკუთარი რხევების სიხშირე დინამიკური არამდგრადობის ზონაში.

$$(15)-\text{დან} \quad \text{გვაქვს: } N^* = N_0 + N/2\mu_{rs}, \quad (19)$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ კრიტიკული დატვირთვა სტატიკურად მოდებული გარე დატვირთვის ტოლია, როდესაც  $\mu_{rs} = 0.5$ . ამის შესაბამისად,

$$\mu_{rs} \leq 0.5. \quad (20)$$

წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკული დატვირთვა ნაკლებია სტატიკურზე, რაც შეუძლებელია.

(16)-(18) ფორმულებიდან ჩანს, რომ (20) პირობის შემთხვევაში არამდგრადობის ზონის სიგანე სწრაფად მცირდება მისი ნომრის ზრდასთან ერთად. ყველაზე განიერია პირველი ზონა, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გარე დატვირთვის  $N_0$  მუდმივი შემდგენი ნულის ტოლია. მაშინ (14) მიიღებს სახეს:

$$\bar{w}_{rs,tt} + \omega^2(1 - 2\mu_{rs} \cos \lambda t)\bar{w}_{rs} = 0, \quad (21)$$

სადაც (11) და (15)-ის გათვალისწინებით

$$\mu_{rs} = \frac{N}{2N^*} = \frac{N}{2N_3\eta(1-d)} = \frac{\mu_{rs}^0}{\eta(1-d)}. \quad (22)$$

$\mu_{rs}^0$  სიდიდე შეესაბამება კლასიკურ თეორიას და განისაზღვრება ფორმულით:  $\mu_{rs}^0 = \frac{N}{2N}$ . (23)

$$\text{მისი ზღვრული მნიშვნელობა } \mu_{rs}^0 = 0.5(1-d). \quad (24)$$

შესაბამისად შეიძლება (16)-(18) ფორმულები გარდავქმნად არამდგრადობის ზონების საზღვრებისთვის, თუ გავითვალისწინებთ (9)-ს:

$$\begin{aligned} \lambda^* &= 2\omega_{rs}^0 \sqrt{1 - d \pm \frac{\mu_{rs}^0}{\eta}}; \quad \lambda^* = \omega_{rs}^0 \sqrt{1 - d + \frac{(\mu_{rs}^0)^2}{3\eta^2(1-d)}}; \\ \lambda^* &= \omega_{rs}^0 \sqrt{1 - d - \frac{2(\mu_{rs}^0)^2}{\eta^2(1-d)}}; \\ \lambda^* &= \frac{2}{3}\omega_{rs}^0 \sqrt{1 - d - \frac{9(\mu_{rs}^0)^2}{\eta[8\eta(1-d) \pm 9\mu_{rs}^0]}}. \end{aligned} \quad (25)$$

ამ ფორმულიბის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი მიღებულია მრავალფენიანი ფორფოტების კლასიკური თეორიის  $\omega_r^0$ ,  $\mu_{rs}^0$  ტერმინებში განივი ძვრის და აპარატურული წევრების დაზუსტების შესწორების გათვალისწინებით.

ტრანსგერსალურ-იზოტოპული ფირფიტის დინამიკური არამდგრადობის ზონების საზღვრები კლასიკური თეორიით ( $\mu=1$ ,  $h_* = 0.1$ ,  $r = s = 1$ ) ცხრილი 1

$\mu_{rs}^0$	$\lambda^* / 2\omega_{rs}^0$		
	ზონა 1	ზონა 2	ზონა 3
0	1,000	1,000	0,500
0,1	0,949	1,049	0,495
0,2	0,894	1,095	0,480
0,3	0,837	1,140	0,453
0,4	0,775	1,183	0,412
0,5	0,707	1,225	0,354

« »

ტრანსვერსალურ-იზოტროპული ფირფიტის დინამიკური არამდგრადობის ზონების საზღვრები შემოთავაზებული თეორიით ( $\mu=1$ ,  $h_* = 0.1$ ,  $r = s = 1$ )

Gəbəngə 2

$\mu_{11}^0$	$\lambda^*/2\omega_{11}^0$					
	გონა 1		გონა 2		გონა 3	
0	0,949	0,949	0,474	0,474	0,316	0,316
0,1	0,893	1,001	0,468	0,475	0,313	0,314
0,2	0,835	1,050	0,449	0,478	0,304	0,309
0,3	0,771	1,098	0,416	0,483	0,281	0,301
0,4	0,702	1,143	0,365	0,490	0,231	0,291
0,443	0,671	1,162	0,335	0,494	0,189	0,286

(22)-გან  $\mu_{rs}^0 \leq 0.5$  გათვალისწინებით მიიღება

$$\mu_{rs} \leq \frac{1}{2}\eta(1-d). \quad (26)$$

მაგალითის სახით განვიხილოთ ტრანსვერსალურად იზოტროპული ერთფენიანი ფირფიტა. მივიღოთ შემდეგი საწყისი მონაცემები:

$$K_1 = \frac{E_1}{E_2} = \frac{v_1}{v_2} = 1; \quad K_2 = \frac{E_1}{G_{12}} = 2; \quad K_3 = \frac{E_3}{G_{13}} = \frac{E_2}{G_{23}} = 5;$$

$$v_{12} = v_{13} = v = 0.3; \quad a_1 = a_2 = a; \quad r = s = 1; \quad h_* = \frac{h}{a} = 0.1. \quad (27)$$

რიცხვითი შედეგები, რომლებიც მიღებულია ზემოთ მოყვანილი ფორმულების მიხედვით, მოცემულია 1 და 2 ცხრილებში. მ შედეგების შედარებამ აჩვენა, რომ განივი ძვრისა და მაღალი რიგის პარამეტრული წევრების გათვალისწინება შესამჩნევლად ზრდის დინამიკური არამდგრადობის ზონებს. ამასთაანვე ხდება მათი გადაადგილება იმ ზონებთან შედარებით, რომლებიც კლასიკური თეორიით განისაზღვრება.

### 3. დასპენა

მიღებულია, რომ ფეხნოვანი ფირფიტების დინამიკური მდგრადობა დაიყვანება პილის ან მატიეს განტოლებების გამოკვლევაზე. საკუთარი რხევების სიხშირეების, აგზების კოფიციენტისა და კრიტიკული დატვირთვისათვის მიღებულია ზოგადი გამოსახულებები. დადგენილია, რომ განივი ძვრისა და მაღალი რიგის პარამეტრული წევრების გათვალისწინება იწვევს დინამიკური მდგრადობის ზონების შემცირებას და მათ გადაადგილებებს კლასიკური თეორიით განსაზღვრული ზონების მიმართ.

ଲୋକପାତ୍ରାବଳୀ

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017

« »

- materials of V International Conference. 25-28 June 2013/Under editorship of E.B. Smirnov,  
SPGASU. is. 2, part. 1. Saint Petersburg, 2013, pp. 262-267
5. . . . . : , 1967 -268 .
  6. მახარაძე გ., კვარაცხელია ა., ყიფიანი გ., ანიზოტროპული თხელი გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშება დაზუსტებული თეორიით. თბილისი: “ტექნიკური უნივერსიტეტი” 1998, -97 გვ.
  7. გიორგაძე თ., კვარაცხელია ა., ყიფიანი გ. თხელი დამრეცი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა. “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 1999, -101 გვ.
  8. . . . . : , 1980. -375 .
  9. . . . . // : //
  10. . . . . - . . . . : , 1988. c. 45-49.
  11. . . . . // . . . . . - . . . . : , 1989. - 1. - .29-30. //
  12. Mikhailov B.K., Kipiani G.O., Stremecka M. Stability of structural construction units in 3-Bandwich plate with slots // Miedzynarodowa Konferencja naukowa. Najnowsze naukowo-badawcze problemy budownictwa I inżynierii środowiska. Białystok; Wydawnictwa Politechniki Białostockiej, 1989, -Tom I, -P.335-340.
  13. Kipiani G., Okroshidze A. Method of analysis of three-layered plates with anchor links between layers on stability and deformability//Problems of Mechanics, 4(53), Tbilisi, 2013, pp. 99-103.
  14. Churchelauri Z., Kipiani G. Calculation of thin-walled prefabricated tyoe shells with model of plastic-rigid body//Selected blind peer reviewed papers from 7<sup>th</sup> International Canference on Contemporary Problems pf Architect and Construction. November 19-21, 2015. Florence-Italy. 2015. Pp. 19-24.
  15. . . . . : « », 1991. -189 .
  16. . . . . , - . . . . : , 1996. - 442 .
  17. Kipiani G. Design procedure on stability of three-layered plate with cuts and holes//Georgian International journal of Science and Technology, Vol. 1, 4. New Yourk 2008. pp. 327-342.
  18. Kipiani G., Rajczyk M., Lausova L. Influence of tectangular holes on stability of three-layered plates//Applied Mecanics and Materials. Vol. 711(2015) pp. 397-401. ©(20156) Trans. Tech. Publications, Switzerland. Doi:10.428www.scientific.net/AMM.711.397
  19. . . . . // . . . . : , 1965, 5. . 68-80.
  20. . . . . : , 1972. -432 .
  21. . . . . : , 1956. - 418 .

## მსუბუქი დეპორატიული გეზონი

ლ. უგულავა, გ. რობაქიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. ქოსტავას ქ. 77,  
№ 77, 0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** განხილულია დეპორატიული ბეტონის დანიშნულება, გამოყენების არე, მისი თვისებები, მიღების ხერხები, მოცემულია საქართველოს კულტურული წილების საბაზოების მარაგი, მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, გამოყენების საშუალება დეპორატიული ბეტონის მისაღებად.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული წილა, ატმოსფერომედიკობა, შექმედებობა, წყალმედიკობა, ხანძელება.

### 1. შესაბამისობა

თანამედროვე მშენებლობაში, როდესაც ბეტონი წარმოადგენს ძირითად სამშენებლო მასალას, დეპორატიული ბეტონი არის უფრო მიმზიდველი თავისი შეფერილობით, ვიდრე ტრადიციული, ძირითადად, ნაცრისფერი ბეტონთან შედარებით. შენობა უფრო იგებს, გამოირჩევა სხვა შენობებისაგან არქიტექტურული თვალსაზრისით.

### 2. ძირითადი ნაწილი

ფერადი ბეტონის მისაღებად იყენებენ სხვადასხვა მასალას, როგორც მინერალური ასევე ორგანული წარმოშობის. ამისათვის ყველა მასალა, რომელიც გამოიყენება ფერადი ბეტონის მისაღებად აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს შუქმედებობით, ატმოსფერომედიკობით, ყინვამედეგობით, წყალმედეგობით და სხვა მრავალი თვისებები, რაც უზრუნველყოფს ხანძელები დეპორატიული ბეტონის მიღებას, რომელიც წაენებული აქვს ბუნებრივ ქვას და ბეტონს.

ფერადი ბეტონის და დეპორატიული ქვების მიღებისას გამოიყენება ფერადი ცემენტი, ქვიშები, კირქვები, მარმარილო, ტუფები, ბაზალტები, გრანიტი, ფიქლები და სხვა.

დეპორატიული ბეტონის მიღებისას გამოიყენება ღია სტრუქტურა, რაც ქმნის შესაძლებლობას მოვახდინოთ ბუნებრივი ქვის იმიტაცია ან და შეიქმნას ახალი დიზაინის ქვა, რომელიც არ არის ბუნებაში.

ბეტონის გაანგარიშების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი წყალუქონადობა, ქიმიური ნეიტრალობა, წყალმედეგობა პერიოდული დატენიანება, შრობა და ყინვამედეგობა, სადღაც 300 ციკლამდე თუ ის გამოიყენება გარე ექსპლუატაციისათვის.

ამ სახის ბეტონების გამოყენება რეკომენდებულია შენობების შემომზღვდავი კედლებისათვის, მოსაპირკეთებებისათვის, როგორც გარე ისე შიგა კედლებისათვის და სხვა კონსტრუქციებისათვის საჭირო სასურველი ფაქტურის მისაღებად.

გარდა ამისა ამ სახის მასალის გამოყენება დასაშვებია არსებული შენობებისათვის, რომლებსაც აქვთ ექსპლუატაციის დიდი პერიოდი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში არსებობს კულტურული წილების დიდი მარაგი (ცხრილი 1) და ამ მასალიდან დამზადებული ბეტონი კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, როგორც შენობის შემომზღვდავი კონსტრუქციები [2] და რაც მნიშვნელოვანია ამ მასალის შეფერილობა ხასიათდება სასიამოვნო ფერით და შუქმედებობით.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017

« »

ცხრილი 1

საქართველოს ზოგიერთი საბადოს ვულკანური წილის მარაგი

Nº	საბადოს დასახელება	საბადოს მარაგი, მილიონი ტონა
1	მოდება	23,14
2	ოკამი	5,65
3	დადეში	36,6
4	სულდა	4,23
5	ტაშკალა	2,814
6	დელიფი	8,0
7	სადამო	52,0

ბუნებრივი ვულკანური წილები სასიათდებიან მცირე მოცულობითი მასით და მისგან დამზადებული ბეტონი მიეკუთვნება მსუბუქ ბეტონებს (1600 კგ/მ³). ამ ბეტონის გამოყენება თანამედროვე მშენებლობაში მნიშვნელოვანია ესთეტიკური თვალსაზრისით (ცხრილი 2).

ცხრილში 1 მოყვანილია საქართველოში არსებული ვულკანური წილების რამდენიმე საბადოს მარაგი, რაც საშუალებას გვაძლევს დაგამზადოთ მსუბუქი დეკორატიული ბეტონი.

მე-2 ცხრილში მოყვანილია ჩატარებული კვლევების შედეგები დეკორატიული, სხვადასხვა მარკის ბეტონების შედგენილობებით.


ცხრილი 2

ვულკანურ წილებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონი

საბადოს დასახელება	ბეტონის მარაგი	მასალების ხარჯი 1 მ³ ბეტონზე										მოცულობის მარაგი, ტონა
		ქვეშა		ღორღი						წელი,		
		ცემენტი	ცემ. ტიპი	ბბ.	ლ.	ბბ.	ლ.	ბბ.	ლ.	წელი,	ტონა	
ოკამი	100	250	755	685	210	320	310	315	—	—	300	1560
		240	600	545	145	235	200	325	270	450	290	1490
	150	320	640	580	235	360	315	510	—	—	335	1560
	200	390	605	55	230	350	300	485	—	—	355	1585
		440	530	480	250	385	315	510	—	—	320	1600
სულდა	250	490	525	475	245	380	310	500	—	—	280	1650
	100	270	660	695	155	290	240	510	—	—	295	1355
		340	650	685	80	150	110	235	180	410	300	1420
	150	390	620	655	150	280	230	490	—	—	295	1455
გადეში	100	230	740	705	245	305	275	400	—	—	320	1525
		210	695	660	150	185	210	260	235	390	280	1539
	150	315	670	640	270	336	310	450	—	—	285	1610
	200	370	605	675	290	360	350	510	—	—	275	1670
	250	445	580	550	280	345	330	480	—	—	280	1685
	300	535	555	530	270	335	320	465	—	—	230	1760

ამ სახის ბეტონის დამზადება შესაძლებელია, როგორც ფერადი ასევე ჩვეულებრივი ცემენტის გამოყენებით.

ექსპერტიმენტები გაგრძელდება ფერადი ცემენტების და სხვა მინერალების გამოყენებით.



სურ. 1 დეკორატიული ბეტონის ნიმუშები

ამ სახის ბეტონის გამოყენება რეკომენდებულია გარე კედლების, აგრეთვე კიბის უჯრედების, ჰოლების, საკონცერტო დარბაზების, კაფეების და სხვა საზოგადო დაწინაურების სათავსოებისათვის.

### 3. დასპანა

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დეკორატიული ბეტონის მისაღებად ადგილობრივი მასალის გამოყენებით, სახელდობრ ვულკანური წიდები: ოკამი, დელიფი, სულდა, ტაშკალა და სხვა სახის მასალებით მიღებულია მსუბუქი დეკორატიული ბეტონები.

### ლიტერატურა

1. ( ). . 1976.
2. ლ. უგულავა. შენობების გარე კედლების წყალმედეგობის თვისებების პრობლემები. „მშენებლობა“ № 4(28), 2011.
3. ლ. უგულავა, გ. რობაქიძე. ბუნებრივ ფორმების შემცვებების გამოყენება სხვადასხვა დაწინაურების კონსტრუქციებში. „ენერგია“ 2(50). 6.1. 2009.
4. , . 1986. ( ).

## ენერგოეფექტური შენობები და მათი ძირითადი თბოტექნიკური მახასიათებლები

მ. გრძელიშვილი, ა. კოპალიანი, ი. მარლიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ენერგოეფექტური მშენებლობა თანამედროვე სამოქალაქო მშენებლობის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა და მიზნად ისახავს ხათობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვას, განახლებადი ენერგიის ფართო გამოყენებას და გარემოს გეოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია შენობათა ენერგომოთხოვნილების და შემომზღვდი კონსტრუქციების თბოტექნიკური მახასიათებლების მკაცრი რეგლამენტირება.

შემომზღვდი კონსტრუქციების შემოთავაზებული თბოტადაცემის კოეფიციენტების დანერგვა სამშენებლო პრაქტიკაში არა მარტო მნიშვნელოვნად დაზოგვას ენერგორესურსებს არამედ გააუმჯობესებს გარემოს გეოლოგიურ მდგომარეობას და შექმნის წინაპირობას რათა სამომავლოდ მშენებლობაში გამოვრიცხოთ ძვირადღირებული გათბობის ხისტემების მოწყობა.

**საქანძო სიტყვები:** მშენებლობა, ენერგოდაზოგვა, ენერგოეფექტურობა, თბოტადაცემა, გათბობის ხისტემება.

### 1. შესაბამის

ენერგოეფექტური მშენებლობა თანამედროვე სამშენებლო დარგის ერთ-ერთი ინოვაციური მიმართულებაა და მისი დანიშნულებაა ისეთი შენობა-ნაგებობების აგება, რომელიც ენერგორესურსების მაქსიმალურ ეკონომიას უზრუნველყოფს ისე, რომ სათავსებში შენარჩუნებული იქნას ნორმალური თბური რეჟიმი. შენობათა ენერგიეფექტურობის გაზრდის მრავალი გზა არსებობს, რომელთაგან ყველაზე მარტივი და ადვილად მისაღწევადია შენობის ისეთი გარსის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს გარემოში სითბოს კარგვას და სათანადოდ შენობის თბურ დატვირთვას. ამის მისაღწევად კი საჭიროა პროექტირების სტადიაზე შემომზღვდი კონსტრუქციების ძირითადი თბოტექნიკური მახასიათებლების თბო და ტენგადაცემის კოეფიციენტების და მათი წინააღმდეგობების სიდიდეების ოპტიმიზაცია.

შემომზღვდი კონსტრუქციების კომლექსური თბოტექნიკური გაანგარიშება და სათავსების საექსპლუატაციო თბური რეჟიმების წინასწარი დადგენა უზრუნველყოფს სათანადო ენერგოეფექტურობის კლასის შენობის შექმნას.

### 2. ძირითადი ნაწილი

ენერგოეფექტური მშენებლობა სამოქალაქო მშენებლობის ახალი მიმართულებაა და იგი შეიქმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში, პირველი მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიოში მრავალი ენერგოეფექტური სახლი აშენდა. დღეისათვის არ არსებობს ენერგოეფექტური სახლის ერთიანი ოფიციალური საერთაშორისო განსაზღვრა. მიუხედავად ამისა ეკროპაში ენერგოეფექტური სახლების შემდეგი ხახები არსებობს:

დაბალი ენერგომოხმარების სახლები – რომელებიც, მოიხმარენ 50%-ით ნაკლებ ენერგიას ვიდრე ჩვეულებრივი სახლები, რომლებიც მოიხმარენ მოქმედი ნორმების შესაბამის ენერგიას ულტრადაბალ ენერგომოხმარების სახლები, რომლებიც მაღალი ენერგოეფექტურობით და გარემოზე უმნიშვნელო ზემოქმედებით ხასიათდებიან. ასეთ სახლებში ენერგომოხმარება 70-90%-ით ნაკლებია ვიდრე ჩვეულებრივ სახლებში, ულტრადაბალი ენერგომოხმარების

სახლს მკვეთრად აღნიშნული მოთხოვნებით მოეკუთვნება გერმანული პასიური სახლი (Pasivhaus) ფრანგული Effinergie, შვეიცარული Minenergie და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული პასიური სახლი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა მსოფლიოში საუკეთესო სტანდარტად არის მიჩნეული.

**ენერგომაგნეტიკული სახლები** – რომელიც საკუთარი მიზნებისათვის გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას. ჭარბი ენერგიის შემთხვევაში ხდება მისი ქსელში რეალიზაცია. ეს სახლები ძირითადად განახლებად ენერგიას მოიხმარენ. ასეთ სახლებს აქტიურ სახლებსაც უწოდებენ.

**სახლი CO<sub>2</sub>-ის ნულოვანი გამონაბოლქვით.** ასეთი სახლები CO<sub>2</sub>-ს საერთოდ არ გამოყოფენ, რაც თავისთვად იმას ნიშნავს, რომ სახლის ენერგომომარაგება განახლებადი ენერგოწყაროებიდან ხორციელდება. ამ სტანდარტის სახლები ძირითადად დიდ ბრიტანეთში შენდება. 2016 წლიდან დიდი ბრტიტანეთში მხოლოდ ამ სტანდარტის სახლები შენდება.

ენერგიის ყველაზე მსხვილ მომხმარებლად ითვლება შენობა-ნაგებობები. განვითარებულ ქვეყნებში შენობა-ნაგებობების მიერ მოხმარებული ენერგიის რაოდენობა მთელი მომხმარებული ენერგიის 50%-ის ტოლია, განვითარებად ქვეყნებში კი 40-45%-ია. ამ ენერგიის 87% იხარჯება შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემებზე.

საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც აშენებული შენობები მსოფლიოში ყველაზე ენერგოტევად შენობებად ითვლება. ამ შენობებში სითბოს ხარჯი შენობების გასათბობად 350-380გტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ. ზოგჯერ კი ეს სიდიდე 680 გტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ აღწევს რაც 5-10-ჯერ მეტია ევროპაში აგებულ ანალოგიურ სახლებთან შეადრებით, პასიური სახლის სტანდრატთან შედარებით ( $q=15\text{გტ}\cdot\text{სთ}/\text{მ}^2\text{C}$ ). საქართველოში აშენებულ (თუ მშენებარე) სახლებში, სითბოს ხარჯი შენობების გასათბობად (25÷45)-ჯერ მეტია ვიდრე ევროპაში მშენებარე სახლებში.

შენობათა ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ასევე რუსეთში და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მიღებულია კანონი შენობათა ენერგოეფექტურობის შესახებ. ენერგოეფექტურობის და ენეროდაზოგვის მოთხოვნები განხილულია ტერმინით გერმანიაში ენერგოდაზოგვის შესახებ მოთხოვნები წარმოადგენილია ენერგოდაზოგვის ნორმებში ENEV (Energie einsparung Uerordnung).

ეს ნორმები პირველად დამუშავდა გასული საუკუნის ბოლოს, ხოლო სამოქმედოდ შემოვიდა 2002 წელს (ENEV-2002). წლების განმავლობაში ეს ნორმები თანადათან მკაცრდებოდა (ENEV-2007, 2008, 2009) და ბოლოს შესწორებებით ENEV-2014 ძალაში შევიდა 2016 წლიდან. გერმანიაში აშენებული ყველა შენობა უნდა აკმაყოფილებდეს ან ნორმებს.

ამ ნორმებით წინასწარ განსაზღვრულია შემომზღვდი კონსტრუქციების თბოგადაცემის კოეფიციენტი, ამ კოეფიციენტების მიხედვით დაპროექტებული და კონსტრუირებული შენობის გარსი უზრუნველყოფს სათავსებში ნორმალური მიკროკლიმატის შექმნას ენერგიის მინიმალური დანახარჯებით.

შემომზღვდი კონსტრუქციების თბოგადაცემის კოეფიციენტები EnEv-2014 ნორმების მიხედვით მოცემულია ცხრილი 1.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს გარე კედლებისათვის თბოგადაცემის კოეფიციენტი ტოლია 0,24 გტ/მ<sup>2</sup>C და იგი ევროპაში ნებისმიერი მასალისაგან მშენებარე ყველა შენობისათვის ერთი და იგივეა.

თბოგადაცემის კოეფიციენტის ეს მნიშვნელობა ორჯერ მეტია -ით განსაზღვრულ მნიშვნელობაზე, რომელიც 0,476 გტ/მ<sup>2</sup>C-ის ტოლია, როდესაც გათბობის პერიოდის გრად. დღეები 2000-ის ტოლია. ევროპის ქვეყნებისათვის

**სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017**

« »

გარდა. დღეების თითქმის ეს რიცხვია დამახასიათებელი. СНиП-ის მიხედვით გრად. დღეების მატებასთან ერთად თბოგადაცემის კოეფიციენტის სიდიდე კლებულობს და მაქსიმალური გრად. დღეების შემთხვევაში, რომელიც 12000-ის ტოლია, თბოგადაცემის კოეფიციენტი  $0,2 \text{ კგ/მ}^2\text{C}$  შეადგენს, რომელიც თითქმის უტოლდება EnEv-2014 მნიშვნელობას.

შემომზღვდი კონსტრუქციების დაპროექტებისას და შენობათა თბური დატვირთვების განსაზღვრის დროს შესაძლებელია როგორც -ის ასევე EnEv-2014 მონაცემებით სარგებლობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიერთების პროტოკოლს და აიღო ვალდებულება დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს ენერგოეფექტური მშენებლობის სფეროში. 2022 წლიდან საქართველოში მშენებლობის სფეროში ენერგოეფექტური პროექტების განხორციელება იწყება, რომელიც როგორც საჯარო ასევე კერძო მშენებლობობებს შეეხება. ამიტომ მიზანშეწონილია ევროპული ნორმებით სარგებლობა.

შემომზღვდი კონსტრუქციების თბოგადაცემის კოეფიციენტები ცხრილი 1

№	კონსტრუქცია	თბოგადაცემების კოეფიციენტი $k \text{ კგ/მ}^2\text{C}$	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლები როდესაც $t_a < 19^\circ\text{C}$	არასაცხოვრებელი სახლები როდესაც $t_a < 19^\circ\text{C}$
		საცხოვრებელი არასაცხოვრებელი სახლები		
1	გარე კედელი	0,24		0,35
2a	ფანჯარა, ფანჯარაკარები	1,3		1,9
2b	სახურავის (სხვენის) ფერდოს ფანჯრები	1,4		1,9
2c	შემინვა	1,1		—
2d	ფარდიანი ფასადი	1,5		1,9
2e	მინის სახურავი	2,0		2,7
2f	ფანჯარა კარგი აღჭურვილობით (სარქველი, ნაკეცი, შიბერი და ა.შ.)	1,6		1,9
3a	ფანჯარა, ფანჯარაკარები, სხვენის ფერდოს ფანჯარა განსაკუთრებული შემინვით	2,0		2,8
3b	განსაკუთრებული შემინვა	1,6		—
3c	ფარდიანი ფასადები განსაკუთრებული შემინვით	2,3		3,0
4	ბრტყელი გადახურვა	0,24		0,35
5a	კედლები რომლის მეორე მხარეს განლაგებულია გრუბი ან გაუმთბარი სათავეები	0,3		—
5b	იატაკი	0,5		—
5c	გადახურვა რომლის ქვეშ იმყოფება გარე პარკი	0,24		0,35

EnEv-2014 ნორმებით განსაზღვრულია აგრეთვე შენობების ენერგოეფექტურობის კლასები. ასევე როგორც საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე აქაც გვავქს ენერგოეფრექტურობის შვიდი კლასი A-დან B-მდე. ყველაზე მაღალი ენერგოეფექტურობით ხასიათდება A კლასის შენობები. ყველაზე დაბალი ენერგოეფექტურობა G კლასის შენობებს გააჩნია. ენერგოეფექტურობის კლასი (ცხრილი 2) მომხარებული ენერგიით განისაზღვრება

შენობათა ენერგოეფექტურობის კლასები ცხრილი 2

ენერგოეფექტურობის კლასი	მომხარებული ენერგია კვტ-სთ/მ <sup>2</sup> წელ
A+	<30
A	<50
B	<75
C	<100
D	<130
E	<160
F	<200

G	<250
H	>250

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ენერგოეფექტურობის ყველაზე მაღალ კლასს A+ მიეკუთვნება შენობები, რომლების წლიური ენერგომოხმარება 30 კვტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ-ზე ნაკლებია, რომელიც ფაქტიურად “სამლიტრიანი” სახლების კატეგორიას წარმოადგენს. “3 ლიტრიანი სახლი” წარმოადგენს პასიური, ნულოვანი ენერგომოხმოვნილების და ენერგია+სახლების წინამორბედს.

გარდა EnEV-2014 ნორმებისა გერმანიის მთელი რიგი ინსტრუქციების (RAL, Passivhaus და სხვა) მიერ მიღებულია ენერგოდაზოგვის/ენერგიეფექტურობის კლასიფიკაცია, მოხმარებული წლიური ენერგიის რაოდენობის მიხედვით:

KFW60≤60 კვტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ.

KFW40≤40 კვტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ.

3 ლიტრიანი სახლი ≤30 კვტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ.

პასური სახლი ≤15 კვტ·სთ/მ<sup>2</sup>წელ.

ნულოვანი ენერგიის და ენერგია+სახლები

ზემოთ ჩამოთვლილი ენერგომოხმოვნების მიხედვით დამპროექტებელს შეუძლია ენერგოეფექტური შენობების შემომზღვდი კონსტრუქციების დაპროექტება ასეთი შენობათა თბური დაცვის განხილული ნორმირების მიღომა დაფუძნებულია შენობის როგორც ერთიანი ენერგეტიკული სისტემის განხილვაზე. ეს მიღომა გვთავაზობს მთლიანად შენობის და არა მარტო მისი ცალკეული შემომზღვდი კონსტრუქციის (კედელები, ფანჯარა, იატაკი და ა.შ.) ენერგომოხმოვნილების ნორმირებას. იმისათვის, რომ დასახული ენერგომოხმოვნების მიღწევის დროს გამოირიცხოს მიკროკლიმატის პარამეტრების დაქვეითება შემოტანილია დამატებითი მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს სათავსის ჰაერის და მისი შემომზღვდი კონსტრუქციების ზედაპირების ტემპერატურის ნორმირებას. შენობათა ენერგომოხმოვნების სისტემის ნორმირების ძირითად მახასიათებლად მიღებულია შენობის გასათბობლად საჭირო ხვედრითი ენერგოდანახარჯები და ამ დანახარჯების მიხედვით ხდება შემდგომ როგორც ცალკეული შემომზღვდავი კონსტრუქციის ასევე მთლიანად შენობის გარსის თბური დაცვის განსაზღვრა.

შემოთავაზებული ნორმატივი სწორად ასახავს შენობათა ენერგომოხმოვნილებას, რადგანაც იგი არ არის დამოკიდებული მშენებლობის რაიონის კლიმატოლოგიურ მონაცემებზე. ეს იმას ნიშავს, რომ ერთი და იგივე შენობას რომელიც სხვადასხვა კლიმატურ რეგიონში შენდება სხვადასხვა თბოდაცვითი მახასიათებლებით ერთი და იგივე სვედრითი ენერგომოხმოვნილება გააჩნიათ.

### 3. დასპბნა

2022 წლიდან საქართველოში მშენებლობის დარგში ენერგოეფექტური პროექტირების განხორციელებასთან დაკავშირებით საჭიროა საპროექტო-ნორმატიული ბაზის მთელი რიგი მოთხივნების გათვალისწინება. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა შემომზღვდი კონსტრუქციების ისეთი თბოტექნიკური მახასიათებლების და შენობათა კუთრი ენერგომოხმოვნების შერჩევა, რომელიც მასქიმალურად უზრივნელყოფს ენერგოესურსების დაზოგვას, სათავსებში ნორმალური ტემპერატურულ-ტენიანობრივი რეჟიმების შენარჩუნებით.

### ლიტერატურა

1. 1, 2014
- 2.
3. E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2014 – Bundesgesetzblatt 3951, 2013 Bonn;
4. E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2009 – Bundesgesetzblatt 3951, 2009 Bonn;
5. E<sub>n</sub>E<sub>v</sub>2014 – Директива отложенных действий или регрес энергосбережения и энергоэффективности 23 мая 2014 <http://www.enev-2014info>;
6. Schock – Bauphysik – Handbuch, 2017 [www.schueck-schweitz.ch](http://www.schueck-schweitz.ch)

## სქელკედლიანი ცილინდრის გაანბარიშება ზღვრულ დატვირთვაზე შიგა წნევის პირობებში

თ. ბაციკაძე, ნ. მურჯულია, გიორგობიანი, ვ. ტურაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** სქელკედლიანი ცილინდრული გარსი განიცდის შიგა კედელზე თანაბრად განაწილებული წნევის ზემოქმედებას. ცილინდრის მასალა უკუმშვადია, ხოლო დეფორმაცია ბრტყელი. ნაშრომში განსაზღვრულია შიგა წნევის ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც წარმოიშობა პლასტიკური ზონები, პირველ რიგ ში ცილინდრის შიგა კედელზე. თუ  $F(r) = \frac{G(r)}{r^2 K(r)}$  გუნქცია, სადაც


$G(r)$  დრეკადობის მოდულია და  $K(r)$  დენადობის ზღვარი, აქმაყოფილებს მონოტონური კლების პირობას  $[r_1, r_2]$  ინტერვალში, მაშინ პლასტიკურობა გავრცელდება ცილინდრის დანარჩენ ნაწილზე. განსაზღვრულია წნევის ის მნიშვნელობა, რომელსაც შეესაბამება მთელი ცილინდრის პლასტიკური დეფორმაცია.

**საკვანძო სიტყვები:** პლასტიკური დეფორმაცია, სქელკედლიანი ცილინდრი, წნევა, ზღვრული დატვირთვა, განმეორებადი დატვირთვა.

### 1. შესავალი

განვიხილოთ სქელკედლიანი ცილინდრის დეფორმაცია, რომელსაც იწვევს წნევა შიგა კედელზე. ცილინდრის კვეთი წარმოადგენს წრიულ როლს. ცილინდრის მასალა უკუმშვადია და იდეალურად პლასტიკური. ადგილი აქვს ბრტყელ დეფორმაციას. აქედან გამომდინარე მასალის დენადობის ზღვარი და დრეკადობის მოდული მხოლოდ რადიუსის ფუნქციებს წარმოადგენენ (ნახ. 1).

ერთგვაროვან ცილინდრში დეფორმაციის განვითარების შედეგად პლასტიკური ზონა წარმოიშვება შიგა ზედაპირზე, ხოლო არაერთგვაროვანი ცილინდრის შემთხვევაში პლასტიკური ზონა შეიძლება სხვადასხვა ადგილას წარმოიშვას.



ნახ. 1

### 2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომში [1] ნაჩვენებია, რომ პლასტიკური ზონა წარმოიშვება შიგა ზედაპირზე და შემდეგ გავრცელდება გარე კონტურზე იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ფუნქციის მონოტონური კლების პირობა  $(r_1, r_2)$  ინტერვალში

$$F(r) = \frac{G(r)}{r^2 \cdot K(r)} \quad (1)$$

ამ ფორმულაში  $G(r)$  დრეკადობის მოდულია,  $K(r)$  დენადობის ზღვარი, ხოლო  $r_1$  და  $r_2$  ცილინდრის შიგა და გარე რადიუსები.  $P_1$ -ით აღნიშნოთ დატვირთვის ის სიდიდე, რომლის დროსაც წარმოიშვება პლასტიკური დეფორმაცია შიგა ზედაპირზე;  $P_2$  იყოს დატვირთვის ის სიდიდე, რომლის დროსაც პლასტიკური დეფორმაცია გავრცელდება მთელ ცილინდრზე. დავწეროთ მათი გამოსახულებები

$$P_1 = Z \frac{K(r_1)}{G(r_1)} [g(r_1) - g(r_2)]; \quad P_2 = h(r_2) - h(r_1) \quad (2)$$

$$g(r) = - \int \frac{G(r)}{r^3} dr; \quad h(r) = Z \int \frac{K(r)}{r} dr \quad (3)$$

ახლა დაგუშვათ, რომ ცილინდრის შიგა დატვირთვა  $P$  არის განმეორებადი. როგორც ცნობილია განმეორებადი დატვირთვა იწვევს ცილინდრის კვეთებში ნარჩენი ძაბვების წარმოქმნას, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ

ცილინდრის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე დატვირთვის შემდგომი ციკლების დროს.

თუ მოთხოვნა ისეთია, რომ გააწერიშების მიზმიდან გამომდინარე დაუშვებელია პლასტიკური დეფორმაციების არსებობა, მაშინ შიგა წნევა არ უნდა აღემატებოდეს  $P_1$ -ს. აქეთ უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებადი შეზღუდული პლასტიკური დეფორმაციები, რომლებიც ერთმანეთს მისდევენ არ ქმნიან კონსტრუქციის ნგრევის საფრთხეს. სხვა სურათი გვაქვს, თუ ამგვარი დეფორმაციები საწინააღმდეგო ნიშნის იქნება. ამ შემთხვევაში აუცილებლად მოხდება კონსტრუქციის რღვევა.

ამგვარად ორი სახის საფრთხესთან გვაქვს საქმე

- 1) შიგა  $P$  წნევა მრავალჯერადია, მაგრამ ერთნიშნა, მოსალოდნელია განვითარდეს შეუჩერებელი პლასტიკური დენადობა.
- 2)  $P$  – წნევა ციკლურია (სხვადასხვა ნიშნის) რომელიც გარანტირებულად გამოიწვევს ცილინდრის რღვევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გვექნება

$$P_{\text{ცლ}} = m_{2\omega} [2P_1, P_2] \quad (4)$$

$$\text{ანუ} \quad P_{\text{ცლ}} < P_2 \quad \text{თუ} \quad P_2 < 2P_1 \quad (5)$$

$$P_{\text{ცლ}} < P_1 \quad \text{თუ} \quad 2P_1 < P_2 \quad (6)$$

პირობიდან  $P_2 = 2P_1$  მივიღებთ

$$h(r_2) - h(r_1) = \frac{4K(a)}{G(a)} r_1^2 [g(r_1) - g(r_2)] \quad (7)$$

(2) და (3) ფორმულების საფუძველზე მივიღებთ

$$\int_{r_1}^{r_2} \frac{K(r)}{r} dr = 2 \frac{K(r_1)}{G(r_1)} r_1^2 \left[ - \int \frac{G(r)}{r^3} dr \right] \quad (8)$$

როცა მასალის დრეკადი და პლასტიკური არაერთგვაროვნება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ანუ ადგილი აქვს ტოლობას

$$[K(r)]^2 = K_0 \frac{G(r)}{G_0}$$

მაშინ მე-8) პირობა მიიღებს სახეს

$$\int_{r_1}^{r_2} \frac{K_0 \sqrt{\frac{G(r)}{G_0}}}{r} dr = 2 \frac{K(r_1)}{G(r_1)} \left[ - \int_{r_1}^{r_2} \frac{G(r)}{r^3} dr \right] \quad (9)$$

განვიხილოთ ისეთი მაგალითი, როცა ცილინდრის მასალა დრეკადათ ერთგვაროვანია, ხოლო პლასტიკურად არაერთგვაროვანი. ასეთ შემთხვევაში (2)

$$\text{და (3) მიიღებენ შემდეგ სახეს} \quad P_1 = K(r_1) \begin{bmatrix} 1 & \frac{r_1'}{r_1^2} \end{bmatrix} \quad (10)$$

$$P_2 = 2 \int_{r_1}^{r_2} \frac{K(r)}{r} dr \quad (11)$$

როცა  $P_2 = 2P_1$  მივიღებთ შემდეგ თანაფარდობებს

$$\int_{r_1}^{r_2} \frac{K(r)}{r} dr = K(r_1) \left[ 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right]$$

აქედან გარდაქმნის შედეგად მივიღებთ

$$1 - e^{\alpha(r_2 - r_1)} = \alpha \cdot r_1 \left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right) \quad (12)$$

იმ კერძო შემთხვევაში, როცა  $K(r) = K_0 \cdot r \cdot e^{-\alpha r}$  (12)-დან მივიღებთ

$$\int_{r_1}^{r_2} K_0 \cdot r \cdot e^{-\alpha r} \cdot dr = K(r_1) \left[ 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right] \quad (13)$$

გავითვალისწინოთ, რომ  $\alpha$ -არმოადგენს მცირე პარამეტერს ფუნქცია  $e^{\alpha(r_2 - r_1)}$  წარმოვადგინოთ მწერივის სახით და ამ მწერივიდან ავიღოთ პირველი ორი წევრი, ამის შემდეგ (13)-დან გამომდინარე გვექნება

$$\left(\frac{r_1}{r_2}\right)^2 + \frac{r_2}{r_1} - 2 = 0 \quad (14)$$

საიდანაც

$$\frac{r_2}{r_1} = \frac{1 + \sqrt{5}}{2} \quad (15)$$

აქედან გამომდინარე ზღვრული მდგომარეობის პირობას ექნება შემდეგი სახე

$$P_{\text{ყვ3}} < P_2 \quad \text{თუ } \frac{r_2}{r_1} < \frac{1+\sqrt{5}}{2} \quad (16)$$

$$P_{\text{ყვ3}} < 2P_1 \quad \text{თუ } \frac{r_2}{r_1} > \frac{1+\sqrt{5}}{2} \quad (17)$$

[1] ნაშრომის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ცილინდრიდან სფეროზე გადასვლა, რომლისთვისაც ზღვრული დატვირთვების სიდიდეები იქნება

$$P_1 = 2 \frac{Q(r_1)}{G(r_1)} r_1^3 [q_0(r_1) - q_0(r_2)]; \quad P_2 = h_0(r_2) - h_0(r_1) \quad (18)$$

სადაც

$$h_0(r) = 2\sqrt{3} \int r^{-1} \cdot K(r) dr; \quad q_0 = - \int r^{-4} \cdot G(r) dr \quad (19)$$

$$P_{\text{ყვ3}} = \min \left\{ r \cdot \frac{r_1^3 \cdot Q(r_1)}{G(r_1)} [q_0(r_1) - q_0(r_2)] \cdot [h_0(r_2) - h_0(r_1)] \right\}$$

$$P_2 = 2\sqrt{3} \int r^{-1} \cdot K(r) dr \quad (20)$$

თუ პლასტიკურ არაერთგვაროვნებას აქვს სახე

$$K(r) = K_0 \cdot e^{-\alpha r} \quad (21)$$

$$P_1 = \frac{2\sqrt{3} \cdot K_0}{3} \cdot e^{-\alpha r} \left[ 1 - \left( \frac{r_1}{r_2} \right)^3 \right]; \quad (22)$$

$$P_2 = 2\sqrt{3} \int \frac{K_0 \cdot e^{-\alpha r}}{r} \cdot dr = 2\sqrt{3} K_0 \cdot E_1(-\alpha r)$$

ასეთ კერძო შემთხვევაში მივიღებთ

$$\frac{r_2}{r_1} < R_0 \quad P_{\text{ყვ3}} < P_2 = 2\sqrt{3} K_0 [-E_i(-\alpha r_1) + E_i(-\alpha r_2)] \quad (23)$$

$$\text{და} \quad P_{\text{ყვ3}} < 2P_2 = \frac{4\sqrt{3}}{3} K_0 \cdot e^{-\alpha r} \cdot \left[ 1 - \left( \frac{r_1}{r_2} \right)^3 \right] \quad \text{როცა} \quad \frac{r_2}{r_1} > R_0$$

$R_0$  – გამოითვლება შემდეგი განტოლებიდან

$$2e^{-\alpha r} \left[ 1 - \left( \frac{r_1}{r_2} \right)^3 \right] = 3[E_i(-\alpha r_2) - E_i(-\alpha r_1)]$$

### 3. დასტვნა

შესწავლით სქელკედლიანი ცილინდრის დრეკად-პლასტიკური დეფორმაციები. განსაზღვრულია შიგა წნევის ის მნიშვნელობა, რომლის დროსაც შიგა ზედაპირზე წარმოიშობა პლასტიკური ზონები. განსაზღვრულია აგრეთვე წნევის ის მნიშვნელობა, რომელსაც შეესაბამება პლასტიკური დეფორმაციები მთელ ცილინდრში. ჩამოყალიბებულია ცილინდრის რდგვევის პირობები. მიღებულია ზღვრული დატვირთვის მნიშვნელობები.

### ლიტერატურა

1. . . . . 1956 . 3.
2. თ. ბაციკაძე, ნ. მურლულია, ჯ. ნიუარაძე “ სქელკედლიანი სფერული გარსის არადრეკადი დეფორმირმაციები მუდმივი ტემპერატურული გრადიენტის პირობებში”. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” №2 (5) 2007 წ.

## სეტების საჭიროებო სისტემების დამზადება ტინასწარდაპაპული რპინაპეტონის ბოძების გამოყენებით

ა. ნადირაძე, ი. შიხაშვილი, დ. გოცაძე, ბ. ჭავჭავაძე, ა. ჯანჯლავა  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** შ.კ.ს. „მიქსორი“-ს ქარხანაში დამზადდა სეტების საწინააღმდეგო  
სისტემები, რომლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს  
წინასწარდაპაპული რკინაბეტონის ბოძები, ნაკეთობა დანერგილია გორში,  
ქსოვრისში, ქარელში, დუშეთში რომელიც მეტად სასარგებლოვა  
აღნიშნულ რკინაბეტონის ბოძების უკეთ განვითარებისათვის.  
**საკვანძო სიტყვები:** წინასწარდაპაპული რკინაბეტონის ელემენტები,  
სეტების საწინააღმდეგო სისტემები, დამჭერი ბაზირები, ფიტინგები.

### 1. შესავალი

საქართველოში გაფრცელებულია სუბტროპიკული კლიმატური პირობების  
თითქმის ყველა ტიპი: ნოტიო-სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო, ზომიერად  
მშრალი და მშრალი კლიმატურია. ჩამოთვლილი კლიმატური პირობებიდან  
ხელსაყრელია ზომიერად ზომიერად მშრალი სუბტროპიკული ჰავა  
მევნენახეობის, მებაღეობის და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის მასების შემოჭრას შეუძლია  
მკვეთრად შეცვალოს ამინდი. ზაფხული ჩვენს ქვეყნაში კლიმატისა და  
ამინდის მკვეთრი ცვლილებით გამოირჩევა. მაღალმა ტემპერატურამ უხვი  
ნალექის ფონზე, რეგიონებში არაერთხელ დააზარალა სოფლის მეურნეობა.  
ბუნებრივი ნალექები, სეტების სახით წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს  
ხეხილისა და სხვა კულტურული მცენარეების ბადებისათვის.

სეტები სანგრძლივი არ არის, იგი ძირითადად მოდის აღმოსავლეთ  
საქართველოში და გრძელდება საშუალოდ 10 – 15 წუთს. სეტების ღრუბელი  
გადადგილდება ტერიტორიაზე საშუალოდ 20 – 30 კმ/სთ სიჩქარით და  
აზიანებს 15 – 25 კმ სიგრძის და 1-2 კმ სიგანის ტერიტორიას.

აღნიშნული დრო სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გაანადგუროს  
ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სოფლის მეურნეობის დარგებს, ამიტომ  
ბადების დაცვა გამანადგურებელი სეტებისგან წარმოადგენს ძალიან  
მნიშვნელოვან სახელმწიფო პროგრამას სოფლის მეურნეობისათვის.

ჩვენი ქვეყნა უძველესი დროიდან ცნობილია ვაზის კულტურით, ამიტომ  
ვენახის დაცვა სეტებისგან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ბოლო პერიოდში  
საქართველოში შ.კ.ს. „მიქსორის“ გუნდის მიერ შეიქმნა და დაინერგა  
სეტებისგან დამცავი კონსტრუქციები. ევროპაში სეტებისგან დასაცავად  
ძირითადად გამოიყენება თანამედროვე სეტების საწინააღმდეგო სისტემები,  
რომლებიც შედგება როგორც წესი რკინაბეტონის ბოძებისაგან, დამჭერი  
ბაგირებისაგან, სპეციალური სეტების საწინააღმდეგო ბადებისაგან და მისი  
დამჭერი ფიტინგებისაგან.

სეტების საწინააღმდეგო სისტემები, როგორც წესი, გარდა ძირითადი  
ფუნქციისა, ასევე იცავს ბადებს ფრინველებისაგან და ქარისაგან. დამცავი  
ბადე აგრეთვე იძლევა საშუალებას თანაბრად გადანაწილდეს განათება  
მცენარეებზე, საჭიროების შემთხვევაში კი შემცირდეს მზის ზემოქმედების  
ინტენსივობა და შეიცვალოს შუქის ნაკადის სპექტრი.



## 2. ძირითადი ნაშილი

შ.კ.ს. „მიქსორის“ რკინაბეტონის ქარხანაში 2015 წლიდან დაიწყო სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებისათვის წინასწარდაბაბული რკინაბეტონის ბოძების წარმოება, რისთვისაც სპეციალურად აეწყო საწარმოო ტექნოლოგიური ხაზი.

ამ ეტაპზე ქარხანა აწარმოებს რკინაბეტონის ბოძებს სიგრძით 5 მ. განიკვეთის ბოძების ტრაპეციული კეფისა, სიმდლით 94 მმ, სიგანით 94 მმ და 80 მმ. ბოძებით არმირებულია, 6 ცალი წინასწარდაბაბული ბაგირით BP – II, დიამეტრით 5 მმ. ბოძების წარმოებისათვის გამოიყენება B 40 კლასის წვრლიმარცვლოვანი ბეტონი.

შემკვრელის შემვსებების და დანამატის გამოყენებით გაანგარიშებული იქნა რკინაბეტონის ბოძების 1 მ3 ბეტონის ნარევის ოპტიმალური შედგენილობა

ცხრილი 1

შემადგენელი მასალების რაოდენობა					
ცემენტი	წელი ლ.	ქვიშა (0 – 2 მმ)	ქვიშა (2 – 5 მმ)	ღირღი (5 – 10 მმ)	ქიმიური დანამატი %
1	2	3	4	5	6
580	170	225	665	750	1,1 % (6, 38გ)

მჭიდა მასალა, რომელსაც ვიყენებთ აღნიშნული ბეტონის მისაღებად წარმოებულია კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“-ს მიერ. გამოყენებულია CEM – 42,5 ტიპის ცემენტი. ჰაიდელბეგის ცემენტი გადის შემოწმებას EN 197-1 სტანდარტის მიხედვით ცემენტი აქმაყოფილებს სტანდარტის ყველა კრიტერიუმს. შემვსებები რომლებიც გამოყენებულია ბეტონის დასამზადებლად მიეწოდება ქსოვრისის კარიერიდან, მასალები მოწმდება მიქსორის ლაბორატორიაში, შემოწმება ხდებასაქართველოში მოქმედი სტანდარტებით (EN; ГОСТ). აღნიშნული შედგენილობით, უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული იქნა სეტყვის საწინააღმდეგო რკინაბეტონის ბოძები თბოტენიანი დამუშავებით.

ბოძების წარმოება ხდება სპეციალურ საწარმოო ხაზზე. ხაზის სიგრძეა 120 მ. რომელზეც ერთდროულად მზადდება 144 ცალი ბოძი. ხაზი შედგება 24 ცალი ლითონის ყალიბებისაგან, დამჭიდებული მექანიზმებისაგან და ბეტონის ჩამწყობი დანადგარისაგან, რომელიც აგრეთვე აღჭურვილია ვიბრო მოწყობილობით. საწარმოო ხაზი აღჭურვილია კონსტრუქციის თერმულად დამამუშავებელი სისტემით.

წარმოებაში რკინაბეტონის წინასწარდაძაბული ბოძების დამზადების ტექნოლოგია მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით.

ბოძების საწარმოო ციკლი იწყება ყალიბების მომზადებო. ყალიბები ეწყობა ტექნოლოგიურ ხაზზე და იწმინდება დადგენილი მექანიზებული წესით. გაწმენდილი ყალიბები იპოხება სპეციალური საპოხი მასალით. თითოეული ყალიბის ბოლოში დამონტაჟებულია სპეციალური ჩამკეტი, „სავარცხლები“ -ს ქვედა ნაწილი.

ე.წ. „სავარცხლები“ რომლებიც აფიქსირებენ არმატურის ბაგირების მდებარეობას ყალიბებში. შემდეგ ეტაპზე სპეციალური დანადგარის საშუალებით იდება არმატურის ბაგირები, რომლებიც იკეტებიან „სავარცხლის“ ზედა ნაწილის დაყენებით. ყოველივე ამის შემდეგი მიმდინარეობს არმატურის ბაგირების დაძაბვა დომკრატების საშუალებით.

წინასწარმომზადებულ, არმირებულ ყალიბებში სპეციალური დანადგარით წარმოებს ბეტონის ნარევის ჩაწყობა ტექნოლოგიურ ხაზზე საბეტონე კალათით. ეს დანადგარი ბეტონის ნარევს თანაბრად ანაწილებს ყალიბებში და აწარმოვებს მის ვიბრირებას. ამ ოპერაციის შემდეგ დასაყალიბებელი ნაკეთობები იღებენ საჭირო სიმტკიცეს.

დაბეტონების ეტაპზე წარმოებს ბეტონის სტანდარტული საგამოცდო ნიმუშების აღება.

ყალიბებში მოთავსებულ ბეტონს დამატებით უკეთდება ვიბრირება დანადგარზე დამაგრებული ზედაპირული ვიბრატორით, რაც უზრუნველყოფს ნაკეთობების საჭირო სიმტკიცეს. დაბეტონების შემდეგ ყალიბებს ეხსნებათ „სავარცხლები“, რის შემდეგ მთლიანი ტექნოლოგიური ხაზი იფარება სპეციალური საფარით და იწყება მთელი ტექნოლოგიური ხაზის თერმული დამუშავება ორთქლით. თბორებიანი დამუშავება გრძლდება 6-7 საათი, რომელიც მიმდინარეობს ტემპერატურის თანდათანობითი მომატებით  $70^{\circ}$  –  $80^{\circ}$ -მდე. როგორც კი ტემპერატურა მიაღწევს  $70^{\circ}$  –  $80^{\circ}$  -ს მას აყოვნებენ 4 საათის განმავლობაში, რის შედეგაც ხდება მისი გაგრილება.

ნაკეთობებთან ერთად თერმულად დამუშავებას გადიან ბეტონის კუბიკებიც. საკონტროლო ნიმუშების ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ და საჭირო სიმტკიცის მიღწევის შემდეგ ხდება წინასწარდაძაბული ბაგირების ჩაჭრა და ბოძებზე ძალვების გადაცემა. თბორებიანი დამუშავების დამთავრების შემდეგ ხდება ბოძების ყალიბებიდან ამწით ამოღება და მისი ხარისხის კონტროლი.

ნიმუშები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინახება სპეციალურ საწყობებში. ნახ.1 გამოსახულია მზა პროდუქცია, ხოლო ნახ. 2 სეტყვის საწინააღმდეგო სისტმის საბოლოო სახე დამონტაჟებული საქართველოში, კერძოდ დუშეთში.



ნახ. 1



ნახ. 2

სეტყვის საწინააღმდეგო წინასწადაბული ბოძების ტექნიკური  
მასაზომებლები:

1. ბეტონის კლასი - 40
2. ბეტონის სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე 28 დ/დ ასაკში - 512 კგ/ სმ<sup>2</sup>
3. რკინაბეტონის ბოძის სიგრძე - 5 მ.
4. წნული არმატურა დიამეტრით - 5 მმ.
5. ყინვამედეგობა - 200

### 3. დასპეციალურობა

შ.პ.ს. „მიქსორის“ რკინაბეტონის ქარხანაში დამზადებული იქნა  
წინასწარდაბული რკინაბეტონის ბოძები, რომლებიც გამოყენებული იქნა  
სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის შექმნისათვის და დამონტაჟებულია გორის,  
კასპის და დუშეთის რაიონებში.

### ლიტერატურა

1. ა. ნადირაძე. საშენი მასალები და ნაკეთობები. თბილისი 2014, გვ. 50-60
2. ა. ნადირაძე. ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა ტექნოლოგია. თბილისი. 1994, გვ. 100-200

## დახრილი ხიმინჯების გაანბარიშება გ. დანელია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია დახრილი კიდული ხიმინჯის გაანგარიშების მეთოდიკა. კერძოდ, ხიმინჯების სიგრძისა, განივევეთის ფართისა და დახრის კუთხის სათანადოდ შერჩევით მოცემულია ხიმინჯის ოპტიმალური განივევეთის გაანგარიშება.

**საკვანძო სიტყვები:** ხიმინჯოვანი საძირკვლები, კიდული ხიმინჯები, გრუნტის აქტიური და პასიური დაწყლა, ხიმინჯის ძღვრადობა, მაქსიმალური ძალვები ხიმინჯში.


### 1. შესავალი

ვერტიკალური ხიმინჯების ზიდვის უნარი განპირობებულია როგორც ხიმინჯის მასალის სიმტკიცით, ასევე ხიმინჯის გარშემო გრუნტის სიმტკიცით. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ კიდული ხიმინჯების ზიდვის უანრი მასალის მიხედვით გაცილებით დიდია ხიმინჯის ზიდვის უნარზე გრუნტის სიმტკიცის მიხედვით.

ხიმინჯის დახრილად მოწყობის შედეგად შესაძლებელია მიღწეული იქნეს ხიმინჯის ოპტიმალური გაბარიტები.

### 2. ძირითადი ნაწილი


დახრილი ხიმინჯები წარმოადგენენ მცირე დიამეტრის ქქონე ნაბურღ-ნატენ ხიმინჯებს, რომელთა მოწყობა გრუნტში წარმოებს დახრილად გარკვეული კუთხით.



ნახ. 1 ხომინჯოვანი საძირკვლელი დახრილი ხიმინჯებით

ხიმინჯის მასალის უკეთ გამოყენების მიზნით ხიმინჯი უნდა მოეწყოს დახრილად. ამ შემთხვევაში მცირდება ხიმინჯზე მოქმედი განივი ძალა, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ხიმინჯის განივევეთის ფართი. მეორე მხრივ, ხიმინჯზე იმოქმედებს განივი ძალა, რაც გამოიწვევს ხიმინჯის დუნგას. ამგვარად, ხიმინჯის სიგრძის, განვიკვეთის ფართის და დახრის კუთხის სათანადო შერჩევით შეიძლება მიღწეული იქნეს, რომ ხიმინჯის ზიდვის უნარი მასალისა და გრუნტის მიხედვით გაუტოლდეს ერთმანეთს ე.ო.  $P_{\text{მასალა}} = P_{\text{გრ.}}$ . რაც წარმოადგენს ოპტიმალური ხიმინჯის შერჩევის პირობას.

დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის ვიღებთ შემდეგ საანგარიშო სქემას



ნახ. 2 დახურილი ხიმინჯის საანგარიშო სქემა

განივი ძალა Q იწვევს ხიმინჯის შემობრუნებას O წერტილის მიმართ, რომლის ორდინატა y<sub>0</sub> უცნობია. მიღებული სქემის თანახმად ხიმინჯი მუშაობს როგორც კონსტრუქცია დრეკად გარემოში. დრეკადი გარემოს მახასიათებელი ანუ გრუნტის დაყოლობის კოეფიციენტი წარმოადგენს ცვლად სიდიდეს, რომელიც სიდრმეში იზრდება. აღნიშნული სქემა ზუსტად ასახავს ხიმინჯის მუშაობას, მაგრამ იგი მეტისმეტად რთულია.

ანგარიშის გამარტივების მიზნით შემოგვაპვს შემდეგი დაშვებები:

1. უგულებელვეოთ ხიმინჯის დეფორმაცია სიმცირის გამო და მას განვიხილავთ როგორც ხისტ ძელს, რომელიც ბრუნავს O წერტილის გარშემო;
  2. ხიმინჯის განივალეთის სიმცირის გამო არ ვითვალისწინებთ ხიმინჯის საკუთარ წონას;
  3. გრუნტის დაწოლას ხიმინჯის გვერდით პირეულზე განვიხილავთ როგორც გრუნტის აქტიურ და პასიურ დაწოლას.

საანგარიშო სქემის თანახმად ხიმინჯის AO უბანზე მარცხიდან იმოქმედებს გრუნტის აქტიური დაწოლა ინტესივობით

$$e_{AO}^{\circ} = j y d t g^2 \left( 45^\circ - \frac{\ell}{2} \right); \quad 0 \leq y \leq y_0$$

სადაც j – გრუნტის კუთრი წონაა, φ - გრუნტის შიგა ხახუნის კუთხე, d – ხიმინჯის დიამეტრი ან განივევთის ზომა.

$$e_{AO}^3 = jydtg^2 \left( 45^\circ + \frac{\{ }{2} \right); \quad 0 \leq y \leq y_0$$

$$e_{OB}^3 = jydtg^2 \left( 45^\circ + \frac{\{}}{2} \right); \quad y_0 \leq y \leq H$$

$$e_{OB}^{\circ} = jydtg^2\left(45^\circ - \frac{\ell}{2}\right); \quad y_0 \leq y \leq H$$

მოვახდინოთ ეპიურების დაჯამება. სიმინჯის OA უბანზე მარჯვნივ იმოქმედებს გრუნტის დაწოლა ინგენიორული მოვალეობის გარეშე.

$$E_{AO}^{\text{absorb}} = jyd \left[ \tan^2 \left( 45^\circ + \frac{\ell}{2} \right) - \tan^2 \left( 45^\circ - \frac{\ell}{2} \right) \right]; \quad 0 \leq y \leq y_0$$


ხიმინჯის OB უბანზე მარცხნივ იმოქმედებს გრუნტის დაწოლა ინტესივობით

$$E_{OB}^{\text{გამოვიდოთ}} = jyd \left[ \tg^2 \left( 45^\circ + \frac{\ell}{2} \right) - \tg^2 \left( 45^\circ - \frac{\ell}{2} \right) \right]; \quad y_0 \leq y \leq H$$

შემოვიდოთ აღნიშვნა

$$m = jd \left[ \tg^2 \left( 45^\circ + \frac{\ell}{2} \right) - \tg^2 \left( 45^\circ - \frac{\ell}{2} \right) \right]; \quad \text{აღმინ} \quad E_{AO}^{\text{გამოვიდოთ}} = ym, \quad 0 \leq y \leq y_0 \quad \text{და}$$

$$E_{AO}^{\text{გამოვიდოთ}} = ym \quad y_0 \leq y \leq H.$$



ნახ. 3 ძაბვების განაწილება გრუნტში


ხიმინჯის მობრუნების O წერტილში მივიღეთ ძაბვების მკვეთრი ნახტომი I სქემა, რაც გრუნტული გარემოს პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა მიღებული ძაბვების ეპიურების კორექტირება. მიღებული ძაბვების ეპიურა შეიძლება შევცვალოს პარაბოლური მოხაზულობის ეპიურით (სქემა II), რომელიც გადაკვეთს ხიმინჯს O წერტილში.

უფრო მარტივი იქნება ძაბვების ტეხილი ეპიურის სქემა III (ნახ. 3).

ძაბვების აღნიშნული ეპიურის (ნახ. 3 სქემა III) აგებისათვის საჭიროა ვიცვლეთ  $\sigma_B$  და  $y'$  მნიშვნელობები, რომლებიც განისაზღვრებიან შემდეგი პირობებიდან

$$\sum x = 0 \quad \sum M_B = 0$$

შევცვალოთ ეპიურა (სქემა III) ორი ეპიურის ჯამით (ნახ. 4)



ნახ. 4 ჯამითი ძაბვები

$$\sum x = Q \cos r - P \sin r - \frac{mH^2 d}{2} + \frac{d(\tau_B + H \cdot m)(H - Y')}{2} = 0$$

$$M_B = Q \frac{H}{\cos r} - \frac{mH^3 d}{6} + \frac{d(\tau_B + H \cdot m)(H - Y')^2}{6} = 0$$

მარტივი გარდაქმნების შედეგად მივიღებთ

$$y' = H - \frac{mH^3d - 6Q \frac{H}{\cos r}}{2P \sin r - 2Q \cos r + mH^2d} \quad (1)$$

$$\ddot{\tau}_B = \frac{(2P \sin r - 2Q \cos r + mH^2d)^2}{mH^3d^2 - 6Q \frac{H}{\cos r}} - mH \quad (2)$$

მაქსიმალური ძაბვა რომელიც შეიძლება აიტანოს გრუნტმა B წერტილში შედაგენს

$$\ddot{\tau}_B^{\max} = mH \quad (3)$$

მაშინ ხიმინჯის მდგრადობის პირობა ჩაიწერება შემდეგნაირად

$$\ddot{\tau}_B \leq \ddot{\tau}_B^{\max} \quad (4)$$

ხიმინჯის ანგარიში წარმოებს შემდეგნაირად. ჯერ დაინიშნება ხიმინჯის სიგრძე, განივალეთის ზომები და დახრის კუთხე. განისაზღვრება ხიმინჯზე მოსული დატვირთვები Q და P. ძაბვა σB ხიმინჯის წვერზე B წერტილში განისაზღვრება (2) ფორმულით და შემოწმდება (4) პირობა. ხიმინჯის აღნიშნული ზომები საკმარისია თუ ხიმინჯის მდგრადობის პირობა (4) დაკმაყოფილებულია.

უნდა შემოწმდეს ასევე ხიმინჯის ზოდვის უნარი გრუნტის მიხედვით ხიმინჯის თავზე მოდებული გრძივი P ძალის მიხედვით

$$P \leq \sum_c \left( x_c R A + U \sum_{i=1}^n x_{cf} f_i h_i \right)$$

მას შემდეგ რაც შერჩეული იქნება ხიმინჯის ზომები, უნდა შემოწმდეს ხიმინჯი დუნგაზე. მაქსიმალური მდუნავი მომენტი ხიმინჯის კვეთში იქნება იქ სადაც განივი ძალა უდრის ნულს.

$$Q_y = Q - \frac{my^2 d}{2} = 0 \quad (5)$$

$$y_{\max} = \sqrt{\frac{2Q}{md}} \quad (6)$$

მაქსიმალური მდუნავი მომენტი ხიმინჯის განივალეთში განისაზღვრება ფორმულით

$$M_{\max} = Q \cdot y_{\max} - \frac{my_{\max}^3 d}{6} \quad (7)$$

მიღებული მაქსიმალური მომენტის მიხედვით შეირჩევა ხიმინჯის არმირება.

### 3. დასპპნა

ნაშრომში მოცემულია დახრილი კიდული ხიმინჯის გაანგარიშების მეთოდიკა, რომლის საშუალებით ხიმინჯის სიგრძის, განივალეთის ფართისა და დახრის კუთხის სათანადოდ შერჩევით მიღწევა ხიმინჯის ოპტიმალური დაპროექტება.

### ლიტერატურა

- |    |   |
|----|---|
| 1. | 2.02.03-85  |
| 2. | 2.02.01-85  |
| 3. | Справочник проектировщика. Основания и фундаменты. М.-Л. 1985 |

## რპინაბეჭოით შემსებული ფოლადის მიღის ცენტრალური კუმუნიკაცია

ნ. მურდულია, თ. მაღრაძე, ქ. იაშვილი, ლ. ყორდანაშვილი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია რკინაბეჭონით შევსებული ფოლადის  
მიღის, ცენტრალური კუმუნიკაციის სტატიკურად ურკვევადი ამოცანა.  
შესწავლილია განხილული კონსტრუქციის დაძაბულ-დეფორმირებული  
მდგომარეობა, გადაწყვეტილია საპროექტო ამოცანა და ნაჩვენებია მისი  
ძირითადი დადგებითი გამოყვანისამდები.

**საკვანძო სიტყვები:** რკინაბეჭონი, ფოლადის მიღი დრეკადობის მოდული,  
კუმუნიკაციის კანონი, დენადობის ზღვარი, სიმტკიცის ზღვარი, სააგარიშო  
წინაღობა, ზღრული მდგომარეობათა მეთოდი.

### 1. შესავალი

რკინაბეჭონით შევსებული ფოლადის მიღი (ბშმ), როგორც მზიდი  
კონსტრუქცია პირველად გამოყენებული იქნა 1931 წელს პარიზის შემოგარენში 9  
მეტრის სიგრძის ერთმალიანი ხიდის მშენებლობის დროს ამ ხიდის ორი თაღი  
შესრულებულია ბეტონით შევსებული ექვსი მილისაგან დიამეტრით 60X3,5 მმ.

1936 წელს სანკტ-პეტერბურგში მდინარე ნევაზე აგებული იქნა ერთმალიანი,  
უირიბნო წამწის ხიდი სიგრძით 101 მ. აქ გამოყენებული იქნა ბჟფმ-ის  
მსხვილგაბარიტიანი პაკეტი, რომელიც შედგებოდა 40 ბჟფმ-გან დიამეტრით 140X5  
მმ [1].

ხიდმშენებლობის გარდა ბშმ წარმატებით გამოიყენება სამოქალაქო და  
სამრეწველო მშენებლობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რკბშფმ-ის  
შიდა ზედაპირზე კოროზიის შეუძლებლობის გამო მისი კოროზიამედეგობა 2-ჯერ  
იზრდება, სიმტკიცე კი 1,8÷2,7-ჯერ [2].

რკბშფმ გამოირჩევა მაღალი მზიდუნარიანობით, ის წარმოადგენს ორი  
სხვადასხვა მასალის სიმტკიცის მახასიათებლების ოპტიმალური კომბინაციის  
საცხოვ მაგალითს, რაც ვლინდება ლითონის (ხშირ შემთხვევაში ფოლადი),  
რკინაბეჭონის და ბჟფმ-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შედარების  
დროს. კერძოდ ბჟფმ ლითონის კოლონასათან შედარებით იძლევა მასალის 56%  
ეკონომიას. ფასი 74%-ით მცირეა, ხოლო საერთო დანახარჯები მცირდება 62%-ით,  
რაც შეეხება რკინაბეჭონის კოლონას მასთან შედარებით ბჟფმ 2-ჯერ ამცირებს  
მასლათა ხარჯს, მათ შორის ბეტონს. პუბლიკაციებში ხახვასმულია შრომის  
დანახარჯების საგრძნობი კლება, დაახლოებით 2-ჯერ, რაც გამოწვეულია  
არმირების მკვეთრი შემცირებით და აქედან გამომდინარე მის მოწყობაზე  
გახარჯული შრომის და დროის ეკონომიით. ამავე დროს ფოლადის მიღი და  
საზოგადო მიღი ასრულებს მოუხსნელი ყალიბის მოვალეობას. ყველაფერი ეს  
აიხსნება შრომის დანახარჯების შემცირებაში, რაც უმეტეს შემთხვევაში  
„თამაშობს“ 100%-200% შორის.

### 2. ძირითადი ნაშილი


განვიხილოთ ერთი ბოლოთი ხისტად ჩამაგრებული ძელი, რომელიც შედგება  
წვრილმარცვლოვანი არმირებული ბეტონით შევსებული ფოლადის მიღისაგან  
(ნახ. 1). რკბშფმ კონსტრუქციულ ელემენტზე მოქმედი დერბული F ძალა  
გადანაწილდება ელემენტის შემადგენელ კომპონენტებზე (ნახ. 1 გ). გვექნება:

$$\sum Z = 0; \quad F = F_p + F_c + F_r \quad (1)$$

სადაც:  $F_p$ ,  $F_c$  და  $F_r$  ფოლადის მიღზე, ბეტონზე და არმატურაზე მოსული  
გარე  $F$  დატვირთვის ნაწილი.

ამოცანა სტატიკურად ურკვევადია.

გგულისხმობთ, რა კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტებს შორის სრულ კონტაქტს, რაც იწვევს ძალშვისას მათ ერთოდაიგივე სიდიდით შემოკლებას [3].



ნახ. 1

პუქის კანონის თანახმად გვექნება:

$$\frac{N_p \ell}{E_p A_p} = \frac{N_c \ell}{E_c A_c} = \frac{N_f \ell}{E_f A_f} \quad (2)$$

სადაც  $p$  ინდექსი  $p$  აღნიშნავს მილს (pipe) მილი;

$c$  ინდექსი  $c$  აღნიშნავს არმატურის (fixcyre - არმატურა);

$f$  ხოლო ინდექსი  $f$  აღნიშნავს ბეტონს (concrete - ბეტონი);

$$\text{აქ } N_p = F_p, \quad N_c = F_f, \quad N_f = F_c$$

(2)-ისა და (1) ერთობლივი ამოხსნით განისაზღვრება თითოეულ კომპონენტები მოსული ძალავა. დაგუშვათ, რომ  $E_f = E_p$ , მაშინ გვექნება:

$$\begin{aligned} F_c &= \frac{F_c / A_c \cdot A_c}{E_c / E_f A_c + A_p + A_f} F, \\ F_p &= \frac{A_c / A_c \cdot A_c}{E_c / E_f A_c + A_p + A_f} F \\ F_f &= \frac{A_f}{E_c / E_f A_c + A_p + A_f} \end{aligned} \quad (3)$$

ძაბვათა შესაბამისი კომპონენტები კი მიიღებენ სახეს

$$\dagger_c = \frac{E_c / E_f}{E_c / E_f A_c + A_p + A_f} \dagger_p = \dagger_f = \frac{1}{E_c / E_f A_c + A_p + A_f} \quad (4)$$

$$\text{ზოგადად ძაბვათა ფარდობა გვაძლევს } \frac{\dagger_c}{\dagger_p} = \frac{E_c}{E_p}, \quad \frac{\dagger_p}{\dagger_f} = \frac{E_p}{E_c}, \quad \frac{\dagger_f}{\dagger_c} = \frac{E_f}{E_c}; \quad (5)$$

3%-იანი არმირების შემთხვევაში (4) ფორმულები გამოისახება შემდეგნაირად:

$$\dagger_c = \frac{s}{0,809065 - 0,023565s - 0,7855r^2(1-s)} \frac{F}{D^2}$$

$$\dagger_p = \dagger_f = \frac{1}{0,809065 - 0,023565s - 0,7855r^2(1-s)} \frac{F}{D^2} \quad (6)$$

სადაც:  $s = E_c / E_f$

$D$  – ფოლადის მიღის გარე დიამეტრია;  $r = d / D$   $d$  – ფოლადის მიღის შიგა დიამეტრია.

რეინაბეტონით შევსებული ფოლადის მიღის ზღვრული მდგომარეობა დამყარდება მაშინ როდესაც ძაბვები ფოლადის მიღსა და არმატურაში ერთდროულად მიაღწევენ დენადობის ზღვარს, ანუ  $\dagger_p = \dagger_f = \dagger_y$ . ზღვრული ძალვა ამ შემთხვევისათვის მიიღებს სახეს:

$$N_u = \dagger_c A_c + R_y (A_p + A_f) \quad (7)$$

$$(5) \text{ ფორმულის გათვალისწინებით: } \dagger_c = s \cdot R_y \quad (8)$$

$$(8) \text{ ჩაგვავთ (7)-ში } N_u = R_y A_f \left( 1 + \frac{sA_c + A_p}{A_f} \right) \quad (9)$$

$$\text{შემოვიტანოთ აღნიშვნა } 1 + \frac{sA_c + A_p}{A_f} = k_c \quad (10)$$

სადაც  $k_c$  კოეფიციენტი ზოგად შემთხვევაში ითვალისწინებს რეინაბეტონის და ფოლადის მიღის ერთობლივ მუშაობას [4], ამასთან  $k_c > 1$ .

შესაბამისად გვექნება:  $N_u = R_u A_f K_c$

$$\begin{aligned} \dagger_c &= s A_f^{-1} k_c^{-1} F / D^2 \\ \dagger_p &= \dagger_f = k_c^{-1} A_f^{-1} F \end{aligned} \quad (11)$$

$$\text{ან } N_u = 0,023565 R_u K_c D^2$$

$$\dagger_c = \frac{s}{0,023565 k_c} \cdot \frac{F}{D^2} \quad \dagger_p = \dagger_f = \frac{1}{0,023565 k_c} \cdot \frac{F}{D^2} \quad (12)$$

$$\text{აქ } k_c = 34, (3) - s - 33, (3) r^2 (1 - s) \quad (13)$$

ცხრილებში წარმოდგენილია  $k_c$  კოეფიციენტის მნიშვნელობები  $\alpha$  და  $\beta$  სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. განხილულია:

ა) ზოგადი შემთხვევა, როდესაც ფოლადის მიღი შევსებულია რეინაბეტონით (ცხრილი 1, ცხრილი 2);

ბ) პირველი კერძო შემთხვევა – ცარიელი ფოლადის მიღი (ცხრილი 3)

$$\dagger_p = \frac{F_p}{A_p} = 1,273074 \frac{F}{(1-r^2)D^2} \quad (14)$$

$$\dagger_f = \dagger_c = 0$$

გ) მეორე კერძო შემთხვევა – ბეტონით შევსებული ფოლადის მიღი (ცხრილი 4, ცხრილი 5)

$$\begin{aligned} \dagger_c &= \frac{s}{0,7855 - 0,0235659 - 0,7855r^2(1-s)} \cdot \frac{F}{D^2} \\ \dagger_p &= \frac{s}{0,7855 - 0,0235659 - 0,7855r^2(1-s)} \cdot \frac{F}{D^2} \end{aligned} \quad (15)$$

რეინაბეტონით შევსებული ფოლადის მიღი  $K_c^{-1}$  ცხრილი 1

$d/D$ $E_c/E_f$	0,80	0,84	0,86	0,88	0,90	0,94	0,96	0,99
0,0350	3,0949	3,6578	4,0399	4,5201	5,1479	7,2220	9,1191	15,3100
0,0500	3,0275	3,5543	3,9079	4,3476	4,9153	6,7330	8,3218	13,0690

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017

« »

0,0800	2,9013	3,3639	3,6687	4,0396	4,5081	5,9299	7,0834	10,1110
0,1000	2,8228	3,2480	3,5240	3,8573	4,2771	5,4931	6,4440	8,7853
0,1225	2,7394	3,1267	3,3748	3,6710	4,0345	5,0722	5,8500	7,6559
0,1500	2,6440	3,0635	3,2088	3,4664	3,7777	4,6388	5,2576	6,6163
0,1775	2,5550	2,8652	3,0584	3,2834	3,5516	4,2733	4,7742	5,8253
0,2000	2,4865	2,7704	2,9454	3,1474	3,3858	4,014	4,4401	5,3063

რკინაბეტონით შევსებული ფოლადის მილი  $\beta K_c^{-1}$   
ცხრილი 2

$d/D$ $E_c/E_f$	0,80	0,84	0,86	0,88	0,90	0,94	0,96	0,99
0,0350	0,1083	0,1280	0,1414	0,1582	0,1802	0,2528	0,3192	0,5358
0,0500	0,1514	0,1777	0,1954	0,2174	0,2458	0,3367	0,4161	0,8089
0,0800	0,0321	0,2691	0,2935	0,3232	0,3606	0,4744	0,5667	0,8089
0,1000	0,2823	0,3248	0,3524	0,3857	0,4272	0,5493	0,6444	0,8785
0,1225	0,3356	0,3830	0,4134	0,4497	0,4942	0,6213	0,7166	0,9378
0,1500	0,3966	0,4595	0,4813	0,5200	0,5666	0,6958	0,7886	0,9924
0,1775	0,4535	0,5086	0,5438	0,5928	0,6304	0,7585	0,8474	1,0340
0,2000	0,4973	0,5541	0,5891	0,6295	0,6772	0,8029	0,8880	1,6613

ცარიელი ფოლადის მილი ცხრილი 3

$\alpha$	0,80	0,84	0,86	0,88	0,90	0,94	0,96	0,99
$K_c^{-1}$	3,5363	4,3243	4,8911	5,6431	6,7004	12,9371	16,2383	63,9755

ბეტონით შევსებული ფოლადის მილი  $K_c^{-1}$  ცხრილი 4

$d/D$ $E_c/E_f$	0,80	0,84	0,86	0,88	0,90	0,94	0,96	0,99
0,0350	3,3292	3,9896	4,4469	5,0378	5,8304	8,6412	11,5048	23,4869
0,0500	3,2476	3,8615	4,2810	4,8164	5,5231	7,9280	10,2271	18,4758
0,0800	3,0960	3,6286	3,9897	4,4273	4,9964	6,8047	8,3684	12,9499
0,1000	3,0025	3,4883	3,8075	4,2010	4,6977	6,2174	7,4641	10,7970
0,1225	2,9039	3,3428	3,6270	3,9726	4,4017	5,6672	6,6550	9,0959
0,1500	2,7918	3,1808	3,4283	3,7251	4,0869	5,1140	5,8765	7,6271
0,1775	2,6881	3,0337	3,2508	3,5066	3,8142	4,6592	5,2610	6,5667
0,2000	2,6088	2,9231	3,1178	3,3460	3,6167	4,3432	4,8457	5,8960

ბეტონით შევსებული ფოლადის მილი  $K_c^{-1}$  ცხრილი 5

$d/D$ $E_c/E_f$	0,80	0,84	0,86	0,88	0,90	0,94	0,96	0,99
0,0350	0,1165	0,1396	0,1556	0,1763	0,2041	0,3024	0,4027	0,8220
0,0500	0,1624	0,1931	0,2141	0,2408	0,2762	0,3964	0,5114	0,9238
0,0800	0,2477	0,2903	0,3187	0,3542	0,3997	0,5444	0,6695	0,0360
0,1000	0,3003	0,3488	0,3808	0,4201	0,4698	0,6217	0,7464	1,0797
0,1225	0,3557	0,4095	0,4443	0,4866	0,5392	0,6942	0,8152	1,1142
0,1500	0,4188	0,4771	0,5142	0,5588	0,6130	0,7671	0,8815	1,1441
0,1775	0,4771	0,5385	0,5769	0,6224	0,6770	0,8270	0,9338	1,1656
მიწისძვრების შედევების ანალიზის დროს შეიმჩნევა, რომ საანგარიშო მიწისძვრის შედეგად ნაგებობაში, მის კონსტრუქციულ ელემენტებში ჩნდება სხვადასხვა სიდიდის ბზარები. შემდგომი განმეორებითი ბიძგების დროს ბზარების რაოდენობა იზრდება, ამავდროულად შენობების სიხისტე მცირდება და შედეგად მცირდება სეისმური დატვირთვის სიდიდეც.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი: თუ ვიციოთ, რომ შენობების სიხისტის შემცირებით შეგვიძლია შევამციროთ მასზე მოსული სეისმური ზეგავლენაც, მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ამ გზით გადავარჩინოთ ნაგებობა. ამ გარემოების ძიებამ მეცნიერები, სეისმომედეგობის სპეციალისტები, მიიყვანა ახალი სეისმოდამცავი ღონისძიებების შექმნამდე [1-4], [6-8], [13-20], [22-24]. ასე შეიქმნა ახალი სეისმოდამცავი სისტემები: სეისმოზოლაცია და სეისმოდახშობა.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რომლებიც აქტიური სეისმური ზემოქმედების ზონაში არიან განლაგებული, ფართოდ გამოიყენება 100-მდე ტიპის სეისმოზოლაციური სისტემა. ესენია: აქტიური და პასიური სისტემები.

აქტიურ სეისმოდამცავ სისტემებში რთავენ დამატებით ენერგიის წყაროებს და ელემენტებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ წყაროების მუშაობის რეგულირება.

მაგრამ მათი რეალიზაცია ითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს მათ მოწყობასა და ექსპლუატაციაზე. ეს გარემოება გამორიცხავს აქტიურ სეისმოდამცავის სისტემების ფართო გამოყენებას სამშენებლო დარგში.

პასიურ სეისმოდამცავ სისტემებში შედიან სეისმოდამხობი და სეისმოზოლაციის საშუალებები. აქ დამატებითი ენერგიის წყაროები არ გამოიყენება.

სეისმოდამხობი სისტემებში შედის დემპფერები და დინამიური დამხმობები. აქ რხევითი კონსტრუქციების მექანიკური ენერგია გადადის სხვა სახის ენერგიაში, რასაც მივყავართ რხევის დემპფერებამდე ან გადანაწილებამდე დასაცავ კონსტრუქციიდან ჩამხმობამდე.

სეისმოზოლაციის სისტემებში უზრუნველყოფილია მექანიკური ენერგიის შემცირება, რომელსაც კონსტრუქცია იღებს საფუძვლიდან, ნაგებობის რხევის სიხირის განრიდებით მოჭარბებული სიხირის ზემოქმედებიდან.

გამოიყენება სეისმოზოლაციის ადაპტირებული და სტაციონარული სისტემები.

ადაპტირებულ სისტემებში დინამიური მახასიათებლები იცვლებიან და მიწისძვრის პროცესში “მიესადაგებიან” სეისმურ ზემოქმედებას.

სტაციონალურ სისტემებში მიწისძვრის პროცესში დინამიური მახასიათებლები ნარჩენდებიან.

ამ ეტაპზე, საქართველოში სეისმოიზოლაციური სისტემების ათვისების ეტაპზე, ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ დავიწყოთ დანერგვა სტაციონალური სეისმოიზოლირებული საძირკვლებით.

ეს შესაძლებელია შესაფერისი ელასტიკური საყრდენების განლაგებით საძირკვლებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ საჭირო გადაადგილებებს მიწისზედა ნაგებობებისა, საძირკვლებისა და ელასტიკური საყრდენების მიმართ.

ელასტიკური საყრდენები ხორციელდება სპეციალური ტყვიის გულანებიანი რეზინოლითონის ტყვიის გულანებიანი სეისმოიზოლაციურებით.

ასეთი საყრდენი იზოლაციორების ეფექტურობა მიღწეულია ტყვიის გულანების მაღალი დისიპაციური ენერგიის თვისებებით. ასეთი საყრდენი მოქმედებს, როგორც დრეკად-პლასტიკური ელემენტი: უზრუნველყოფს სეისმოიზოლაციას და ზღუდავს სეისმურ ზემოქმედებას ნაგებობაზე.

რეზინოლითონის სეისმოიზოლაციორების ტყვიის გულანები საყრდენებს შესძენენ დამატებით დემატიფერების თვისებებს სეისმური ზემოქმედების დროს.

ტყვიის გულანა განაბნევს ენერგიას, ხოლო რეზინოლითონის სეისმოიზოლაციორი უზრუნველყოფს მიწისზედა ნაგებობის გადაადგილებას და რეცენტრირებას.

ტყვიის გულანას ახასიათებს რეზისტაციურია და ინარჩუნებს თავის თვისებებს გადაადგილების განუსაზღვრელი ციკლის დროს.

ნაგებობები რეზინოლითონის საყრდენებზე, მრავლად არის აგებული იაპონიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, ახალ ზელანდიაში, ჩვენს მეზობელ სომხეთში და თურქეთში. გამოკვლევებმა აჩვენა მათი მაღალი საიმედოობა და მდგრადობა.

მათი საწარმოო გამოშვება ათვისებულია სომხეთში. სომეხი კოლეგების ცნობით იქ 10 ქარხანაა ამოქმედებული. კავშირი გვაქვს საფრანგეთთან, პარიზთან ახლოს მდებარე ქარხანასთანაც.

ჩვენს მიერ 2016 წელს დამუშავდა და საკონკურსოდ წარედგინა 12 სართულიანი შენობის პროექტი საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის და ორსართულიანი სარდაფით საბავშვო ბაგაბალისათვის სეისმოიზოლაციური რეზინოლითონის საყრდენებზე [2].

საფრანგეთში აშენებული სეისმოიზოლირებული საყრდენების გამოყენებით ატომური ელექტროსადგურის შენობა ქ. კრუში წარმოადგენს ასეთი ტიპის საძირკვლების კლასიკურ მაგალითს, სადაც თანმიმდევრულადაა გამოყენებული დრეკადი და დემატიფერირებული საყრდენები. სუსტი ბიძგების დროს, როცა პორიზონტალური დატვირთვა საყრდენებზე არ ადგება ხახუნის ძალებს, სისტემა მუშაობს ხახობრივ ფარგლებში, ხოლო როცა დატვირთვა იზრდება და გადაადახავს ხახუნის ძალებს, ხდება საძირკვლის ზედა ფილის (კონსტრუქციის) გაცურება საძირკვლების მიმართ. ამ დროს ხდება დატვირთვების რამოდენიმეჯერ შემცირება, როგორც თვით შენობაზე, ისე მასში არსებულ მოწყობილობაზე.

ცხადია ახალი სისტემების ათვისების პერიოდში გვერდს ვერ ავუკლით გარკვეულ სირთულეებს, მაგალითად საყრდენების დირებულებას, მათი გამოცვლის გარკვეულ სირთულეებს, ხახუნის ძალების რეგულირებას და ა.შ.

მაგრამ სეისმოიზოლაციური სისტემების გამოყენების ეფექტურობა აშკარად. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც იციან ფულის თვლა, ეს სისტემები მასიურად ინერგება და რაც მთავარია ადამიანთა სიცოცხლე და ძვირადღირებული სამრეწველო მოწყობილობა გადარჩება. ეს კი უმნიშვნელოვანებია!!!

#### 2.4. მიწისძვრების პროგნოზირების შესახებ

საერთაშორისო კატასტროფების ცენტრის მონაცემებით დამანგრევებლი მიწისძვრების შედეგად მარტ 2008 წელს დაიღუპა 235 000 ადამიანი, ამიტომ

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერი ჩართულია ამ პრობლემის აცილების საქმეში.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, უკანასკნელ პერიოდში შექმნილია უნიკალური სისტემა ნაგებობების ფიზიკური განადგურების თავიდან ასაცილებლად—ეს ნაგებობათა სეისმო-იზოლაციის სისტემაა. მისი გამოყენებით შესაძლებელია 1-2 ბალით შევამციროთ მიწისძვრის სიძლიერე, გადავარჩინოთ შენობათა შიდა მოწყობილობა ნგრევისაგან, შევამციროთ ადამიანთა მსხვერპლი და ა.შ.

საზღვარგარეთ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აზერბაიჯანში (ქ. ბაქოში) და რუსეთში (ქ. ტომსკში) ფართო მაშტაბით გაჩადებულია სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა, ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია საწარმოო დანადგარები.

აზერბაიჯანში, ბაქოში შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს გეოლოგიური გარემოს გლობალურ ცვლილებათა პრობლემების საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე, მიწისძვრების პროგნოზირების გლობალური ქსელის პრეზიდენტი, პროფესორი ელჩინ ხალილოვი. [5]

ბატონი ხალილოვის დაპატენტებულმა მიწისძვრების პროგნოზირების, სრულიად ახლებურად გააზრებულმა, გეოფიზიკურმა ხელსაწყო-სადგურმა—ტროპატენამ 2011 წლისათვის საწარმოო მოხმარებისათვის დამზადებული 4 ასეთი სადგური დაამონტაჟა ბაქოში, საკუთარ ინსტიტუტში, ისლამაბადში (პაკისტანი), ჯაბარტაში (ინდონეზია) და სტამბულში (თურქეთი).

შეიქმნა მიწისძვრების პროგნოზირების გლობალური ქსელი (GNFE), სადაც შედიან და შევლენ ის ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ ეს ხელსაწყო-სადგური. აღნიშნული მიწისძვრების პროგნოზირების მთავარი ოფისი მდებარეობს ლონდონში, აქვთ ოფისები მიუნხენში და აშშ-ში.

ა. საკანდელიძის ცნობით [5], “ტექტონიკური ტალღები, გაივლის რა ხალილოვის ხელსაწყო-სადგურში დაახლოებით 10 ათასი კმ-ის ფარგლებში, გამოიწვევს გრავიტაციული ველის სამჯერ მკვეთრ ცვლილებას, რისი დახმარებით განისაზღვრება მომავალი მიწისძვრის ძალა, დრო, ინტენსივობა და ლოკაცია (აღგილმდებარება).

ინტერნეტის საშუალებთ სადგურები მიმდინარე სუსტ და მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრების შესახებ ინფორმაციას მუდმივად გადასცემს ცენტრალურ სადგურს მაინის ფრანკფურტში.

ეს სადგურები (ტროპატანა) მზადდება სტამბულში, ხოლო მისი სრულყოფა და ტესტირება ხალილოვის ინსტიტუტში, ბაქოში.

ა. საკანდელიძის მონაცემებით [5] მიწისძვრების პროგნოზირება 3-7 დღით ადრე უკვე შესაძლებელია.

რუსეთში ქ. ტომსკში კლიმატური და ეკოლოგიური სისტემების მონიტორინგის ინსტიტუტში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებაში, დამუშავდა გეოფიზიკური რეგისტრაციონი, რომლის საშუალებითაც პროგნოზირდება ტერიტორიების სეისმოსაშიშროება და ხდება მიწისძვრის კერის განსაზღვრაც [21].

მრავალარხიანი გეოფიზიკური რეგისტრაციონი -01 მცირე ზომისაა, იწონის 3 კბ. იგი შექმნილი იყო ელექტრომაგნიტური ველების მიწიდან გამოსხიურების გასაზომად.

ავტორების განცხადებით ეს რეგისტრაციონი ხარისხით აღემატება მსოფლიოში ყველა აქამდე ცნობილ არსებულ ხელსაწყოებს. დამუშავებულია ალგორითმი და პროგრამული უზრუნველყოფა ელექტრომაგნიტური სიგნალების “წასაკითხად”.

ახლახან ტომსკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ვიეტნამში ორი ატომური ელექტროსადგურისათვის განკუთვნილი ტერიტორია და დაადგინეს მშენებლობის

შესაძლებლობა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ მიწის წიაღში არსებული რდგევა არ არის აქტიური და ამდენად საშიში მშენებლობისათვის.

რეგისტრატორი შესაძლებელია მუდმივ მონიტორინგის სტადიაშიც ვამუშაოთ, როგორც კი დაიწყება დედამიწის ქერქის დეფორმაცია, რეგისტრატორი ახდენს მათ ფიქსაციას. ეს კი, როგორც ცნობილია მიწისძვრის წინამორბედია.

განსაკუთრებით სასარგებლოა -01-ის გამოყენება მაგისტრალურ გაზ და ნავთობსადენებზე.

ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც პ-ნ ე. ხალილოვთან, საჭიროა მრავალათასიანი ერთიანი ქსელების მოწყობა ბევრ ქვეყანაში საონადო სადგურებით.

მიწისძვრების პროგნოზირების პრობლემებზე ასევე მუშაობებ [4] საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპეციალისტები.

ცნობილია, რომ არსებული მიწისპირა და თანამგზავრული მეთოდებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნას მრავალი სახის ანომალიური გეოფიზიკური მოვლენა. ამ მოვლენებს ადგილი აქვს მიწისძვრის წინა პერიოდში და უშუალოდ დაკავშირებულია მიწისძვრის მომზადების პროცესთან.

ასეთი ელექტრომაგნიტური გამოსხივების დეტექტირება მიმდინარეობს იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში, რუსეთში.

ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს ელექტრომაგნიტური გამოსხივების დეტექტორების ქსელი, ამიტომ ზემოთ ნახსენები შრომა ეყრდნობა უცხოელი მეცნიერების ექსპერიმენტალურ მონაცემებს და ელექტროდინამიკაზე დაყრდნობით, წარმოადგენს ელექტრომაგნიტურ გამოსხივების გენერაციის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს.

“საქართველოსა და კავკასიის მიმდებარე ტერიტორიის მაღალი გეოდინამიკური აქტივობა გამოხატულია ორივე, სეისმური და ანტისეისმური დეფორმაციებით, რომელიც განპირობებულია ლითოსფეროს ფილების ჯერ კიდევ მიმდინარე მიახლოვებითი და აფრიკა-არაბეთის კონტინენტური ფილის ჩრდილოეთის მიმართულებით მოძრაობით, წელიწადში რამდენიმე მილიმეტრის სიჩქარით”.

ავტორთა ცნობით ამის გამო ბოლო საუკუნის მანძილზე, კავკასიაში 40-მდე 5 მაგნიტუდის მიწისძვრაა დაფიქსირებული.

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება მიწისძვრების რისკი, რადგან ქვეყანაში მატულობს მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა-გაზსადენების, ნავთობსადენების, კაშხლების, მასიური მრავლასართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების და ა.შ.

ამიტომად განსახილველი ნაშრომის მნიშვნელობა ღირსშესანიშნავი მიწისძვრების “წინასწარმეტყველების”, პროგნოზირების სფეროში.

მიწისძვრების პროგნოზირების, ანუ გარკვეული სიზუსტით მიწისძვრის მოხდენის დროის, ადგილის და სიძლიერის ერთდროულად განსაზღვრის შესაძლებლობას საფუძვლად უდევს წარმოდგენილი ნაშრომი.

იმისათვის, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული მეცნიერთა შრომის შედეგები პროგნოზირების შესახებ, პრაქტიკაში, საჭირო ქვეყანაში ფართოდ გავრცელდეს ელექტრომაგნიტური გამოსხივების ქსელების როლი, სწორედ ქსელებით მიღებულმა მონაცემებმა გაამდიდრა მეცნიერება ფასდაუდებელი ინფორმაციით: ძლიერი მიწისძვრების წინ ადგილი აქვს ძლიერ დაბალი სისტერის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას. ამასთან, როგორც ლაბორატორიულმა, ასევე მიწისძვრებზე უშუალო დაკვირვებებმა უჩვენა, რომ ძლიერ დაბალი სისტერის გამოსხივება დაკავშირებულია დედამიწის ქერქში რდვევის გაჩენასთან.

მაშასადამე განხილული და გაანალიზებულია სამი სხვადასხვა მიწისძვრების პროგნოზირების სისტემა: ბაქოს ინსტიტუტის დირექტორის ქ. ხალილვის, ხელსაწყო-სადგურის-ტროპატენას საშუალებით.

ამ სისტემით სხვადასხვა ქვეყნებში დამონტაჟებულია ეს სადგურები და გაერთიანებული არიან მსოფლიოს მიწისძვრების პროგნოზირების გლობალურ ქსელში.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მიწისძვრის პროგნოზირება უკვე შესაძლებელია სტიქიამდე 3-7 დღით ადრე.

მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ პრაქტიკაში მიღებულ შედეგებს.

მესამე მასალა [4] წარმოდგენილია ჩვენი, ქართველი სპეციალისტების მიერ და საკმაოდ კარგად არის შესრულებული მეცნიერული თვალსაზრისით.

მაგრამ ავტორთა განცხადებით “მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრების პრობლემის კვლევას მსოფლიოს ცნობილი მეცნიერების უაღრესად საინტერესო შრომები ეძღვნება, დღემდე არ ჩანს მიწისძვრის წინასწარმეტყველების, ანუ გარკვეული სიზუსტით მიწისძვრის მოხდენის დროის, ადგილის და სიძლიერის ერთდროულად განსაზღვრის შესაძლებლობები”. სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები კიდევ უნდა გაგრძელდეს.

### 3. დასტვნა

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია მიწისძვრების კატასტროფებიდან დაცვის რამოდენიმე სისტემა:

1. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები—“სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09), რომელიც განსაზღვრავს შენობის მზიდი კონსტრუქციების (ელემენტების) მზიდუნარიანობის ამაღლებას სეისმური ზემოქმედების ინტენსივობის შესაბამისად.

ეს ღონისძიებები არ ამცირებს სეისმურ დატვირთვებს, არამედ მხოლოდ ითვალისწინებს მათ.

დამუშავდა კონსტრუქციები და მონტაჟის მეთოდოლოგია 16-18 სართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის და მრავალსართულიანი სამრეწველო დანიშნულების ობიექტებისათვის გადახურვების არმატურის დაძაბვით მშენებლობის პირობებში (პროფ. ევჟელის სისტემით).

სამი ათეული წლის განმავლობაში მათი გამოყენებისას არ ყოფილა სეისმური ზემოქმედებისაგან მათი ნერევის შემთხვევა.

2. სეისმური ზეგავლენის მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ, შემოდებული იქნა ეფექტური სეისმოდაცვის საშუალებები. ეს მეთოდები ითვალისწინებს მასის და სიხისტის შეცვლას, ანუ სისტემის დემპფერირებას, გადაადგილების და სიჩქარისაგან დამოკიდებულებით.

როგორც ვიცით შენობის სიხისტის შემცირებით შეგვიძლია მასზე მოსული სეისმური ზეგავლენა შევამციროთ. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ამ გზით გადავარჩინოთ ნაგებობა.

მეცნიერებმა დაიწყეს სეისმური ზეგავლენისაგან დაცვის სისტემების მიება.

და აი უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში შეიქმნა რამოდენიმე პრაქტიკაში დანერგილი მეთოდი, რომლებსაც კრებსითად სეისმოზოლაცია ეწოდა.

სეისმოზოლაციური სისტემები ფართოდ გამოიყენება იაპონიაში, აშშ-ში, ახალ ზელადიაში, ევროპის ბევრ ქვეყანაში, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. ყველგან ჩვენი ქვეყნის გარდა.

სეისმოზოლაცია არის ნაგებობათა დაცვის სტრატეგია, რომელიც ფართოდად ცნობილი, როგორც “ვიბრაციის პასიური კონტროლი”.

ასამდე სეისმოზოლაციის სისტემის პატენტია მსოფლიოში, გამოიყენება, როგორც საზოგადოებრივ, ისე სამრეწველო ნაგებობებში, ხიდებში, გუმბათებში და ა.შ.

ამ სისტემის ერთერთი დადებითი მახასიათებელია ის, რომ მიწისძვრის დროს ნარჩუნდება შენობაში არსებული არამზიდი ელემენტები.

ჩვენი რეკომენდაციაა საწყის ეტაპზე საქართველოში გამოყენებული იქნას სეისმოდაცვის შეკუმშვის საყრდენები, რომლებიც წარმოადგენენ რეზინოლითონის და რეზინოპლასტიკურ ელემენტებს.

ასეთი საყრდენები საყრძნობლად ზრდის რხევის ჩახშობას და თითქმის 2-ჯერ ამცირებს შენობის რეაქციას სეისმური ზემოქმედების დროს და ასევე 2-ჯერ მცირდება რხევის ძირითადი პერიოდი.

მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალი მშენებლობის დროს, ისე უკვე აშენებული შენობის უსაფრთხოებისათვის.

3. მესამე სისტემა ეს მიწისძვრების წინასწარმეტყველების სისტემაა, რომელიც დაფუძნებულია ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოდელზე.

იმისათვის, რომ დავაფიქსიროთ კონტინენტების ურთიერთგადადგილება და ამ დროს მათი ელექტრომაგნიტური გამოსხივება, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქმნება სპეციალური სადგურები.

ამ დანადგარების ავტორთა განცხადებით მათი რეგისტრაციონები და ტროპატები წარმატებით მუშაობენ და დადებით შედეგებსაც ამჟღავნებენ.

4. უნდა ვუზრუნველყოთ სამშენებლო ნორმების და წესების –“სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09) გაკორექტირება და “ევროკოდი 8”-ს “სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტების” ქართული ვერსიის დროული დანერგვა.

გათვალისწინებული იქნას ახალ მშენებლობაში სეისმოზოლაციური ელემენტების აუცილებელი გამოყენება.

აუცილებლად გამოყენებული იქნას აგრეთვე უკვე ექსპლუატაციაში მყოფი საბავშვო ბალების, სკოლების, საავადმყოფოების, პოლიციის და ადმინისტრაციული შენობების, წყალსადენის, სახანძრო დაცვის და ანალოგიური ნაგებობების სეისმოზოლაციურ საყრდენებზე გადაევანა.

5. შენობების დაპროექტების დროს გამოყენებული იქნას კარკასულ ნაგებობებში კოლონა+რიგელების ცენტრალური ზონების გაძლიერება საავტორო მოწმობის შესაბამისად -04-2 სერიის ანალოგიურად.

6. განახლდეს მუშაობა ანტისეისმური ღონისძიებების სამეცნიერო კვლევის დარგში. მხედველობაში მიღებული იქნას, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში შეწყდა ასეთი ინსტიტუტების ფუნქციონირება და შესაბამისად მეცნიერული კვლევები.

7. აღდგეს სამეცნიერო-ექსპერიმენტალური ბაზები სეისმომედეგი მშენებლობის ექსპერიმენტებისა და ნაგებობათა მდგრადი განვითარებისათვის.

8. სეისმოლოგების სამარ

თლიანი განცხადებით ადამიანები იღუპებიან არა მიწისძვრის მოვლენისაგან, არამედ მიწისძვრის შედეგად დანგრეული, ჩამონგრეული შენობებისაგან.

## ლიტერატურა

1. ბედიაშვილი მ.- „საქართველოში სეისმოზოლაციის სისტემის დანერგვისათვის“. „მშენებლობა“ სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი №4(31) თბილისი 2013 წ. 39-45 გვ.
2. ბედიაშვილი მ. „სამოქალაქო ნაგებობათა ანტისეისმური ღონისძიებები (დაზიანებული ნაგებობების აღდგენა-გამაგრების მაგალითები). ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2016. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბილიოთეკა <http://dspacrnplg.gov.ge/hano>.
3. Sokhadze A, Bediasvili M, – “Improvement of buildings seismic resistance by application of application of seismic insulation”. International Conference - Seismic-2014. “Seismic resistance and rehabilitation of buildings” transactions 29-30 May 2014. Tbilisi, Georgia, Publishing house “Universal” Tbilisi 2014. pp. 49-57
4. კაჭახიძე მ, კაჭახიძე ნ, კალაძე თ. ”ლითოსფერო-ატმოსფერო-იონოსფეროს ბმული მოდელი” - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულია სახ. ქართული უნივერსიტეტი” თბილის 2015 წ.
5. საკანდელიძე ა. – ”მიწისძვრების 3-7 დღით ადრე პროგნოზირება უკვე შესაძლებელია” გაზ. ”ასავალ-დასავალი” 2014 წ. 24-30 ნოემბერი №47.

« »

## ასაპის გავლენა გეტონის გაჯირჯვებაზე

### ა. საყვარელიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** გამოკვლეულია სხვადასხვა ასაკის  $t_0=14,28,60$  დღის ბეჭონის  
გაჯირჯვების საკითხები. დადგენილია ყველა ასაკის ბეჭონის  
გაჯირჯვების დეფორმაციები ნიმუშების სხვადასხვა ინტენსივობით  
დანერიანების დროს გარემოს ფარდობითი ტენიანობის ზღვრებში 1000%.  
ნაჩვენებია, რომ ბეჭონის დატენიანებისას მასალის ტენშემცველობა არ  
არის დამოკიდებული ასაკზე გამოთვლილია ყველა ასაკის ბეჭონის  
წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტის მნიშვნელობა.

პირველად არის დადგენილი გაჯირჯვებაზე ბეჭონის ასაკის გავლენის  
კანონი და შემუშავებულია ამ კანონის ამხახველი გამოსაულებელი,  
ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით.

ფორმულებით გამოთვლილი დეფორმაციები კარგი სიზუსტით ასახავენ  
გაჯირჯვების ექსპერიმენტალურ მონაცემებს.

**საკვანძო სიტყვები:** ბეჭონი, ასაკი, ტენშემცველობა, გაჯირჯვება, წრფივი,  
კოეფიციენტი, სორბცია, ფარდობითი ტენიანობა, მოდული, კანონი, ფუნქცია,  
ექსპერიმენტი.

### 1. შესავალი

გაჯირჯვების საკითხების გამოკვლევის ექსპერიმენტებში გამოიცდებოდა  
სხვადასხვა ასაკის ( $t_0=14,28,60$  და 180 დღე) ნიმუშები-ცილინდრები დიამეტრით  
70 და სიგრძით 70 და 300 მმ. აღნიშნული ასაკის მიღწევამდე ნიმუშები  
ინახებოდა „სტანდარტულ“ პირობებში: გარემოს ფარდობითი ტენიანობა  $\varphi=100\%$ ,  
ჰაერის ტემპერატურა  $T=20\pm1^\circ\text{C}$ . ასეთ პირობებში ყველა ასაკის ნიმუშების  
ტენშემცველობა იყო ერთნაირი  $W=4,6\%$  (მასის მიხედვით). გამოცდების დაწყების  
წინ ხდებოდა ყველა ასაკის ნიმუშების გამოშრობა მუდმივ წონამდე  $W=0\%$  (მასის  
მიხედვით).

ექსპერიმენტებში ნიმუშები  $W=0\%-ით$  თავსდებოდა კამერებში გარემოს  
ფარდობითი ტენიანობით 70 და 100%. ასეთ პირობებებში ნიმუშები განიცდიან  
დატენიანების (გვერდითი ზედაპირიდან) სხვადასხვა ინტენსივობით. 70 მმ სიგრძის  
ნიმუშების ბოლოები იზოლირებულია და რეალიზდება უსასრულო ცილინდრის  
ამოცანა, მესამე რიგის სასაზღვრო პირობებში. /1,2,3,4/ ბეტონის ტექნოლოგიური  
პარამეტრები  $/1,4\text{-ში}$ . ჩატარებულია ექსპერიმენტების 2 სერია. I-ში ნიმუშების  
დატენიანებისას ხდება მათი პერიოდული აწონვა, იმ დრომდე სანამ არ მიიღწევა  
ნიმუშსა და გარემოს შორის ტენიანი წონასწორობის მდგომარეობა, როდესაც  
ტენის გაცვლა გარემოსა და ნიმუშს შორის აღარ ხდება. ამ დროიდან  
გამოკვლეულ დიაპაზონებში (70 და 100%) ნიმუშების წონა რჩებოდა მუდმივი.  
წონითი ექსპერიმენტები გრძელდებოდა 300 დღე. დადგინდა, რომ აღნიშნულ  
ფარდობითი ტენიანობის გარემოში ნიმუშები ტენიანი წონასწორობის პირობას  
აღწევდნენ 180 დღეში. დანარჩენი 120 დღის განმავლობაში ნიმუშების მიღწეული  
წონა არ იცვლებოდა.

ექსპერიმენტების II სერიაში ანალოგიური ფარდობითი ტენიანობის  
კამერებში ყველა ასაკის ნიმუშები განიცდიდნენ გაჯირჯვებას. გაჯირჯვების  
დეფორმაციები, ზღვრულ მნიშვნელობებს აღწევდნენ 180 დღეში.

## 2.მიზანითადი ნაწილი

გამოცდების წინა ყველა ასაკის ნიმუშები შრებოდა მუდმივ წონამდე ( $W=0\%$ ) გამოსაშრობ კამერაში  $105^{\circ}\text{C}$  დროს /1/ შემდეგ ნიმუშები გამოიცდებოდა 70 და 100% ფარდობითი ტენიანობის პირველ სერიაში ფიქსირდებოდა დროში ნიმუშების წონის ცვლილება (წონითი ექსპერიმენტები), ხოლო II სერიაში ხდებოდა ნიმუშების გაჯირჯვების დეფორმაციის გაზომვა.

ცდებით დადგენილია:

სორბაციის დროს ყველა ასაკის ნიმუშების ტენშემცველობა შესაბამის ფარდობითი ტენიანობის გარემოში იყო ერთნაირი. ე.ი. ბეტონის ტენშემცველობა (სორბაციის დროს) არ არის დამოკიდებული ასაკზე; ნიმუშების გაჯირჯვების დეფორმაციები ორივე ფარდობითი ტენიანობის გარემოში აღწევენ შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს 180 დღეში.  $t_0=14,28,60$  და 180 დღის ასაკის ბეტონის გაჯირჯვების დეფორმაციების ზღვრული მნიშვნელობები 180 დღის ბოლოს, მასალის ტენშემცველობა ცდების დასაწყისში, ცდის ბოლოს, კამერაში გარემოს ფარდობითი ტენიანობა  $t-t_0=180$  დღის განმავლობაში მოცემულია ცხრილში 1.

სხვადასხვა ასაკის ბეტონის ტენშემცველობა და გაჯირჯვების ზღვრული  
მნიშვნელობები 180 დღეში ცხრილი 1

ნიმუშების ტენშემცველობა $W\%$	გარემოს ფარდობითი ტენიანობა $\varphi\%$	ბეტონი			
		ასაკი $t_0$			
ცდის დასაწყისში $t-t_0=0$	ცდის ბოლოს $t-t_0=180$	ექსპერიმენტის პროცესში $0 < t-t_0 = 180$ დღე			
		14	28	60	180
		გაჯირჯვების დეფორმაცია, $\varepsilon_M \cdot 10^{-6} t-t_0=18$ დღე			
0	0	0	0	0	0
0	2,4	70	100	91	80
0	3,7	100	122	110	101
					85

ცხრილი 1-ის მონაცემებით ბეტონის გაჯირჯვების მის ტენშემცველობაზე დამოკიდებულების  $\varepsilon_M \sim W$  აგებით და გრაფიკების ანალიზით დავრწმუნდებით, რომ გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზონში  $0 \div 100\%$ , ანუ ბეტონის ტენშემცველობის დიაპაზონში  $0 \div 3,7\%$  (მასის მიხედვით), ტენის სორბაციის დროს გაჯირჯვების ზღვრული დეფორმაციები კარგად აპროქსიმირდება წრფივი გაჯირჯვების ერთი კოეფიციენტით

$$\varepsilon_H(t_0) = \beta_H(t_0)(W - W_0) \quad (1)$$

სადაც  $\varepsilon_H(t_0)$  – ნებისმიერი ასაკის ბეტონის გაჯირჯვების ზღვრული დეფორმაცია;

$\beta_H(t_0)$  – სხვადასხვა ასაკის მასალის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტი;

$W_0$  – მასალის ტენშემცველობა ცდების დასაწყისში  $W=W_0=0\%$  (მასის მიხედვით);

$W$  – მასალის ტენშემცველობა დიაპაზონში.  $0 \leq W \leq 3,7\%$  (მასის მიხედვით)

ანუ გარემოს ფარდობითი ტენიანობის დიაპაზონში  $0 \div 100\%$ .

ფორმულა (1) ცხრილი 1 მონაცემებზე დაყრდნობით, უმცირეს კვადრტა მეთოდით ვანგარიშობთ სხვადასხვა  $t_0$  ასაკის ბეტონის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტების მნიშვნელობებს.

სხვადასხვა  $t_0$  ასაკის ბეტონის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტების სიდიდეები მოყვანილია ცხრილი 2.

წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტების  $\beta_H(t_0)$  მნიშვნელობები ცხრილი 2

$\text{კოეფიციენტი } \beta_H(t_0) \cdot 10^{-2}$	ბეტონი			
	ასაკი $t_0$			
	14	28	60	180
$\beta_H(t_0)$	0,37	0,33	0,3	0,26

ცხრილი 2 მონაცემების ჩასმით ფორმულაში (1) გამოვითვლით  $\varepsilon_H(t_0)$ -ის თეორიულ მნიშვნელობებს. დამოკიდებულების  $\varepsilon_H(t_0) \sim W$  აგებით დავრწმუნდებით, რომ თეორიული გრაფიკები კარგი სიზუსტით ასახვენ თეითოვეული ასაკის ბეტონის ექსპერიმენტალურ მონაცემებს.

ცხრილი 2-ის მონაცემების აგებით ორმაგ ლოგარითმულ სკალაში  $lg\beta_H \sim lg t_0$  დავრწმუნდებით, რომ დამოკიდებულება  $lg\beta_H \sim lg t_0$  წრფივია კარგი სიზუსტით.  $\beta_H$  კოეფიციენტების  $t_0=14,28,60$  და 180 დღეზე შესაბამისი ხარისხობრივი დამოკიდებულებების პარამეტრები განისაზღვრება ფორმულით

$$\beta_H(t_0) = \beta_H(t_0) \left[ \frac{t_{CT}}{t_0} \right]^{\alpha} \quad (2)$$

უმცირეს კვადრატულ მეთოდით მიღებული გამოსახულებების შეტანით (1)-ში მივიღებთ:

$0 \div 100$  გარემოს ფარდობითი ტენიანობის ზღვრებში ანუ მასალის ტენშემცველობის ზღვრებში  $0 = W_0 \leq W \leq W_{cp} \leq 3,7\%$

$$\beta_H(t_0) = \beta_H(t_{CT}) \left[ \frac{t_{CT}}{t_0} \right]^{\alpha} (W - W_0) \quad (3)$$

ამ ფორმულებში (2) და (3)  $t_{CT}$  არის ნიმუშების ასაკი, რომელიც მიღებულია სტანდარულად. ჩვენ შემთხვევაში სტანდარტულად მიღებულია ასაკი  $t_0=28$  დღე.

გამოვლებით დადგენილია მასალის გაჯირჯვების ხარისხის მაჩვენებელი ა. ხარისხის მაჩვენებელი ჩვენს შემთხვევაში  $\alpha=0,12$ .

### 3. დასპეციალური გამოკლეულია სხვადასხვა ბეტონის გაჯირჯვების საკითხები. ნაჩვენებია, რომ სორბცის დროს ასაკს გავლენა არა აქვს ბეტონის ტენშემცველობაზე. განსაზღვრულია სხვადასხვა ასაკის ( $t_0=14,28,60$ და 180 დღის) ბეტონის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტები.

დადგენილია ბეტონის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტის, მასალის ასაკზე დამოკიდებულების კანონი. შემუშავებულია კანონის ამსახველი ახალი ტიპის გამოსახულება, ხარისხობრივი ფუნქციის გამოყენებით.

პირველად არის შემუშავებული ბეტონის გაჯირჯვების უნივერსალური მოდელი, რომელიც მაღალი სიზუსტით ასახავს სხვადასხვა ასაკის კომპოზიტის გაჯირჯვების პროცესებს გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზონზე  $0 \div 100\%$ .

### ლიტერატურა

6. . . . , 1998, . 131
7. . . . . « » 1964, . 517
8. . . . . « », 1968, . 471
9. ა. საყვარელიძე. ბეტონის ტენიანობის პარამეტრების განსაზღვრა. თბილისი, “ჰიდროინჟინერია” №1(5), 2008წ. გვ. 100-108

## სააგრძომობილო გზების დაცვა ღვარცოფული ნაგადებისბან

ლ. ჯანაშია, ი. მიქაელ და გ. კოხია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი  
საქართველო.)

**რეზიუმე:** სტატია ეხება ერთ-ერთ ბუნებრივ მოვლენას, კერძოდ ღვარცოფულ ნაკადებს და მისგან სავტომობილო გზების დაცვას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა, კერძო ღვარცოფების რეგულირების და მათ წინააღმდეგ ბმოლის ახალი მეთოდების დამუშავება არის საგზაო მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური პრობლემა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ღვარცოფული ნაკადებისგან საგზაო ქსელის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას. ნაჩვენებია საქართველოში ღვარცოფების წარმოშობის პოტენციური და არსებული აღვილები. შემთავაზებულია ღვარცოფული ნაკადებისგან საგზაო ვაკისის და მისი ხელოვნური ნაგებობების დაცვის აქტიური და პასიური მეთოდები, მათი შესაბამისი საშუალებები.

**საქანძო სიტყვები:** ღვარცოფული ნაკადი, ნიაღვარი, ფორმირება, საარეგულაციო ნაგებობების პროექტირება და სხვა.

### 1. შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ბუნებრივი კატასტროფებიდან ერთ-ერთი ძირითადი ყურადღების ობიექტია ღვარცოფები, რომლებსაც ადგილი აქვს თითქმის ყველა მთის და მთისწინა რეგიონში. ღვარცოფები დიდ ზიანს აუნის ტერიტორიულ სავტომობილო გზებს, ასევე ქვეყნის ეკონომიკას.

ღვარცოფი (სელი) ეწოდება ქვატალახიან ნიაღვარულ ნაკადს, რომელიც წარმოიქმნება მდინარის მაღალმთიან აუზში. ღვარცოფის წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს: თავსხმა წვიმები, მაღალმთიან ხეობებში ტექტონიკური პროცესების შედეგად შექმნილი ტბების უეცარი დაცლა, მთის მდინარეში შექმნილი ხერგილის გარღვევა. უკანასკნელი ორი მიზეზით ღვარცოფის წარმოშობა შედარებით იშვიათად ხდება. ამავე დროს ასეთი ღვარცოფის პროგნოზი ძალიან ძნელია. პირველი ორი მიზეზიდან უდიდეს ხიფათს იწვევს თავსხმა წვიმები.

კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, გლობალური დათბობის და მაღალი ენერგეტიკული კლასის ტექტონიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაართულა მაღალმთიანი ზონების გრავიტაციული მდგომარეობა. ღვარცოფის მაფორმირებელ კერებში დაგროვდა დიდი რაოდენობის მყარი მასალა, რომელიც მზადა გაძების განსაკუთრებით მდიმე ვითარებაა კახეთის რეგიონში, მდინარე დურუჯის სათავეებში, სადაც ინტენსიური ეგზოგენური პროცესების შედეგად დაგროვდა მილიონობით კუბური მეტრი კლდოვანი ქანების ნაშალი. ხეობაში პერიოდულად ვითარდება დამანგრეველი ძალის ღვარცოფული პროცესები, რაც საშიშროებას უქმნის ქალაქ ყვარელს და მიმდებარე ტერიტორიებს.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა მისი 80%-ი ღრმა ხეობებით და მაღალი მოებით არის წარმოდგენილი. საავტომობილო გზების ქსელი შეადგენს 20000 კმ-ს. და ფარაგს ქვეყნის მთელ ტერიტორიის ყოველ 1000 კმ<sup>2</sup>-ს დაახლოებით 300 კმ-ს. სიგრძის გზების ქსელით. აქედან საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა 1445 კმ-ია, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა 5446 კმ. (რუკა 1.). საგზაო ქსელის დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის პრობლემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისგან რეგიონების მიხედვით, რაც გამოწვეულია ბუნებრივი პირობების (რელიეფი, გეოლოგია, კლიმატი, მცენარეული საფარი და ა. შ.) სხვადასხვაობით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ჭარბტენიანია. მისი კლიმატი ხასიათდება ხშირი, მცირე ინტენსივობის ხანგძლივი წვიმებით, რაც როგორ რელიეფთან და თიხნარ ნიადაგებთან ქმნის რიგ პრობლემებს. მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მიწის ვაკისის ფერდობების მდგრადობის შენარჩუნება და მეწყერებისგან დაცვა.



რუკა 1. საქართველოს საავტომობილო გზები

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არასაკმარისი ტენიანობით გამოირჩევა. წლის განმავლობაში ძლიერი წვიმებია გაზაფხულსა და შემოდგომაზე, სხვა დროს კი სიმშრალეა. ხეობათა ფერდობების დიდი დახრილობა, შედარებით დარიბული მცენარეული საფარი და ხევების ფსექტის დიდი გრძივი ქანობები, აგრეთვე თიხნარი გრუნტები კაჭარის ჩანართებით, ინტენსიური ხანძოების შემდეგ წარმოქმნის დვარცოფულ ნაკადებს, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიან არსებულ სანტრანსპორტო ინფასტრუქტურას და მათ შორის პირველ რიგში საგზაო ვაკისს და წყალ გადამშვებ ნაგებობებს.

ცოდნის თანამედროვე დონეზე და კვლევის არსებული მეთოდების ანალიზით დვარცოფთა კერების ჩამოყალიბების და გამოტანის კონუსზე გაჩერების მახასიათებლების შეფასებისა და მისი ზღვრული კრიტიკული მაჩვენებლების დადგენა და დაზუსტება თანამედროვე პირობებშიც არ კარგავს თავის აქტუალურ მნიშვნელობას.

ბუნებაში დვარცოფთა მრავალი სახეობა არსებობა, რომელთა ჩამოყალიბება სპეციფიკურ, ძირითად კერებში ხდება, ეს მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთ თანაფარდობის კვლევითაც დასტურდება, აღნიშნულიდან გამომდინარე დვარცოფის სპეციფიკური ბუნება, ე.ო. დაგვრის, მოძრაობის გაჩერების პირობების შეფასება მისი განვითარებულ მექანიზმის საფუძვლის შესწავლის საფუძვლზე უნდა განხორციელდეს.

დვარცოფული მოვლენები - არის პროცესთა ისეთი ერთობლიობა, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული დვარცოფის ფორმირებასთან, მოძრაობასთან, მის დამაგრევებით ზემოქმედებასთან, ტრანსფორმაციასთან და მყარი ნატანის დალექვასთან.

დვარცოფსაწინაამდეგო დონისძიებათა პროექტირებისა და რიგი საინჟინრო საკითხების გადაწყვეტაში მიზანშეწონილია ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების უფრო ფართო გამოყენება. მათ მიერ დადგენილი იქნა დვარცოფთა სახეების სასაზღვრო პირობები და შეფასების რიგი კრიტერიუმები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის შეფასება ჯერ კიდევ სრულად არ არის წარმოდგენილი მოვლენების მრავალფაქტორიანობისა და კვლევის სიღარიბის გამო.

ფაქტორთა შორის ღვარცოფთა ფორმირებაში თავსხმა წვიმებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, ხოლო პროცენტულად შემდეგი ადგილები ექვთვნის თანამიმდევრულად: წვიმებს და ოოვლის დნობას, ან ოოვლის მასების ჩამოზვავებას, მყინვარებს და ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსაცავების გარღვევას.


საქართველოში გამოტანის კონტურზე გამოტანილი მყარი მასის მოცულობის მიხედვით გამოირჩევა მდინარეების: დურუჯის, ლაჯანურის, არაგვის და ოერგის აუზების ღვარცოფწარმომქვნელ კერებში ფორმირებული ნაკადები.

საინჟინრო ოგალსაზრისით ღვარცოფსადინართა კალაპოტების მდგრადობა და სარეგულაციო ნაგებობათა პროექტირება ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას საჭიროებს, როდესაც არ ხდება ნაკადის სტრუქტურის ცვლილება და მდგრადობის კოეფიციენტის ნორმატივებიდან გამოსვლა. პირობის დარღვევის შემთხვევაში და მათი სადინარის დიობების ზომების არასწორად დანიშვნის შემთხვევაში მოსალოდნელია ხერგილების წარმოქმნა და კოლოგიური სტაბილურობის დარღვევა.

ღვარცოფი იმდენად რთულია და ისეთი გამოვლენები გააჩნია, რომ აუცილებელი ხდება მათი მონიტორინგი და სარისკო სიტუაციების ახალი მონაცემებით შევსება. ღვარცოფული მოვლენების შედეგად დაფიქსირებულია საავტომობილო გზების გადაკეთის და ხელოვნური ნაგებობების ნგრევის მრავალი შემთხვევა. ღვარცოფული კერები და მასში დაგროვილი ღვარცოფწარმომქმნელი მასის ზღვრული წონასწორობის დარღვევა გამოტანის კონტურზე, წარმოადგენს სატრანზიტო უბანზე განლაგებულ საავტომობილო გზების მწყობრიდან გამოსვლის ერთ-ერთ პოტენციურ საშიშროებას.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუარესდა გარემოს დინამიკური წონასწორობის პირობები, რაც გამოწვეულია რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. ეგზოდინამიკური პროცესების შედეგად, მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით კრიზისული სიტუაცია შექმნილი მთიან რეგიონებში, სადაც გარემოს ლანდშაპფრური პირობები ხელს უწყობს სტიქიური პროცესის ღვარცოფების განვითარებას.

**საქართველოს ღვარცოფული რაიონები:** კოდორი-ბზიფის, ენგური-ხობის, რიონის, ყვირილა-ძირულას, აჭარა-გურიის (ჭოროხი-სუფსის), თერგი-არღუნის, ლიახვის, არაგვის, ცივ-გომბორის (იორის), ალაზანის, ჯავახეთის, მესხეთის (მტკვრის-ზედა ბორჯომამდე), შიდა ქართლის (მტკვრის მარჯვენა ნაპირი თბილისამდე) და ლოქის (ალგეთი-ხრამის) მდინარის ხეობები. (რუკა 2.).



რუკა 2. ღვარცოფის წარმოშობის პოტენციური ადგილები საქართველოში


« »

აქედან გამომდინარე, ეროვნულ-დგარცოფულ მოვლენებთან ბძოლა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

## 2. ლვარცოფის წარმომშობი ფაქტორები

დვარცოფული გამოტანის კუმულაციური მრუდის ანალიზი ადასტურებს, რომ ისინი წყლის მიღიმეტრიანი და მასზე ნაკლები მყარი ნაწილაკების და ქვის ჩანართის ნარევით შექმნილ მრავალკომპონენტიან გარემოს წარმოადგენს. იგი არ წარმოადგენს წყლის ნაკადით ტრანსპორტირებულ მყარ დანალექს და მათი ჩამოყალიბება ღვარცოფწარმოქმნელ კერებში ხდება სიმძლავრის მიხედვით. ღვარცოფები გარემოს ეკოლოგიური სტაბილურობისათვის ერთ-ერთ საშიშ ბუნებრივ სტიქიას წარმოადგენს.

დგარცოფთა ფორმირების ფაქტორთა შორის თავსება წვიმებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, ხოლო პროცენტულად შემდეგი ადგილი თანმიმდევრულად წვიმებს, თოვლის დნობას, მიწის ან თოვლის ჩამოზავებას, მყინვარის და ბუნებრივი ხერგილების ან ხელოვნური წყალსაცავების გარღვევას ეკუთვნის მაგალითად (სურათი 1.) ნაჩენებია მყინვარის დნობისგან გამოწველი დგარცოფი.



სურათი 1. ნაჩვენებია მყინვარის დნობისგან გამოწვეული ღვარცოფი ა) მზის სხივების ინტენსიური ზემოქმედებით დნება მყინვარი; ბ) მილიონობით ტონა წყალი აკუმულირდება მთის კალთებში; გ) წარმოიქმნება ტბა ზღვის დონიდან 3000-3500 მ, რომელიც გადმოედინება ნაპირისკენ; დ) წყალი მიედინება ქვემოთ ქანობზე, ავსებს ნაპრალებს და ბზარებს, შემდეგ კი იწყებს ზედაპირზე დინებას; ე), ვ), ზ) პირველად მოძრაობაში მოდიან გრუნტის მცირე ზომის ნაწილაკები, შემდეგ კენჭი და დორდი, სულ ბოლოს ქვები და კაჭარები.

### 3. გასძვენ

ლვარცოფის საანგარიშო ხარჯის დადგენისთვის აუცილებელია ფერდობებზე არსებული გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებებისა და რელიეფის კონკრეტულ მახასიათებელთა გათვალისწინება საინჟინრო კვლევა-ძიების მეთოდების გამოყენებით.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია დვარცოფთან ბრძოლის მეოთხებისა და საშუალებების ორ ჯგუფად, აქტიურ და პასიურ სახეობად დაყოფა. **აქტიურ** ჯგუფს მიეკუთნება დონისძიებები, რომელთა წინასწარი განხორციელება

აუცილებელია და რის შედეგადაც მცირდება ღვარცოფის წარმოქმნის საშიშროება. ესენია: ფერდობების დატერასება, მათი ქანობების შემცირების მიზნით, ფერდობებზე ფესვთა მძლავრი სისტემის მქონე მრავალწლიანი მცენარეების გაშენება, ბუჩქნარის და ერთწლიანი ბალახების გაშენება, ხევების დახრამვის განვითარების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, მაგ. წყალშემკრები ხაზის პერპედიკულარული ბარაჟების დაყენება ადგილობრივი ქვის მასალების ან ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებისაგან. პასიური ღონისძიებებია მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობებისათვის დამცავი და სარეგულაციო ნაგებობების აღმართვა, კალაპოტების რეგულარული წმენდა ნარიყი და ნაშალი ქანებისგან და ა.შ.

პასიური ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელია ღვარცოფის ჩამოდინების სიჩქარის, ჩამონადენის ხარჯის, ჩამონატანი მფარი მასის მახასიათებლების წინასწარი განსაზღვრა, რისთვისაც აუცილებელია მათი გაანგარისების მეთოდების სრულყოფა ორი მირითადი მიმართულებით:

- ღვარცოფების შემქმნელი ფაქტორების მახასიათებლთა ჩამონათვალისა და მათი პარამეტრების შემდგომი დაზუსტება;
- უფრო დახვეწილი მათემატიკური აპარატის და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენება.

### ლიტერატურა

1. О. Г. Натишвили, В. И. Тевзадзе; ОСНОВЫ ДИНАМИКИ СЕЛЕЙ; Академия Наук Институт водного хозяйства; Тбилиси 2007, 213 с.
2. Байнатов Ж.Б., Конструкций селезащитных сооружений и методы их расчета. Из. Алма-Ата-1991 год, 159 с.
3. გ. კიზირია; ხიდები და ნაგებობები გზებზე; თბილისი 1980
4. ი. ყრუაშვილი; ღვარცოფები და მათთან ბბოლის მეთოდები; თბილისი 2014, 337 გ.
5. Церетели Э.Д. – Природно-катастрофические явления и проблема устойчивого развития Грузии и приграничных территорий. Диссертация на соискание ученой степени докт. геогр. Наук, Тбилиси, 2003.
6. Херхеулидзе И.И., Сквозные защитные и регулирующие сооружения на горных условиях. Гидрометеоиздат, 1967, 131с.

მრავალსართულიანი შენობების შემომფარგლავი კედლების  
კონსტრუქციული გადაწყვეტის საპირისოსათვის

შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, ბ. სურგულაძე, ა. ჩხარჩხალია  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
მ. კოსტავას 77)

**რეზიუმე:** განხილულია მრავალსართულიანი შენობების სხვადასხვა  
მასალებით შესრულებული, ერთშრიანი და ორშრიანი შემომფარგლავი  
კედლების სხვადასხვა კონსტრუქციული გადაწყვეტა და შესრულებულია  
მათი ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმების ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** მრავალსართულიანი შენობები, შემომფარგლავი  
კედლები, კონსტრუქციული შრე, თბოსაიზოლაციო შრე, ლოკალურ-  
რესურსული ხარჯთაღრიცხვა.

## 1. შესავალი

მრავალსართულიანი შენობების შემომფარგლავი კედლები სრულდება  
ერთშრიანი ან მრავალშრიანი (უმეტესწილად-ორშრიანი) კონსტრუქციული  
გადაწყვეტით. ისინი უნდა აქმაყოფილებდნენ კონსტრუქციულ, თბოსაიზოლაციო  
და ჰიდროსაიზოლაციო მოთხოვნებს. რადგან ჰიდროსაიზოლაციო შრის  
(მობათქაშება, მოპირკეთება, შეღებვა და სხვ.) სისქე უმნიშვნელოა, ამიტომ  
ძირითად შრეებად (სისქის თვალსაზრისით) შეიძლება ჩაითვალოს  
კონსტრუქციული და თბოსაიზოლაციო შრეები.

ერთშრიანი შემომფარგლავი კედლის სისქე მიიღება კონსტრუქციული და  
თბოტექნიკური გაანგარიშებების შედეგად მიღებული სისქეებიდან მაქსიმალური  
მნიშვნელობის ტოლი, რის გამოც არარეალიზებული რჩება კედლის მასალის ან  
კონსტრუქციული, ან თბოტექნიკური მახასიათებლები, რაც იწვევს მასალის  
გადახარჯვას.

ორშრიან კედლებში ზემოაღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრულია, რადგან  
თითოეული შრის სისქის დადგენა ხდება ან მხოლოდ კონსრტუქციული, ან  
მხოლოდ თბოტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე.

კონსტრუქციულ შრეს, როგორც წესი, ასრულებენ მძიმე ბეტონით. რაც  
შეეხება თბოსაიზოლაციო შრეს, იგი შეიძლება შესრულებულ იქნეს  
ადგილობრივი მსუბუქშემავსებლიანი (პეტა, ტუფი, წილა და ა.შ) ბეტონით.

შენობის სართულიანობის მატებასთან ერთად, ცხადია, იზრდება მისი ქვედა  
სართულების კედლების კონსტრუქციული შრის სისქე, რაც ზრდის მასალების  
ხარჯს და, აქედან გამომდინარე, იცვლება მთლიანად, კედლის, ტექნიკურ-  
ეკონომიკური პარამეტრები.


ნაშრომში, კონკრეტულ რიცხვით მაგალითზე, განხილულია  
მრავალსართულიანი შენობის შემომფარგლავი კედლების კონსტრუქციული  
გადაწყვეტის ოთხი ვარიანტი [1]:

ერთშრიანი- მძიმე ბეტონით; იგივე- მსუბუქი ბეტონით; იგივე- აგურით (ცხადია,  
რკინაბეტონის გულარების და სარტყლების გათვალისწინებით) და 2-შრიანი  
(მზიდი შრე-მძიმე ბეტონით და თბოსაიზოლაციო შრე- მსუბუქი ბეტონით).


ნაშრომის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ იცვლება შემომფარგლავი  
კედლის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმები (მასალატევადობა,  
შრომატევადობა, თვითდირებულება) კედლის მასალის სახესთან და შენობის  
სართულიანობის ზრდასთან მიმართებაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

განხილულია მრავალსართულიანი შენობა ზომებით გეგმაში 18x30 მ,  
უჯრედოვანი კონსტრუქციული გადაწყვეტით, განივი და გრძივი კედლების ბიჯით  
6 მ, სართულების სიმაღლით- 3.3 მ (ნახ.1).



ნახ.1. საქვლევი შენობა: ა) გეგმა; ბ) ჭრილი 1-1 შიგა განვითარებული კელდები, სართულშეა გადახურვები, აგრეთვე ორშრიანი კედლის კონსტრუქციული შრე შესრულებულია მძიმე ბეტონით (B20), ხოლო თბოსაიზოდაციო შრე-მსუბუქი ბეტონით (B7.5). შემომფარგლავი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტის 4 ვარიანტი მოცემულია ნახაზზე 2.



ნახ. 2 შემომფარგლავი კედლის კონსტრუქციული გადაწყვეტის გარიანტები:  
I – ერთშრიანი, მძიმე ბეტონით, II – ერთშრიანი, მსუბუქი ბეტონით, III – ერთშრიანი,  
აგურით, IV – ორშრიანი

5,10,15,20,25 და 30 სართულიანი შენობების კომპიუტერული სივრცითი გაანგარიშების შედეგად მიღებული კედლების სისქები მოცემულია ცხრილში 1. ოთხივე ვარიანტისთვის შიგა კედლების სისქები მიღებულია კონსტრუქციული გაანგარიშებით, ხოლო შემოფარგლავი კედლების-კონსტრუქციული და თბოტექნიკური გაანგარიშების შედეგად მიღებული მაქსიმალური მნიშვნელობის ტოლი, სახელდობრ: I ვარიანტისთვის-თბოტექნიკური გაანგარიშებით, II და III ვარიანტებისთვის-კონსტრუქციული გაანგარიშებით, IV ვარიანტის მზიდი შრე-კონსტრუქციული გაანგარიშებით და თბოსაიზოლაციო შრე-თბოტექნიკური გაანგარიშებით.

შემომფარგლავი კედლების მიღებული სისქეები ვარიანტების და  
შენობის სართულიანობის მიხედვით. ცხრილი 1.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017

« »

5	1-5	16	78	78	20	20	38	38.0	10	10	14	24	24
10	1-5	16	78	78	24	22	38	38.0	10	10	14	24	24
	6-10	16	78		20		38		10		14	24	
15	1-5	18	78	78	30	24.7	51	42.3	12	10.7	14	26	24.7
	6-10	16	78		24		38		10		14	24	
20	11-15	16	78	78	20	28.0	38	44.5	10	11.8	14	24	25.8
	16-20	16	78		20		38		10		14	24	
25	1-5	22	78	78	38	32.4	51	48.2	15	13.0	14	29	27.0
	6-10	18	78		30		51		12		14	26	
	11-15	16	78		24		38		10		14	24	
	16-20	16	78		20		38		10		14	24	
	21-25	16	78		20		38		10		14	24	
30	1-5	28	78	78	50	37.3	63	55.0	18	14.1	14	32	28.1
	6-10	22	78		38		51		15		14	29	
	11-15	18	78		30		51		12		14	26	
	16-20	16	78		24		38		10		14	24	
	21-25	16	78		20		38		10		14	24	
	26-30	16	78		20		38		10		14	24	

კედლების მიღებული სისქეების მიხედვით გაანგარიშებული მასალების ხარჯი 30-სართულიანი შენობის შემომფარგლავი კედლების ვარიანტების მიხედვით იხ.  
ცხრ.2 (შენობის ფასადების საერთო ფართობია 9504 მ<sup>2</sup>)

მასალების ხარჯი 30-სართულიანი შენობის შემომფარგლავ

კედლებზე ვარიანტების მიხედვით

ცხრილი 2.

I		II		III		IV							
მძიმე ბეტონი B20, მ <sup>3</sup>	არაბ. A- III, გ	მცბუქი ბეტ. M-50, მ <sup>3</sup>	არაბ. A- III, გ	მძიმე ბეტონი B20, მ <sup>3</sup>	არმატურა, ტ	აგური		ათასი ცალი	ცემენტ- კირის დუღანი, გ <sup>3</sup>	მძიმე ბეტ. გ <sup>3</sup>	არაბ. A- III, გ	მცბუქი ბეტ. M-50, მ <sup>3</sup>	
						A-I	A-III	გ <sup>3</sup>					
7413,0	141,61	4086,7	87,44	1330,6	4,63	41,64	3896,6	1496	896,7	1378,1	36,78	1330,56	

ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები განსაზღვრულია ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე (ხარჯთაღრიცხვები NN1+4)-[2,3].

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვ N1

მძიმე რკინაბეტონით მოწყობილ შემომფარგლავ კედლებზე (I ვარიანტი).

საფუძველი: ცხრილი 2.

შედგენილია: 2017 წლის I კვარტლის ფასებში.

N	ნორმატივის N და შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	საზოგადო კრიტ.	რაოდენობა		ლირქოლულება, ლარი	
				ნორმატივ.	კრიტ.		
1	2	3	4	5	6	7	8

1

11

1	6-14-11	მონოლითური რკინაბეგრონის ქედლების მოწყობა B20 კლასის ბეტონით -შრომის დანახარჯები -მანქანები მ.1,1; პ.12 მ.4,1; პ.332 მ.5,1; პ.138 მ.5,1; პ.37 მ.5,1; პ.22 მ.1,4; პ.16 მ.1,4; პ.14	100 მ <sup>3</sup> პაც.სთ. მან ტ მ <sup>3</sup> მ <sup>2</sup> მ <sup>3</sup> მ <sup>3</sup>	- 446 77 - 101,5 66,0 0,12 1,37 0,08 0,1 14,0	74,13 33062 5708 141,61 7524,2 4892,6 8,9 101,6 5,93 7,4 1037,8	- 4,6 3,2 1272,0 108,0 13,0 490,0 378,0 3000,0 4300,0 3,2	1322392,9 152085,2 18265,6 180127,9 812613,6 63603,8 4361,0 38404,8 17790,0 31820,0 3321,0
		სულ მათ შორის ხელფასი					1322392,9 152085,2

ნორმატიული შრომატევადობა:  
152085,2 : 4,6 = 33062,0 კაც.სთ

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა N2

მსუბუქი რკინაბეტონით მოწყობილ შემომფარგლვა კედლებზე (II გარიანტი).

საფუძველი: კხრილი 2.

შედგენილია: 2017 წლის I კვარტლის ფასებში.

N	ნორმატივის N და შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	საზოგადოებრივი ქრთ.	რაოდენობა		ღირებულება, ლარი	
				ნორმ. ქრთ.	კროპი ნი	ერთეული	საუკეთესო
1	2	3	4	5	6	7	8
1 .	6-14-10  o.1,1; 3.12 o.4,1; 3.337 o.5,1; 3.138 o.5,1; 3.37 o.5,1; 3.22  o.14; 3.16 o.1,4; 3.14	შემომფარგლავი კედლების მოწყობა მსუბუქი ბეტონისაგან, სისქით 37 სმ, მარკით M50  -შრომის დანახარჯები -მანქანები -არმატურა A-III  -მსუბუქი ბეტონი M50 -საყალიძე ფარები, 25 მმ -ძელები III 6., 40-60 მმ -ჩამოგანილი ფიცრები, III 6., 40 მმ და მეტი -სამშენებლო ჭანჭიკები -ელექტროდები 342 -სხვა მასალები	100 მ³ გაც.სო. მან გვ. მმ გვ. მმ მმ მმ მმ მმ	-	40,867 28770,4 4086,7 87,44 101,5 132 0,24 2,75 0,16 0,2 30,0	-	810215,5 132343,8 13077,4 111226,7 377468,0 70127,2 4802,0 42487,2 3000,0 4300,0 3923,2
		სულ					810215,5
		მათ შორის ხელფასი					132343,8

ნორმატიული შრომატევადობა:

$$132343,8 : 4,6 = 28770,4$$

2

»

### ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა N3

აგურის შემომფარგლავი კედლების მოწყობაზე (III ვარიანტი) საფუძველი: ცხრილი 2.

შედგენილია: 2017 წლის I კვარტლის ფასებში

N	ნორმატივის N და შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახლება	საზოგადოებრივი კოდი	რაოდენობა		ღირებულება, ლარი	
				ნიმუში	ერთ.	ნიმუშ.	ერთ.
1	2	3	4	5	6	7	8
1	8-5-2  თ.4.1; 3.361  თ.4.1; 3.1	აგურის კედლების მოწყობა -შრომის დანახარჯები -მანქანები -კირ-ცემენტის დუღაბი, M50 -აგური კერამიკული -სხვა მასალები	გ <sup>3</sup> კაც.ხთ. გან	- 4,23 0,78	3896,6 16482,6 3039,3	- 4,6 3,2	721954,5 75820,0 9725,8
2	6-12-8  თ.1.1; 3.10 თ.1.1; 3.12 თ.4.1; 3.332 თ.5.1; 3.138 თ.5.1; 3.22 თ.1.4; 3.14	რკინაბეჭრონის გულარების (სევტების) მოწყობა პერიმეტრით 3,0 მ-მდე -შრომის დანახარჯები -მანქანები -არმატურა A-I -არმატურა A-III -ბეტონი B20 -საყალიბებები, 25 მმ - ფიცარი ჩამოგანილი, III 6., 40 მმ და მეტი -ელექტროდები 342 -სხვა მასალები	100 გ <sup>3</sup> კაც.ხთ. გან	- 1280 240	4,752 6082,6 1140,5	- 4,6 3,2	120747,5 27980,0 3649,6
3	6-15-9  თ.1.1; 3.10 თ.1.1; 3.12 თ.4.1; 3.332 თ.5.1; 3.138 თ.1.4; 3.14	რკინაბეჭრონის სარტყელების მოწყობა -შრომის დანახარჯები -მანქანები -არმატურა A-I -არმატურა A-III - ბეტონი B20 -სალიბის ფარები, 25 მმ -ელექტროდები 342 -სხვა მასალები	100 გ <sup>3</sup> კაც.ხთ. გან	- 854 106	8,554 7305,1 906,7	- 4,6 3,2	196322,3 33603,5 2901,4
		1, 2 და 3 პოზიციების ჯამი					1039024,3
		მათ შორის ხელფასი					137403,5

## ნორმატიული შრომატევადობა:

$$137403,5 : 4,6 = 29870,3 \text{ ბლთ}$$

**სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №2(45), 2017**

« »

**ლოგადურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვი N4**

2-შრიანი შემომფარგლავი კედლების მოწყობაზე (IV ვარიანტი).

საფუძველი: ცხრილი 2.

შედგენილია: 2017 წლის I კვარტლის ფასებში.

N	ნორმატივის N და შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	სახომი ქრთ.	რაოდენობა		ღირებულება, ლარი		
				ნორმ. ქრთ.	პროცენტი	ერთეული	საჭიროება	
1	2	3	4	5	6	7	8	
1	6-14-8	კედლის კოსტრუქციული შრის მოწყობა მძიმე ბეტონისაგან (B20 კლასის) სისქით 14,1 სმ. -შრომის დანახარჯები -მანქანები -არმატურა A-III -ბეტონი B20 -საყალიბები ფარები, 25 მმ -ძელები III 6., 40-60 მმ -ფიცარი ჩამოგანილი, III 6., 40 მმ და მეტი -სამშენებლო ჭანჭიკები -ელექტროდეგბი 342 -სხვა მასალები		100 მ <sup>3</sup> კაც.სთ.მ	- 1370	13,781 18879,9	- 4,6	408591,6 86847,5
	მ.1,1; მ.12 მ.4,1; მ.332 მ.5,1; მ.138 მ.5,1; მ.37 მ.5,1; მ.22 მ.1,4; მ.16 მ.1,4; მ.14	- -არმატურა A-III -ბეტონი B20 -საყალიბები ფარები, 25 მმ -ძელები III 6., 40-60 მმ -ფიცარი ჩამოგანილი, III 6., 40 მმ და მეტი -სამშენებლო ჭანჭიკები -ელექტროდეგბი 342 -სხვა მასალები		ახ 147 -	2025,8 36,78 100,0	3,2 1272,0 108,0	6482,6 46784,2 148834,8	
				მ <sup>2</sup>	264,0	3638,2	13,0	47296,6
				მ <sup>3</sup>	0,49	6,8	490,0	3332,0
				მ <sup>3</sup>	5,49	75,7	378,0	28614,6
				მ	0,32	4,4	3000,0	13200,0
				მ	0,41	5,7	4300,0	24510,0
				მან	61	840,4	3,2	2689,3
2	6-13-17	კედლის თბოსაიზოლაციო შრის მოწყობა მსუბუქი ბეტონისგან -შრომის დანახარჯები -მანქანები -მსუბუქი ბეტონი M50 -ყალიბის ფარები, 25 მმ -ძელები III 6., 40-60 მმ -ფიცარი ჩამოგანილი, III 6., 40 მმ და მეტი -სხვა მასალები		100 მ <sup>3</sup> კაც.სთ.	- 437,0	13,3056 5814,5	- 4,6	230611 26746,7
	მ.4,1; მ.337 მ.5,1; მ.138 მ.5,1; მ.37 მ.5,1; მ.22	- -მსუბუქი ბეტონი M50 -ყალიბის ფარები, 25 მმ -ძელები III 6., 40-60 მმ -ფიცარი ჩამოგანილი, III 6., 40 მმ და მეტი -სხვა მასალები		მან	76,0	1011,2	3,2	3235,8
				მ	102,0	1357,2	91,0	123505,2
				მ <sup>2</sup>	264,0	3512,7	13,0	45665,1
				მ <sup>3</sup>	0,49	6,5	490,0	3185,0
				მ <sup>3</sup>	5,09	67,7	378,0	25590,6
				მან	63,0	838,3	3,2	2682,6
		1 და 2 პოზიციების ჯამი-სულ						639202,6
		გათ შორის ხელფასი						113594,2

ნორმატიური შრომატევადობა


$$113594,2 : 4,6 = 24694,4 \text{ კაც.სთ}$$

ვარიანტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებების და ნორმატიული შრომატევადობების მიხედვით განსაზღვრულია შემომფარგლავი კედლების აგების თვითღირებულებები და შრომატევადობები 30-სართულიანი შენობის ფასადების ზედაპირის 1 მ<sup>2</sup>-თვის (ცხრ.3).

30 სართულიანი შენობის ფასადების ზედაპირის 1 მ<sup>2</sup>-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ცხრილი 3

ვარიანტები	ტექნიკურ-მაჩვენებლები	ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვ.	საშუალო %	სხვაობა %-ში
	ლირებულება, ლარი	შრომატევად. კაც.სთ		
I	139,14	3,48	206,9	133,8
II	85,25	3,03	126,7	116,5
III	109,32	3,14	162,5	120,8
IV	67,26	2,6	100	100

ანალოგიურად განსაზღვრულია 5, 10, 15, 20 და 25 სართულიანი შენობების ფასადების ზედაპირების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რის საფუძველზე აგებულია შემომფარგლავი კედლების ზედაპირების 1 მ<sup>2</sup>-ის ლირებულების და შრომატევადობის-შენობის სართულიანობაზე დამოკიდებულების გრაფიკები ვარიანტების მიხედვით (ნახ.3 და ნახ.4);



ნახ.3 მასშტაბური გრაფიკი 1 მ<sup>2</sup>-ის შემომფარგლავი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შედეგად ირკვევა შემდეგი:

### 1. ერთშრიანი კედლებისთვის:

- მძიმე ბეტონით შესრულებული: გაუმართლებელია ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, შენობის ნებისმიერი სართულიანობისთვის;
- აგურით შესრულებული: ნაკლებად ეფექტურია;
- მსუბუქი ბეტონით შესრულებული: ეფექტურია დაახლოებით 20 სართულამდე შენობებისთვის, უფრო მაღალი შენობებისათვის ეფექტურია;

### 2. ორშრიანი კედლებისთვის:

- ნაკლებად ეფექტურია დაახლოებით 20 სართულამდე შენობებისთვის; ეფექტურია უფრო მაღალი შენობებისთვის.

## ლიტერატურა

1. ვ. პირსიმაშვილი. სამშენებლო პროცესების ოპტიმალური ტექნოლოგიური გადაწყვეტები. სადოქტორო დისერტაცია. სტუ, თბილისი, 2015, გვ.130
2. СНиП IV.2.82. Сборники элементарных сметных норм на строительные конструкции и работы. М., 1984, стр. 223.
3. მშენებლობის შემფასებელთა კავშირი. სამშენებლო რესურსების ფასები (2017 წლის I კვარტლის დონეზე), თბილისი, 2017, გვ.140

## სამშენებლო საქმეში გამოყენებული კომპოზიტები

ლ. გერულაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, ნ. არეშიძე, ნ. ნაკვეთაური  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას - 77, 0175  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში გადმოცემულია სამშენებლო საქმეში გამოყენებული სხვადასხვა კომპოზიტების სახეობები, მათი აგებულება, შემაღებლობა, კონსტრუქციული გადაწყვეტა და გავლენა სხვადასხვა ძალის ცვლილებებზე. კონსტრუქციის შემსუბუქება და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დადგენა.

**საკვანძო სიტყვები:** შემკვრელი, მარმილებელი, თერმორეაქციული, აზერცემენტის ფურცლები.

### 1. შესავალი

კომპოზიტური მასალები წარმოადგენს ორგანული ნივთიერებების ჯგუფს, ბუნებრივ ან ხელოვნურ მაღალმოლექულურ შენაერთებს პოლიმერებს, რომლებიც გაცურებისა და წევის მოქმედებით ადგილად გადადიან პლასტიკურ მდგომარეობაში. გარე ძალების მოქმედებისას ლებულობენ განსაზღვრულ ფორმას, რომელსაც შემდგომში ინარჩუნებენ.

შემადგენლობის მიხედვით კომპოზიტები წარმოადგენს რთულ ნივთიერებებს, მათი შეერთება ძირითადად ხდება დაწებებით, ამ ხერხით სხვადასხვა კომპოზიტების შეერთების უპირატესობა მდგომარეობს შესაერთებელი ელემენტების კვეთების შეუსუსტებლობაში, რაც განასხვავებს მას სხვა სამშენებლო მასალებისგან.


დაწებება განსაკუთრებით ეფექტურია თხელფურცლოვანი მასალების შეერთებისას, რომლებიც შედუდებისას დიდ დეფორმირებას

განიცდიან. შესაწებებელი ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, ამავე დროს ხორციანი, ხოლო წებოვანი ნაკერის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 0,1მ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წებოვან შეერთებას აქვთ უარყოფითი მხარე, დაბალი სითბომედეგობა, რაც სინთეზური ფისების ორგანული ბუნებიდან გამომდინარეობს. უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით ჩატარდა კვლევები და მიღებული იქნა შედარებით სითბომედეგი წებოები, რომლებიც აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს.

### 2. მირითადი ნაწილი

როგორც, ცნობილია თანამედროვე მშენებლობაში ფართოდ გამოიყენება კომპოზიტები, ძირითადად მათი გამოყენება აქტუალურია გემთმშენებლობაში და ავიამშენებლობაში, რაც განპირობებულია მათი სიმსუბუქით კომპოზიტური მასალებიდან მინაპლასტი ყველაზე მეტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც კონსტრუქციულ მასალებს წაეყენება. იგი კომბინირებული მასალაა და შედგება ორო შემადგენლისაგან 1) შემკვრელი და 2) მარმილებელი შემკვრელად გამოიყენება თერმორეაქტიული ფისები, მარმილებელი მინის ბოჭკო, რომელიც უზრუნველყოფს მინაპლასტიკის მაღალ სიმტკიცეს, მინაპლასტიკი არის წვადი და ძნელად წვადი, პრაქტიკაში იგი გახვდება გამჭვირვალე და გაუმჯვირი სახით.

მინაპლასტიკი სხვა სამშენებლო მასალებთან შედარებით მცირე მოცულობითი წონის წყალუჟონადი მასალაა, მაგრამ ხანგრძლივი დატენიანებისას სინესტეს შთანთქავს და მისი სიმტკიცე ეცემა. მინაპლასტიკის - დამუშავების პროცესში გამოყოფილი მინის მტვერი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად მავნებელია.



ნახ.1 კომპოზიტები მშენებლობაში

მინაპლასტიკებით გადახურვა მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ინდუსტრიულ რაიონებში განლაგებულ სამრეწველო შენობებში, რადგანაც ასეთ რაიონებში ატმოსფერული პარამეტრების გამო ფურცლოვანი ფოლადი ან აზერსტცემენტის ფურცლები სწრაფად ექვემდებარება კოროზიას და გამოდის წყობიდან-ქიმიურად აგრესიულ გარემოში მინაპლასტიკები მერქანთან ერთად შეუცვლელი მასალაა.

როდესაც რკინაბეტონის კონსტრუქციებს აგრესიულ გარემოში უხდებათ მუშაობა, კონსტრუქციის დამცველ ფენად იყენებენ მინაპლასტს, ასეთი დაფარვა კონსტრუქციის მუშაობას 4-5ჯერ ასანგრძლივებს.

კომპოზიტური მასალების სიმტკიცე და დრეკადობის მოდულის თვისებები დამოკიდებულია მაარმიორებლის ორიენტაციაზე. ისეთ კომპოზიტებში როგორიცაა მინაპლასტიკი, არმიორებისათვის გამოიყენება მინის ბოჭკო. ცნობილია რომ ტემპერატურის აწევისას პლასტმასების სიმტკიცე და დრეკადობის მოდული მცირდება, საანგარიშო წინაღობისა და დრეკადობის მოდულის მნიშვნელობები მიიღება ცხრილში მოცემული მნიშვნელობების შესწორების კოეფიციენტზე გადამრავლებით, კომპოზიტების სიმტკიცე და სიხისტე ასევე დამოკიდებულია ტენიანობაზე, ტენის სანგრძლივი მოქმედებისას მისი სიმტკიცე და დრეკადობის მოდული რაღაც ზღვრებში იცვლება, როდესაც ელემენტზე ძალურ ფაქტორებთან ერთად მოქმედებს ტემპერატურულ-ტენიანობის ფაქტორები, გაანგარიშებებში დამატებით შემოდის მუშაობის პირობების კოეფიციენტი, რომლებიც ითვალისწინებენ ტემპერატურის ზრდის, ტენიანობის მომატების და ატმოსფერული პირობების შეცვლის გაფლენას.

ძირითადად კონსტრუქციული კომპოზიტების საანგარიშო მახასიათებლების და მუშაობის პირობების კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში.

### 3. დასტვნა

ეს მეტად ეფექტური კონსტრუქციული ელემენტი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ლიდი მოწონებაც დაიმსახურა. კომპოზიტის გამოყენება აქტუალურია გემომშენებლობაში და ავიამშენებლობაში, მისი სიმსუბუქის გამო. საქართველოში მისი გამოყენება სულ ახლახან დაიწყო, იგი ძირითადად შენობების ფასადების შესაძების გამოიყენება, როგორც შემვსები მასალა.

### ლიტერატურა

1. ა. დუმბაძე „კომპოზიტური ტანის მექანიკა“, გამოცემლობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი 2015წ.
2. ო. ხმელიძე „ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები“ გამოცემლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2008წ.
3. ბ. სალუქვაძე, ა. გუგუაძე „ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები“ გამოცემლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2004წ.

◀◀ ▶▶

( , , )

( . , . , . , . ) 77,0175, ,

( ).

1.

(— CC). , ,

$$W_t = C + \sum_{i=1}^P A_i W_{t-i} - \sum_{j=1}^g C_j u_{t-j} + a_t ; \quad (1)$$

( );

$$W_t = \nabla_1^d Q_t, \quad W_t = Q_t - \mu \quad (\mu - \quad ) \quad d = 0 , \quad (1)$$

( ),

d = 1,2 „,

2.

$$(d), \quad , \quad (0, 1, 2) \quad \quad \quad 0 \begin{pmatrix} (q) \\ (q) \end{pmatrix} \quad \quad \quad (p), \quad (p) \quad 2 \quad (p, d, q).$$

$$, \quad ( \quad \quad =I).$$

(*p*) (q)

« »

,

5

( . . ),  
( . ) . ,

( . ).

( . . 2),

1. (p): - ; - ;

I,

2. (p): ; ;

I, 2,

3. (q): .

I,

4. (q): .

I; .

I, 2,

5. (p) (q):

I;

I.

).

- ( ), ( ).
- , , , ( ).
- ( ) (SS) :  
1 - (1983),  
2 - ,  
3 - Me (1984).
- I ( . . ) - , , 30,000 ).  
( 3) ( . . , 365 ). , ( . . ,  
( . . ), ;  
( . . 3, . . ),
- , , ( . . )  
- , - , ( . . ,  
( . . ). " " , SS  
, SS ( . . )
- 3.
- , , , " ( . . )  
" .
1. . . . 1974 . .  
2. . . . , . . 28-30 1976.  
3. . . . , . . 84.N1,1976 .

## ვორმათურმოქმნის თანამედროვე პარადიგმა

ზ. კიკნაძე, თ. ტაბატაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77,  
თბილისი, 0175, საქართველო)

**რეზიუმე:** სამყაროს ფრაქტალური მოწყობის პრინციპის გაგება დღეისათვის ღრმად იქრება საქმიანობის მრავალ სფეროში, მათ შორის, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო ობიექტების გარესახის ფორმირებაში ასევე მათ შინაგან სტრუქტურულ თრგანიზაციაში. ქვეცნობიერის როლის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად ემპირიულიდან თეორიული განხოგადებისკენ მიმართული კექტორის - მეცნიერებიდან პრაქტიკისკენ შემობრუნებას უნდა ემსახურებოდეს ყველა მეთოდოლოგიურად გამართული სახსავლო პროგრამა. ფრაქტალური არქიტექტურულს პროცედურებიკაც სწორედ ამ პინციპს უნდა ემყარებოდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ფრაქტალი, არქიტექტურა, პროცედურები, გეომეტრიული გარდაქმნები.

### 1. შესავალი

ცნება „ფრაქტალის“ სამეცნიერო მიმოქცევაში შეუვანამ ხელი შეუწყოდისციპლინათაშორისი მიდგომის დანერგვას, რომელიც დაფუძნებულია არახაზოვანი დინამიკის, ფრაქტალური გეომეტრიის, თვითორგანიზების თეორიის მეთოდებზე. ამის შედეგია სამეცნიერო კვლევების ჩარჩოების არსებითი გაფართოება. ეს გარემოება კანონზომიერად აისახა არქიტექტურის პრაქტიკასა და თეორიაში, კერძოდ ფორმათურმოქმნისა და კომპოზიციის თანამედროვე პარადიგმაში - დიგიტალურ არქიტექტურაში.

### 2. ძირითადი ნაწილი

ფრაქტალური გეომეტრიის გამოყენება არქიტექტურაში ძირითადად ხდება ახალი ობიექტის შექმნის შთაგონების წყაროს დონეზე, მაგრამ ეს არ არის „ფრაქტალურობის“ ერთადერთი ვარიანტი არქიტექტურულ პროექტირებაში და კვლევაში. „ბუნების ენით მოლაპარაკე“ ფრაქტალური დრმად შეიძრენ არქიტექტურაში, რომელიც როგორც შემოქმედებითი შრომის შედეგი ბუნებრივად ეფუძნება სამყაროს განვითარების კანონებს, რომლებსაც ადამიანები აღიქვამენ ინტუიციურად ან გააზრებულად. ბუნებრივი და გეომეტრიული ობიექტების ფრაქტალური განვითარების პრინციპი განსაზღვრავს როგორც გარესახის, ასევე შინაგანი სტრუქტურის ფორმირებას. დღეისთვის უპრიანია არქიტექტურული პროექტირების ახალ მიმართულებაზე მსჯელობა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც არქიტექტურული ფორმათურმოქმნის გააზრებული ფრაქტალურობა.

დღევანდელი დიგიტალური არქიტექტურის მეთოდებად გამოიყენება ფორმალიზებული ალგორითმები, ნასესხები მათემატიკის სფეროდან (პარამეტრიკა, -სისტემა, ტექსელაცია, ქიმერული სისტემა, ჯოგის ინტელექტი, უჯრედოვანი ავტომატი და სხვ.). ხოლო მათი კომბინაციებით ყალიბდება სხვადასხვა მიდგომები (რედუქციული, იერარქიული, ევოლიუციურ-ალგორითმული). დეტალური განხილვა არ შედის ჩვენი კვლევის სფეროში, მით უმეტეს, როცა არ ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი კლასიფიკაცია არ შეიცავს ლაპსუს დივიზიონ-ს ტიპის შეცდომებს (დაყოფის შეცდომა). დეკომპოზიციის კვალზე აღმოცენებულ პარამეტრულ არქიტექტურაში მთავარი არა სტილისტური მახასიათებლები, არამედ პროექტირების მეთოდოლოგიაა, რომელიც პარამეტრული ტექნოლოგიით დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებას ეფუძნება. აქ შენობა-ნაგებობების რთულ ფორმებს (როგორც წესი -

ფრაქტალურს) არქიტექტორის კომპიუტერული კვლევა განაპირობებს. ტრადიციული პროექტირების მეთოდებით ამ მასშტაბის და სტრუქტურის შენობების და ქალაქითმშენებლობითი პროგრამების განხორციელება წარმოუდგენელია. თუმცა არაერთი პროგრესიული არქიტექტორი ამტკიცებს, რომ „დიდი სტილი“ - დიდი შეზღუდვებია, რომელთა იგნორირებას და დაძლევას ცდილობს თანამედროვე არქიტექტურა, „მაყურებელთათვის“ პარამეტრული არქიტექტურა „დიდი სტილის“ შემცვლელია. „დიდია“ თუნდც იმიტომ, რომ არ ხასიათდება (არ იდენტიფიცირდება) დეკორის, პილიასტრების, ფრონტონების და ამგვარი არქიტექტურული აქსესუარების ტიპის კატეგორიებით, არამედ წარმოადგენს გარემოს ფორმირების ახალ პარადიგმას.


დღეისათვის პარამეტრიზებული უპირატესობა სხვა სტილებზე და მიმართულებებზე სულ უფრო და უფრო იკვეთება და ალბათ ეს გარემოება ბოლოს დაუდებს თავის დროზე მოდერნიზმის კრიზისით გამოწვეულ სტილისტურ პლიურალიზმს. პარამეტრიზმი ერთადერთი სტილია, რომელიც სრულფასოვნად იყენებს დიგიტალური რევოლუციის მექანიზრებას, სამყაროს მოწყობის ახალ მეცნიერულმსოფლმხედველობას და თანამედროვე ინჟინერიის მიღწევებს. ეს სტილი (შეიძლება ითქვას - „დიდი სტილი“) ვერ უგუება მხოლოდ კლასიციზმს და მოდერნიზმს, ასევე „პენსიაში გასულ“ პოსტმოდერნიზმს და დეკონსტრუქტივიზმს. ამ მიმართულების მესვეურების ამბიციური კოგორტა (მათ შორის - შუმახერი) ეძებს თანამოაზრებს და „ლამაზად ფუთავს“ ფრაქტალური არქიტექტურის პრინციპებს, CAD da BIM სისტემის კონცეფციებს პარამეტრიზმის გარსში. (სურ.1.)



სურ.1. ფრაქტალური არქიტექტურის ნიმუშები

ნიშანდობლივია პარამეტრული არქიტექტურის თემატიკაზე გლობალურ ქსელში ჩვენს მიერ ჩატარებული ტესტური მოძიების შედეგები. ქართულენოვან ვიკიპედიაში პროგრამული უზრუნველყოფა ასოცირდება ისეთ პაკეტთან, როგორიცაა ArchiCAD, რუსულენოვანში - Compas, ხოლო ინგლისურენოვანში - ფირმა Autodesk-ის AutoCAD, AutoCAD Architecture, AutoCAD MEP, AutoCAD Structural Detailing, Showcase, AutoCAD Raster Design, Recap, 3ds Max, Navisworks Manage, Revit Architecture და სხ.

პარამეტრიზმის მამამთავარ შუმახერის პუბლიკაციებში მოხსენიებულია კომპიუტერული პროგრამა caaRhino და მისი პლაგინი Grasshoppers. (სურ.2.)



სურ.2. პროგრამა Rhino-ს პანელი

არაწრფივი არქიტექტურა, ზოგადად, დღევანდელი დიგიტალური არქიტექტურა, სპეციალისტისთვის შინაგანად და არსებითად (ზედმეტი ეგზალტაციისა და აფექტაციის გარეშე) ინფორმაციული ტექნოლოგიების, მულტიმედიური პროექტირების, CAD და BIM სისტემების თანამედროვე შესაძლებლობების შედეგად მოიაზრება. თუ განვიხილავთ არქიტექტურული ობიექტების (ურბანული გარემოს) მხედველობით აღქმასთან დაკავშირებულ ესთეტიკური შეფასების საკითხებს, პრინციპში ვუშვებთ შეფასების პროცესში რაოდენობრივი მეოთხების გამოყენების შესაძლებლობას. ამასთანავე არ ვიზიარებთ ამ პრობლემის თუნდაც ცალკეულ ასექტებში („სილამაზის შემადგენელ „ელემენტებში“ - გ. აზგალდოვი) ალგებრული განტოლებებით საბოლოო, დეტერმინისტული შედეგის მიღწევის ოპტიმისტურ განწყობილებას. ჩვენი აზრით, როგორც მინიმუმი, გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ქვალიმეტრიული მეოთხები (ე.წ. ექსპერტული მოდელები, ექსპერტთა აზრის დამუშავების ტექნოლოგია, არა მკვეთრი სიმრავლეები - ლინგვისტიკური ცვლადების ფორმალიზმი). განსაკუთრებით მივუთითებთ ინფორმაციის თეორიაზე დაფუძნებულ კატეგორიებზე (ინფირმაციის რაოდენობის გაზომვა, დამუშავება, გადაცემა), რამდენადაც ინფორმაციის რაოდენობა (აღსაქმელად შესაძლო კომბინაციების რიცხვი, განუსაზღვრელობის შემცირების „ზომა“ - ენტროპია) ინტუიციურად მისაღებია „ორიგინალობის“ პირობითად (სპეციფიკური გაგებით) განსაზღვრის პროცედურაში. მოლის მიერ ჩამოყალიბებული მუსიკის ესთეტიკური აღქმის ენტროპიული მოდელი (ლოგარითმული ფუნქციის სახის გამოსახულებები) ჩვენს მიერ განზოგადებულია არქიტექტურული ობიექტების შესაძლო ვიზუალური შეფასების სიტუაციებისათვის.

ფრქტალების შესწავლის მნიშვნელოვან არგუმენტად გვევლინება თვით ფრაქტალების თვალშისაცემი სილამაზე. ფრაქტალურმა ობიექტებმა საკვირველი დამაჯერებლობით დაამყარეს კავშირი, ასე ვთქვათ, „გადეს ხიდები“ ბუნებრივი (გარკვეულწილად სოციალური და ეკონომიკური, ესთეტიკური) მოვლენების შესწავლის ლოგიკურ და ინტუიციურ მიღგომებს შორის. პრობლემა დასაბუთებისა

სად იწყება ან მთავრდება სამყაროს აღქმის მეცნიერული თუ ემოციური კომპონენტი დღეისთვის ბოლომდე გადაჭრილი არ არის. აღმოჩნდა, რომ ზუსტი მათემატიკური ალგორითმების საფუძველზე შექმნილი ფრაქტალების ანალიზის დროს უპრიანია მივმართოთ ესთეტიკური კატეგორიებს და ასოციაციებს.

თემის აქტუალურობა განპირობებულია ამ სფეროში პრობლემური სიტუაციების არსებობით, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია თანამედროვე მიღგომებით, მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით (ნოვაციური მეცნიერული კვლევებია რქიტექტურის თეორიაში, არქიტექტურათმცოდნეობასა და სოციოლოგიაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების აპარატურული დაპროგრამული უზრუნველყოფა). საკითხის აქტუალობა -

« »

დროებრივი გამოწვევაა და საზოგადოების ცნობიერებისა და ფსიქოლოგიური განწყობის შესაბამისად ითხოვს ურბანული გარემოს, ურბანული განვითარების ობიექტების, არქიტექტურის ხედვითი აღქმის აღკვატური მოდელის დამკვიდრებას.

თუ კი პრინციპში დაგუშვებთ „ჰარმონიის ალებრით გამართვას“, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გეომეტრიული გარდაქმნების პირველადი ოპერაციები: გადაადგილება, ბრუნვა, მასშტაბირება (მოვე, როტატე, სცალე) დამათი კომბინაციები არის ატომარული დონე, ხოლო მათ საფუძველზე აღებული რაიმე მოდიფიკაციების თანმიმდევრობა (მოლექულარული დონე) განმეორებული და განვითარებული რეგულსიული და იტერაციული ალგორითმის საშუალებით არის ფრაქტალური ობიექტი (ფრაქტალი), ბუნებრივი და ასევე ხელოვნური გარემოს, შესაბამისა და რქიმებრულული სივრცის მოდელირების საფუძველი თანამედროვე პარადიგმის დონეზე.

3. დასკვნა

არქიტექტურული ფორმათ წარმოქმნისა დაკომპოზიციის ტრადიციული მეოროლოგია და ხერხები შეიძლება ჩავთვალოთ საკითხის ტორიად და არქიტექტურული პროპერდეგტიკის შემადგენელ ნაწილად, რომელიც აუცილებლად უნდა აღიჭურვოს ფრაქტალური გეომეტრიის, გეომეტრიული გარდაქმნებისა და გამოსახულებათა ზოგადი თეორიის ფორმალიზებული აპარატით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კვაზი-რეგულარული სისტემებისა და ქაოსის თეორიის დებულებები.

ლიტერატურა

1. Волошинов А.В. Об эстетике фракталов и фрактальности искусства // Синергетическая парадигма. Нелинейное мышление в науке и искусстве. М.: Прогресс-Традиция, 2002. С. 213–246.
  2. Лебедев Ю.С., Архитектурная Бионика, Стройиздат, Москва, 1990. – 269 с.
  3. Кикнадзе З., Лагидзе В. «Имитационное моделирование архитектурно-бионических форм на ЭВМ». Труды ТБИЛЗНИИЭП, 1984.
  4. Мандельброт Б. Фрактальная геометрия природы. – Москва: Институт компьютерных исследований, 2002, 656 стр.
  5. . . : . . ; . .  
, 2002. 271 .
  6. . . // International. 2003. 5. С. 98–112. 5.  
. . .  
2004. 416 .
  7. ზ. კინაძე, თ. ტაბატაძე. „ფრაქტალური არქიტექტურა - ქვეცნობიერი თუ ლოგიკური“. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. N 2. 1915. გვ.127-130.
  8. Wilson K. L., Wasserman J. A., Lowndes F. Picture and social concept: a fractal-concept analysis of advertising art// Visual Communication, Vol. 8, No. 4, 2009, . 427-448.
  9. თ. ტაბატაძე. ფრაქტალური არქიტექტურის პროპედევტიკის საკითხები „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედეროვე პრობლემები“. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი N 5 ISSN 2233-3266. სტუ. 2015. pp.89-96.
  10. თ. ტაბატაძე. შემოქმედებითი და მეცნიერული ხედვის პარალელები ანტონიო გაუდის და ბენუამანდელბროტის მოღვაწეობაში. „მშენებლობა“, სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი. N 3(38), 2015. ISSN 15-12-3936. გვ. 93 – 96.

## მაღალ ტემპერატურულ რეზიმში მომუშავე დისკები ტემპერატურების განაწილების ანგარიში

ზ. მჭედლიშვილი, ა. ტაბატაძე, ლ. ქრისტესიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, დისკის მუშაობის დროს მისი გახურებით გამოწვეული ტემპერატურული განაწილებისა და დაძაბულ-დეფორმირებული ძლივობარების ანალიზი, რომელიც თერმოდრეკადობის ღერძის მეტრიული ამოცანების ამოხსნის პრინციპებზეა აგებული.

**სამუშაო:** სტატიაში დისკი, ტემპერატურა, დიფუზური განტოლება, ძაბვა, დეფორმაცია.

### 1. შესავალი

კაშხლებში დისკი, განიცდის როგორც სუფთა მექანიკურ, ასევე ტემპერატურულ ზემოქმედებებსაც, რაც უფრო ართულებს მისი მუშაობის პირობებს და აყენებს უფრო მაღალ მოთხოვნილებებს დისკის მასალის ხარისხზე, რომლებსაც შეუძლიათ ექსტრემალურ პირობებში, დიდ ტემპერატურებზე მეშაობა. მოცემულ სამუშაოში ნაჩვენებია მეთოდი, რომელიც გამოიყენება დისკის, როგორც სტაციონალური აგრევე დროის განმავლობაში ცვალებადი ტემპერატურის განაწილების გამოთვლისას, რომელიც წარმოადგენს საწყის ეტაპს თერმული ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხეულის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანგარიშისას.

### 2. ძირითადი ნაწილი

ცილინდრულ კოორდინატებში დისკის ტემპერატურების განაწილების ამსახველი დიფუზური განტოლებას აქვს შემდეგი სახე:


$$\frac{1}{r} \cdot \frac{\partial}{\partial r} \left( r \frac{\partial T}{\partial r} \right) + \frac{\partial^2 T}{\partial z^2} + \frac{1}{r^2} \cdot \frac{\partial^2 T}{\partial \varphi^2} = 0 \quad (1)$$

სადაც  $T$  არის ტემპერატურა  $r$  რადიუსი  $\varphi$  განსახილებით წერტილის აზიმუტი. შემოვილოთ უგანზომილებო კოორდინატები  $\rho = r/a, \zeta = z/a, T' = T/\bar{T}$ , (2)


სადაც  $a$  – არის განხილული დისკის გარე რადიუსი,  $T'$  – რომელიდაც მუდმივი ტემპერატურა,  $\bar{T}$  – ტემპერატურული ფუნქცია,  $\rho$  და  $\zeta$  – ნულის გაზომვის კოორდინატები.

სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ  $\bar{T} = T$ . უგანზომილებო კოორდინატებში ბრუნვით სხეულში ტემპერატურების განაწილების ამსახველი დიფუზური განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{1}{\rho} \cdot \frac{\partial}{\partial \rho} \left( \rho \frac{\partial T}{\partial \rho} \right) + \frac{\partial^2 T}{\partial \zeta^2} + \frac{1}{\rho^2} \cdot \frac{\partial^2 T}{\partial \varphi^2} = 0, \quad (3)$$



სურ. 1 ტემპერატურათა განაწილების სქემა სიღრუის მქონე დისკში



სურ. 2 ტემპერატურათა განაწილების სქემა უწყვეტ ბრუნვით დისკში ტემპერატურის კონცენტრირებული განაწილებისას წარმოებულები  $\varphi$ -ით ტოლია ნულის და (3) მიღებს სახეს:  $\frac{1}{\mu} \cdot \frac{\partial}{\partial \rho} \left( \rho \frac{\partial T}{\partial \rho} \right) + \frac{\partial^2 T}{\partial z^2} = 0,$  (4)

შემდეგში გამოსახულებების გამარტივების მიზნით  $\frac{\partial z}{\partial \rho}$ -ს მაგივრად დაგწერთ სიმბოლო D-ს, (4) განტოლება ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{1}{\mu} \cdot \frac{\partial}{\partial \rho} \left( \rho \frac{\partial T}{\partial \rho} \right) + DT = 0, \quad (5)$$

(4) დიფერენციალური განტოლების მოხსნა წარმოვადგინოთ ჯამის სახით:

$$T = F_0 T^0 + F_1 DT^0 + F_2 D^2 T^0 + \dots + G_0 P^0 + G_1 DP^0 + G_2 D^2 P^0 + \dots, \quad (6)$$

სადაც  $F_j$  და  $G_j (j = 0, 1, 2, \dots)$  არის  $\rho$ -ცვლადის ფუნქციები, ხოლო  $T^0$  და  $P^0$  არის  $\zeta$  ცვლადის ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება ტემპერატურების მოცემული განაწილებებით დისკის საზღვრებზე.

ჩავსვათ (6)-ი (5)-ში. მიღებული განტოლება დაკმაყოფილდება განტოლებაში, დავინახავთ რომ უკანასკნელი დაკმაყოფილდება ოუ სრულდება დამოკიდებულებები:

$$\frac{1}{\mu} \cdot \frac{d}{d\rho} \left( \rho \frac{dF_0}{d\rho} \right) = 0, \frac{1}{\mu} \cdot \frac{d}{d\rho} \left( \rho \frac{dF_{j+1}}{d\rho} \right) + F_j = 0, \quad (7)$$

$$j = (0, 1, 2, \dots)$$

$$\frac{1}{\mu} \cdot \frac{d}{d\rho} \left( \rho \frac{dG_0}{d\rho} \right) = 0, \frac{1}{\mu} \cdot \frac{d}{d\rho} \left( \rho \frac{dG_{j+1}}{d\rho} \right) + G_j = 0, \quad (8)$$

ეს დამოკიდებულებები წარმოადგენენ მეორე რიგის ჩვეულებრივ წრფივ დიფერენციალურ განტოლებებს  $F_j$  და  $G_j (j = 1, 2, 3, \dots)$  ფუნქციებისათვის, გარდა ამისა სასაზღვრო პირობები  $j = 1$  -დან დაწყებული შეგვიძლია შევარჩიოთ ნებისმიერად. ამიტომაც დრუიანი დისკის შემთხვევაში  $F_j, G_j (j = 1, 2, 3, \dots)$  ფუნქციებისათვის ზღვრულ ზედაპირებზე  $\rho = \rho_0$  და  $\rho = 1$  ვგულისხმობთ ნულის ტოლად, უწყვეტი დისკის შემთხვევაში  $F_j (j = 1, 2, 3, \dots)$  ფუნქციისათვის ზღვრულ ზედაპირზე, როცა  $\rho = 1$  ტოლია ნულის, ხოლო როცა  $\rho = 0$  (დისკის დერძი)

$$\left( \frac{dF_{j+1}}{d\rho} \right)_{j=0} = 0$$

სრულდება პირობა:

ავლიშნოთ  $T_0$ -ით შიგა სასაზღვრო ზედაპირის ტემპერატურა, ხოლო  $T_1$ -ით ტემპერატურა გარე სასაზღვრო ზედაპირზე  $\rho = 1$ , მაშინ (6)-ის და მიღებული პირობების გათვალისწინებით საზღვარზე, ფუნქციისათვის  $F_j, G_j (j = 1, 2, 3, \dots)$  მივიღებთ:

$$T_0 = F_{00} T^0 + G_{00} P^0, T_1 = F_{01} T + G_{01} P, \quad (9)$$

დრუიანი დისკის შემთხვევაში  $T_1 = F_{01} T^0$  (10)

უწყვეტი დისკისათვის გვექნება:  $F_{00} = F_0(\rho_0), F_{01} = F_0(1), G_{00} = G_0(\rho_0), G_{01} = G_0$  (11)

$F_0(\rho)$  და  $G_0(\rho)$  შეიძლება შერჩეული იყოს სათანადოთ. მაშინ (9) და (10) წარმოადგენენ განტოლებათა სისტემას,  $T^0$  და  $P^0$  განსასაზღვრავათ დრუიანი ცილინდრისათვის და  $T^0$  განსასაზღვრავათ უწყვეტი ცილინდრისათვის.  $F_0(\rho)$  და  $G_0(\rho)$  ფუნქციების არჩევის შედეგ, ფუნქციები  $F_j, G_j (j = 1, 2, 3, \dots)$  განისაზღვრება განტოლებებიდან (7) და (8).

მე-6) ფორმულის საფუძველზე და  $F_j, G_j (j = 1, 2, 3, \dots)$  ფუნქციათა სისტემის გამოყენებით, ტემპერატურების განაწილებისამოცანის ამოხსნა წარმოებს წრფივი დიფერენციალური განტოლებების მეშვეობით.

დრუიანი დისკის შემთხვევაში, (7) და (8) პირობების შესაბამისად გვექნება:

$$F_0(\rho) = 1, \quad G_0(\rho) = \lg \rho, \quad (12)$$

$$\text{ხოლო } \text{უწყვეტი } \text{დისკის } \text{შემთხვევაში: } \quad F_0(\rho) = 1 \quad (13)$$

მოყვანილი პირობების საფუძველზე (9), (11) და (12) განტოლებების გამოყენებით დრუიანი დისკისათვის გვექნება:  $T_0 = T^0 + \lg \rho_0 \cdot P^0, T_1 = T^0,$

$$\text{აქედან } \text{გამომდინარეობს: } \quad P^0 = \frac{1}{\lg \rho_0} (T_0 - T_1) \quad (14)$$

$$\text{უწყვეტი } \text{დისკისათვის (10) (11) და (12) საფუძველზე } \text{გვექნება: } \quad T_1 = T^0 \quad (15)$$

მოცემული ამოცანის ამოსახსნელად უნდა მოვახდინოთ (7) და (8) დიფერენციალური განტოლებების ინტეგრირება. დრუიანი დისკის შემთხვევაში (12)-ი პირობიდან გამომდინარე გვექნება:

$$F_1(\rho_1 \rho_0) = \frac{1}{4 \lg \rho_0} [(1 - \rho^2) \lg \rho_0 - (1 - \rho_0^2) \lg \rho], \quad (16)$$

$$G_1(\rho_1 \rho_0) = \frac{1}{4 \lg \rho_0} [(1 - \rho_0^2 + \rho_0^2 \lg \rho_0) \lg \rho - (1 - \rho^2 + \rho^2 \lg \rho) \lg \rho_0], \quad (17)$$

უწყვეტი დისკის შემთხვევაში მე-(13) პირობიდან გამომდინარე, მივიღებთ

$$F_1(\rho) = \frac{1}{4} (1 - \rho^2), \quad (18)$$

დრუიანი დისკის შემთხვევაში  $F_j, G_j, (j = 1, 2, 3, \dots)$  ფუნქციებისათვის გვექნება:

$$F_j = \frac{(-1)^j}{2^{2j}(j!)^2} \rho^{2j} + Q_j \quad G_j = \frac{(-1)^j}{2^{2j}(j!)^2} \rho^{2j} \left( \lg \rho - \sum_{z=1}^j \frac{1}{z} \right) + Q_j \quad (19)$$

$$\text{სადაც: } Q_j = \sum_{k=1}^j \frac{(-1)^{j-k}}{2^{2(j-k)}[(j-k)!]^2} \rho^{2(j-k)} \left( L_k \lg \rho + M_k - L_k \sum_{z=1}^{j-k} \frac{1}{z} \right), \quad (20)$$

აქ მუდმივები  $L_k$  და  $M_k (k = 1, 2, 3, \dots)$  გამოდიან ზემოთ მოყვანილი პირობიდან, რის თანახმადაც  $F_j, G_j, (j = 1, 2, 3, \dots)$  სასაზღვრო ზედაპირებზე  $\rho = \rho_0$  და  $\rho = 1$  უნდა უდრიდეს ნულს.

უწყვეტი დისკისათვის საზღვრებზე ზემოთ მოცემული პირობების შესრულების გათვალისწინებით გვექნება:  $F_2(\rho) = \frac{1}{4} \left[ \frac{1}{2^2} (1 - \rho^2) - \frac{1}{4^2} (1 - \rho^2) \right], \quad (19)$

$$F_3(\rho) = \frac{1}{4} \left[ \frac{1}{2^2} \left( \frac{1}{2^2} + \frac{1}{4^2} \right) (1 - \rho^2) - \frac{1}{2^2 4^2} (1 - \rho^4) + \frac{1}{4^2 6^2} (1 - \rho^6) \right], \quad (21)$$

ტემპერატურების განაწილების გასაგებად  $F_j$  და  $G_j$  მაღალი ინდექსების მნიშვნელობების გაგება აღარ არის საჭირო. ამ გამოსახულებების ჩასმით მე-(6) გამოსახულებაში მიიღება ტემპერატურის მნიშვნელობა დისკის ნებისმიერ წერტილში.

### 3. დასკვნა

როგორც ცნობილია სხვადასხვა კასშელებზე დისკი (სამაცივრო დანადგარებზე, ორთქლისა და გაზის ტურბინებზე) მუშაობს მაღალი ტემპერატურული დაბატულობების პირობებში, რაც თავისთავად იწვევს ამ დეტალებზე სათანადო დაბატულ დეფორმირებულ მდგომარეობას. დეტალის ოპტიმალური ფორმებისა და სიმსუბუქის, ასევე დეტალების დამზადებაზე დახარჯული მასალების ეკონომიის მიზნით საჭიროა სითბური პირობების გათვალისწინებით დეტალების ანგარიში სიმტკიცეზე, რაც წარმოადგენს ოერმოდრეკადობის უმთავრეს ამოცანას. მოცემულ სტატიაში გაკეთებულია ასეთი ამოცანის ამოხსნის პირველი ეტაპი, ტემპერატურული განაწილების განსაზღვრა დერძსიმუტრიული დისკებისათვის.

### ლიტერატურა

1. Коваленко А.Д. Термоупругость. Киев: Вища школа 1975г. 215с.
2. Подстригач Я.С. Термоупругость тел неоднородной структуры. М:Наука, 1984г. 368с.
3. Коренев Б.Г. Задачи теории теплопроводности и термоупругости. Решения в бесселевых функциях. М: Наука, 1980г. 400с.
4. Прусов И. А. Некоторые задачи термоупругости. М: БГУ им. В. И. Ленина. 1972г. 198с.

« »

c

( , . 77, 0175, , )

•  
•  
,

7-10

77,0175,

,

)

?

?

2

1.

(25 .),

)

2015

(

)  
)

;

1

100-150

12

2.

1

16

( $\{ = 62\%$ )

10.

9

-3.

14

220-1000 .,

7.


0,5 ..

19.

( )

. 1, 2, 3

, ,  
 ;  
 ;  
 .  
 ( ),  
 ,  
 $\left( \frac{dW^c}{d\ddot{\tau}} \right)$ ,  
 2  
 ‡



. 1. 1-h<sub>1</sub> = 150 , 2-h<sub>1</sub> = 200 , 3-h<sub>1</sub> = 250

3 ,  
 $h_1$

1

$h_1$ ,	$\frac{dW}{d\ddot{\tau}}$ %/	$\ddot{\tau}_1$	$\ddot{\tau}$
100	20,0	1,5	4,0
150	15,0	1,5	6,0
200	10,0	1,5	9,0

, 100 .  
 $60^\circ$  , 4 . -  $70^\circ$  .

$h_1$ ,

10

- ) 4000x500x2200 ;  
 ) :  $t = 60^\circ$  ,  $80^\circ$  ,  $100^\circ$  ,  $120^\circ$  ;  
 ) ( )  
 $h_1 = 150, 200, 250$  ;

) : ; )


$h = 10$



.2.

1- $h_1=150$ , 2- $h_1=200$ , 3- $h_1=250$

3-



.3.

5

$h_1$

$h_1$

$h_1 = 250$

$t = 60^\circ$

17,5

/ ,

1,5

$h_1$

$h_1 = 250$ , 150

1,4

$t = 100^\circ$

12

/

17

/ , -

1,4

,

,

, ( )

,

,

(

)

3.

1.

, 1996.

2.

, 1966.

3.

, 1961.

4.

, 1955.

, 1960.

5.

, 1960.

6.

, 1955.

ქალაქის მდანაშენიანების რთულ პირობებში ჩაღრმავებული  
ნაბეჭდების მშენებლობის ხერხები

მ. გრძელიშვილი, კ. ჭურაძე, ნ. ოთარაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქNº77, 0175

თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ბოლო დროს მსოფლიოს დიდ ქალაქებში მოსახლეობა სწრაფად იზრდება. მაგალითად ქ. თბილისში საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტია. ასეთ პირობებში თავი იხინა პრობლემებმა ბინათმებულებლობაში, სატრანსპორტო ქსელის გაფართოებასა და ზოგადად, ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მიწისქვეშა სივრცის გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** მიწისქვეშა სივრცის ათვისება; გვირაბმშენებლობა.

## 1. შესავალი

ქალაქების სწრაფი ტექნიკური ზრდის, მოსახლეობის სიმჭიდროვის მატების, მიწისხედა მცირე ტერიტორიული რეზერვებისა და სატრანსპორტო საშუალებების სწრაფი განვითარების პირობებში განსაკუთრებით აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს მიწისქვეშა სივრცის ათვისება.

ქალაქების დაპროექტებისა და მშენებლობის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სატრანსპორტო, სოციალურ-ეკონომიური, სანიტარულ-ჰიგიენური, სამსედრო და სამოქალაქო თავდაცვითი მოქლი რიგი საკითხების ფართო წრე შეიძლება წარმატებით გადაიჭრას კომპლექსურად მიწისქვეშა სივრცეების გამოყენებით. თანამედროვე მიწისქვეშა სამოქალაქო მეურნეობა შედგება მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისაგან, როგორიცაა: სატრანსპორტო, საგაჭრო და საზოგადოებრივი კვების, გართობა-დასვენების, სამოქალაქო-თავდაცვის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და ა. შ.

## 2. ძირითადი ნაწილი

ქალაქები მიწის სიდრმეშიც იზრდებიან. ეს ნებისმიერი მეგაპოლისის განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. მიწის ზედაპირის ქვემოთ ინფრასტრუქტურის ელემენტების და სამეურნეო ობიექტების განლაგება ნიშნავს მოსახლეობისთვის მაქსიმუმის შენარჩუნებას, ისტორიული იერსახის შენახვას და საცხოვრებელიგარემოს უფრო კომფორტულად გახდომას.

ადრე ქალაქები მიწის ზედაპირიდან მხოლოდზევით იზრდებოდა. ჩაღრმავებული ადგილები და დაბლობები მრავალჯერ ივსებოდა რელიეფის მოსწორებისა და წყლის დონის ზევით მისი აწევის მიზნით. ამის შედეგად ქალაქის რუკაზე ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ნაყარი გრუნტების ზედაპირის დონე გრუნტის წყლების დონეზე აღმოჩნდა და ეს ტერიტორიები ამჟამად ინტენსიურ განაშენიანებას განიცდის.

მჭიდრო გაშენებისასარახელსაყრელ საგრუნტო პირობებში არსებული მიწისქვეშა სივრცის ათვისების ყველაზე გავრცელებული ხერხია ქვაბულების “კედელი გრუნტში” მეთოდით აგება. ქვაბულის მშენებლობამდე აგებული, მცირე წყალგამტარობის მქონე კედელი საშუალებას გვაძლევს გრუნტი დამუშავდეს კონტურმიღმა წყალდაწვევის გარეშე ირგვლივმდებარე ქანის მასივის მინიმალური დეფორმაციებისას.

„კედელი გრუნტში“ – ძვირადდირებული კონსტრუქციაა, რომელიც ბეტონისა და ნაგლინი ლითონის მნიშვნელოვან ხარჯს მოითხოვს. მისი შესრულების ტრადიციული მონოლითური ვარიანტი არ არის მოკლებული რიგ ნაკლოვანებებს, რომელთა გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა გაწყლოვანებულ ნაყარ და მცირე სიმკვრივის გრუნტებში მუშაობისას. მათ განეკუთვნება: ბეტონის საიმედო დამცავი ფენის უზრუნველყოფისა და გრუნტში მონოლითური კედლის

არმატურის კოროზიის თავიდან აცილების შეუძლებლობა ნაგებობების ექსპლუატაციისას, ბეტონის დიდი თიების არსებობა გრუნტის ნგრევის ზონებში, პირაპირების არსებობა, რომლებიც, როგორც წესი, წყალსატარებენ, პიდროიზოლაციისა და ისეთი მიმჭერი კედლების მოწყობის აუცილებლობა, რომლებიც აღიქვამენ პიდროსტატიკურ დატვირთვას. მითოთებული ნაკლოვანებები აძირებენ მონოლითური „კედლი გრუნტში“ გამოყენებით ამოცანილ ნაგებობებს.

მრავალსართულიანი მიწისქვეშა სატრანსპორტო კომპლექსების და სხვა დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა ხდება ძირითადად ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, სადაც მდებარეობს კაპიტალური ისტორიული შენობები, არის საქვეითო და სატრანსპორტო საშუალებათა ინტენსიური მოძრაობა, აგრეთვე დიდია საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების რაოდენობა.

ასეთი ობიექტების აგების დროს, როგორც წესი, გამოიყენება ქაბულის, ან ჩასაშვები ჭების ხერხები მიწის ზედაპირის მთლიანი ან ნაწილობრივი გახსნით, რაც იწვევს მიწის ზედაპირზე არსებული პირობების სერიოზულ ცვლილებას.

ქვემოთ მოყვანილი ტექნოლოგია ითვალისწინებს სამუშაოების წარმართვას დახურული წესით, რაც შესაძლებლობას იძლევა მინიმუმადე დავიყვანოთ ქალაქში გარემოს ცვლილება. სამშენებლო სამონტაჟო პროცესები წარიმართება შემდეგი ტექნოლოგიური თანმიმდევრობით (ნახ. 1)

უპირველეს ყოვლისა მომავალი ნაგებობების ტორსში გაჰყავთ ორი მართკუთხა ჭაური, რომელთა კედლები შპუნტით ან ხიმინჯებით მაგრდება. მათი ჩაშვების სიღრმე განისაზღვრება ნაგებობების ძირის ნიშნულით. გრუნტის მოცილება და იარაღის მიწოდება ხდება ბადით. ჭაურებიდან ნაგებობის პერიმეტრზე გაჰყავთ მართკუთხა ან ტრაპეციული კვეთის წოლხვრელი, რომელსაც ამაგრებენ ხის ან ლითონის კონსტუქციით ნაშეფბეტონთან ერთად.


წოლხვრელიდან, მცირებაბარიტიანი ბურღების გამოყენებით, ურთიერშემხები ან გადამკვეთი 400-600 მმ დიამეტრის ნაბურღნატენი ხიმინჯებისაგან იგება მიწისქვეშა ნაგებობების კედლები. ამის შემდეგ აგებენ გადახურვას, რომელიც წარმოადგებს ეკრანს 200-500 მმ დიამეტრის ფოლადის, რკინაბეტონის ან ასბოცემენტის მილებისაგან. ამ მილების გატარება ხდება პიდრავლიკური დომკტარატებითაც ნაწილ-ნაწილ, 1,5-2 მ მონაკვეთებით, მათი შემდგომი შეერთებით კუთხებილი ქუროებით ან არტახებით. სუსტ ქანებში მილებს უნდა ჩამკეტი მოწყობილობები მათზე მიღუდებული შევლერების ან კუთხოვანის სახით.

მილების გატარების შემდეგ მილებიდან იღებენ გრუნტს, ხოლო სამუშაო პროცესის დასრულებისას მათ ავსებენ ბეტონით. ამ ეკრანის ბოლოებიდან ამოჭყავთ რკინაბეტონის კედლები, რომელიც ეყრდნობა ადრე აგებულ ნაბურღნატენ ხიმინჯებს.

ასე შემნილი კედლებისა და გადახურვის დაცვის ქვეშ ხორციელდება გრუნტის ბირთვის ამოღება სქემით „ზევიდა ნქვევით“ მიწის ქვეშა ნაგებობების ერთი და ორი იარუსის ფარგლებში მცირე გაბარიტიანი საგვირაბო ექსკავატორებით. ბოლოს ხდება პირველი იარუსის დაბეტონება და ციკლი თავიდან მეორდება, სანამ არ დაბეტონდება ბოლო იარუსი.

განხილული ტექნოლოგია შეიძლება იყოს ძალზე ეფექტური ერთმალიან ნაგებობებში 10-12 მ სიღრმეზე, ორმალიანი ნაგებობების მშენებლობისას უნდა გავითვალისწინოთ დამატებით წოლხვრელის გაყვანა შუალედური სვეტებისა და გრძივების ასაგებად (ნახ. 1 ბ).

ამ ტექნოლოგიის რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ ობიექტის ჩაღრმავება იყოს არანაკლები 1,5-2 მ, რაც უზრუნველყოფს საკმარის საფარს, მილებისაგან შემდეგ არ ეკრანის ზემოთ და შესაძლებლობას იძლევა თავიდან ავიცილოთ მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანა. ზემოთ აღნიშნული ხერხით ასევე შესაძლებელია მეტროპოლიტენის სადგურების და ვესტიბულების, ავტოსადგომების, მრავალფუნქციური კომლექსების მშენებლობა.



ნახ.1 მიწისქვეშა ნაგებობების აგების ტექნოლოგიური თანმიმდევრობა.

I-IV-სამუშაოთაეტაპები; 1-წლების მიღებისაგან; 3-კედელი ნაბურღისიმინჯებისგან; 4-ჭაურები; 5-მონოლითური რკბეტონისკედელი; 6-სართულშეა გადახურვები; 7-საძირკვლის ფილა; 8-სვეტი; 9-გრძივები.

### 3. დასპანა

თანამედროვე ქალაქები წარმოუდგენელია მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე, რომელიც ერთი შესედვით თითქმის შეუმჩნეველია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თავისუფლდება ტერიტორია და ნაკლებად ბინძურდება გარემო.

მე-20 საუკუნის ბოლო წლებიდან აქტიურად დაიწყეს მიწის ქვეშა სივრცის გამოყენება დიდ ქალაქებში. ეს დონისძიებები ტარდება მეტროპოლიტენების მშენებლობის პარალელურად, როდესაც ქალაქის განტვირთვის მიზნით გადატვირთული მაგისტრალების ქუჩები გადააქვთ მიწის ქვეშ. ბევრ შემთხვევაში სარკინიზო ხაზები გადაკეთდა ჩქაროსნულ ტრასებად, განახლდა საკომუნიკაციო დანიშნულების გვირაბები და ა.შ

ზემოხსენებულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მსხვილ ქალაქებში მიწის ქვეშა სივრცის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია მათი ფართო შესაძლებლობების გამო, მიწის ქვეშ შეიძლება განლაგდეს მრავალფეროვანი, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, ამიტომ აუცილებელია გავითვალისწინოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება მიწისქვეშა სივრცეების მაღალი ტექნოლოგიების, ახალი თაობის ნაგებობებისა და არქიტექტურული სიახლეების დანერგვის საქმეში.

### ლიტერატურა

1. თ. ჭურაძე, პ. მჭედლიშვილი, ნ. კვაჭაძე – საქალაქო მიწისქვეშა ნაგებობები, სტუ, თბილისი, 2009 -179 გვ.
2. ( ) , 2005 – . 92

## გეტონის გაჯირვება

ა. საყვარელიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** შესწავლიდის ბეტონის გაჯირვების საკითხები. დადგენილია 28 დღის ასაკის ბეტონის გაჯირვების დეფორმაციები. მასალის დატენიანების სხვადასხვა ინტენსიურების დროს გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზინზე 100%. ნაჩვენებია, რომ გაჯირვება იზრდება ბეტონის დატენიანების ინტენსივობის პროპრციულად. დადგენილია, რომ გაჯირვების დეფორმაციები, კარგად აისახება წრფივი გაჯირვების ერთი კოეფიციენტით. გამოთვლილია წრფივი გაჯირვების კოეფიციენტის მნიშვნელობა, 28 დღის ასაკის ბეტონისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ბეტონი, „სტანდარტული“, გაჯირვება, ინტენსიონი, წრფივი, გაჯირვების კოეფიციენტი, ფარდობითი ტენიანობა, ტენიანობა, ასაკი, ექსპერიმენტი.

### 1. შესაბამის

გაჯირვების საკითხების შესასწავლად ჩატარებულია ცდები ბეტონის ნიმუშებზე-ცილინდრებზე დიამეტრით 70 და სიგრძით 70 და 300 მმ. გამოიცდებოდა 28 დღის ასაკის „სტანდარტული“ ნიმუშები, გამომშრალი მუდმივ წონამდე. ექსპერიმეტში გამომშრალი ნიმუშები, ტენიანობით 0% (მასისი მიხედვით) იზოლირებული ბლოკით, თავსდებოდა კამერებში გარემოს ფარდობითი ტენიანობით 70 და 100%. ასეთ პირობებში ნიმუშები განიცდიდნენ დატენიანებას (გვერდითი ზედაპირიდან) სხვადასხვა ინტენსიონობით. რეალიზდებოდა უსასრულ ცილინდრის ამოცანა, მესამე რიგის სასაზღვრო პირობებში /2,3,4/. ბეტონის ტექნოლოგიური პარამეტრები და ცდების ჩატარების მეთოდიკა მოცემულია /1,4/-ში.

ჩატარებულია ექსპერიმენტის 2 სერია. პირველ სერიაში ნიმუშების დატენიანებისას ხდებოდა მათი პერიოდული აწონვა, იმ დრომდე სანამ არ მიიღწეოდა ნიმუშებსა და აგრემოს შორის ტენიანობის წონასწორობის მდგომარეობა, როდესაც ტენის გაცვლა ნიმუშებსა და გარემოს შორის აღარ ხდება. ამ დროდან გამოკვეულ დიაპაზონებში (70 და 100%) ნიმუშების წონა რჩებოდა მუდმივი. დადგინდა, რომ აღნიშნულ ფარდობითი ტენიანობის გარემოში ტენიანობის წონასწორობის მდგომარეობას ნიმუშები აღწევდნენ 180 დღეში. ექსპერიმენტის II სერიაში ანალოგიურ ფარდობითი ტენიანობის კამერებში ნიმუშები განიცდიდნენ გაჯირვებას გაჯირვების ზღვრულ მნიშვნელობებს ნიმუშებში აღწევდნენ 180 დღეში.

### 2. მიზანიადი ნაწილი

გამოცდების წინ „სტანდარტული“ ნიმუშები შეებოდა მუდმივ წონამდე გამოსაშრომ კამერაში 105°C დროს /1/. შემდეგ ცდების მეთოდიკის თანახმად ნიმუშები თავსდებოდა 70 და 100% ფარდობითი ტენიანობის კამერებში. პირველ სერიაში ფიქსირდებოდა ნიმუშების წონის ცვლილება (წონითი ექსპერიმენტები), ხოლო II სერიაში ხდებოდა ნიმუშების გაჯირვების დეფორმაციის გადაფიქსირებ დროში ცდები გრძელდებოდა 180 დღე. ამ დროში ორივე ფარდობითი ტენიანობის გარემოში ნიმუშების დეფორმაციები აღწევდნენ გაჯირვების ზღვრულ მნიშვნელობებს.


28 დღის ასაკის ბეტონის გაჯირვების დეფორმაციების ზღვრული მნიშვნელობები, მასალის ტენიანობა ცდების დასაწყისში და 180 დღის ბოლოს, კამერაში გარემოს ფარდობითი ტენიანობა ცდების დასაწყისში და გამოცდების 180 დღის განმავლობაში მოცემულია ცხრილში 1.

« »

ბეტონის ტენშემცველობა და გაჯირჯვების ზღვრული  
მნიშვნელობები 180 დღეში ცხრილი 1

ნიმუშების ტენიანობა W%	გარემოს ფარდობითი ტენიანობა φ%	გაჯირვების დეფორმაციები 180 დღეში, $\varepsilon_H \cdot 10^{-6}$	
ცდის დასაწყისში $t-t_0=0$	ცდის ბოლოს $t-t_0=180$	ცდის დასაწყისში $t-t_0=0$	ცდის დოს 180 დღე განმავლიბაში
0	0	0	0
0	2,4	0	70
0	3,7	0	100
			144

გარემოს ფარდობითი ტენიანობის მთელ დიაპაზონში  $0\div 100\%$ , ანუ ბეტონის ტენშემცველობის დიაპაზონში  $0\div 37\%$  (მასის მიხედვით), გაჯირჯვების ზღვრული დეფორმაციების ეს დამოკიდებულება მასალის ტენშემცველობაზე წრიფვი ხასიათისაა. იხილე სურათი 1.



ნახ. 1. გაჯირვების ზღვრული დეფორმაციის ეს დამოკიდებულება ბეტონის  
ტენშემცველობაზე  $W\%$

გაჯირჯვების დეფორმაციები ეს გამოითვლება ფორმულა (1)-ით

$$\varepsilon_H = \beta_H (W - W_0) \quad (1)$$

სადაც: εΗ – ბეტონის გაჯირჯვების ზღვრული დეფორმაციები;

β<sub>H</sub> – δეტონის წრფივი გაჯირჯვების კოეფიციენტია;

W<sub>0</sub> – δეტონის ტენშემცველობა ცდების დასაწყისში W=W<sub>0</sub>=0%

W – მასალის ტენშემცველობა დიაპაზონში  $0 \leq W \leq 3,7\% = W_{max}$

3. დასტურება

ნაჩვენებია 28 დღის ასაკის ბეტონის გაჯირჯვების დეფორმაციები (დატენიანებისას) გარემოს ფარდობითი ტენიანობა მთელ დიაპაზონზე  $0\text{--}100\%$  იზრდება მასალის დატენიანების ინტენსივობის პროპორციულად. დადგნილია, რომ გაჯირჯვების დეფორმაციები კარგად აისახება წრფივი გაჯირჯვების ერთი კოეფიციენტით.

ცხრილი 1-ის მონაცემებით, ფორმულა (1)-ით გამოითვლილი 28 დღის ასაკის ბეტონის წრფივი გაჯირვების კოეფიციენტი ტოლია  $\beta_H = 0,33 \cdot 10^{-2}$

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା

1. . . . , 1998, . 131  
 2. . . . « » 1964, . 517  
 3. . . . « » 1968, . 471  
 4.ა. საყვარელიძე. ბეტონის ტენგამტარობის პარამეტრების განსაზღვრა. თბილისი, „ჰიდროინჟინერია“ №1(5), 2008წ. გვ. 100-108

## სატრანსპორტო გვირაბების პროექტირების თანამედროვე მიღმღმები

მ. მოისწრაფიშვილი, თ. ყიფიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ხტატიაში განხილულია ზექაროსნულ სარკინიგ ზო მაგისტრალებზე  
გვირაბების პროექტირების თავისებულებების და გაანალიზებულია გვირაბის  
მუდმივი სამაგრის კონსტრუქციული ნაწილის პარამეტრები.

ხტატიაში წარმოდგენილია მოცულობით-ვეგმარებითი გადაწყვეტები,  
შემთავაზებულია კონსტრუქციის სამშენებლო მოთხოვნების ძირითადი  
პარამეტრები და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემსუბუქებისათვის  
საჭირო მოთხოვნები.

ხტატიაში დასკვნის სახით მოცემულია იმ საინჟინრო დარგების ჩამონათვალი,  
რომელთა სინქრონიზებული მუშაობის შედეგად მიღწევა საბოლოო შედეგი.

**საკვანძო სიტყვები:** ზექაროსნული მაგისტრალები; გვირაბი.

### 1. შესაბამის

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სატრანსპორტო  
ნაგებობების უსაფრთხოებას, საექსპლუატაციო საიმედოობას, ხანმედევობასა და  
მდგრადობას. შესაბამისად ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს სამშენებლო  
მასალათა თვისებების გაუმჯობესების, გეომეტრიული და სტრუქტურული  
დაპროექტების განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე, უკვე არსებულ  
გამოცდილებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად იხვეწება და ვითარდება  
სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, რომლებიც თავის მხრივ თეორიის,  
პრაქტიკის და მეცნიერების სინთეზს წარმოადგენს.

დღეისათვის, გვირაბების დაპროექტება ერთეულ მნიშვნელოვან კვლევის  
სამიზნებს წარმოადგენს და გულისხმობს ისეთი პროექტის შემუშავებას, სადაც  
გათვალისწინებულ იქნება მისი საიმედოობა და რენტაბელურობა სასიცოცხლო  
ვადის სრულ ამოწურვამდე, 100, 120 და ოუნდაც 200 წლიან პერიოდში.

ადრე, საბჭოთა პერიოდში, სატრანსპორტო ნაგებობებს საექსპლუატაციო  
ვადა არ ჰქონდა განსაზღვრული და ისინი შენდებოდა განუსაზღვრული  
ვადისათვის. მაგალითად, საქართველოში XIX საუკუნის მიწურულს აშენებული  
წიფის სარკინიგზო გვირაბი ამჟამადაც ექსპლუატაციაშია და უზრუნველყოფს  
მატარებელთა უსაფრთხო გადაადგილებას. საგულისხმოა სწორედ ის ფაქტიც,  
რომ თავდაპირეველად აღნიშნული გვირაბი აშენდა ერთლიანდაგიანი  
რკინიგზისათვის განივი კვევთის მარაგით შესაძლო სამომავლო  
გამოწვევებისადმი მზაობისათვის, რამაც შემდგომ პერიოდში შესაძლებელი  
გახადა მეორე ლიანდაგის დამატება ისე, რომ არ მოშედარა გვირაბის ძირითადი  
კონსტრუქციული ნაწილის შეცვლა.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ სატრანსპორტო ნაგებობის  
უმნიშვნელოვანები და დღეისათვის ძალზე აქტუალური კომპონენტის –  
გვირაბის – დაპროექტებისადმი თანამედროვე მიღგომები სასიცოცხლო ვადის  
მაქსიმალური მნიშვნელობისათვის.

### 2. ძირითადი ნაშილი

ზექაროსნულ მაგისტრალებზე სატრანსპორტო გვირაბების დაპროექტება  
ხორციელდება სპეციალური ტექნიკური პირობების გათვალისწინებით. გვირაბების  
მუდმივ სამაგრის უნდა გააჩნდეს გაუმჯობესებული აეროდინამიური თვისებები,  
რაც გამორიცხავს შვერილების არსებობას და გულისხმობს შემდეგს (ნახ.1):

- გვირაბში ნიშები და საკნები არ ეწყობა;
- სხვადასხვა დანიშნულების კაბელები ჩაყოლებულია გვირაბის მუდმივ სამაგრში, გვირაბის შიდა კონსტრუქციებში ან ლიანდაგის ბეტონის საფუძველში პერმეტიზაციის უზრუნველყოფით;
- კარადები, ღიობები და ნიშები შიდა კონსტრუქციებში დახურულია, მაგ. ჟალუზის ტიპის კარებებით.



ნახ.1. გვირაბის საერთო შიდა ხედი

გვირაბის პორტალური უბნების დაპროექტება ხორციელდება მილძაბრის ტიპის. მილძაბრების გეომეტრიული პარამეტრები (მილძაბრის მონაკვეთის სიგრძე, თავად გვირაბის კვეთისა და შემავალი მილძაბრების კვეთს შორის შეფარდება) უზრუნველყოფს წნევის ცვლილების მაქსიმალურ დონეს არაუმეტეს 10 კპა-ს ფარგლებში.

გვირაბის პორტალთან შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე გვირაბების განთავსებისას განსაკუთრებულ ექოლოგიურ ზონებში სპეციალურ შემთხვევებში დაიშვება ღიობების გაკეთება მილძაბრების სიგრძის გასწვრივ, რომლებიც აკაგშირებს გვირაბის შიდა სივრცეს ატმოსფეროსთან და ამ უბნების ვერტიკალური ზედაპირები უნდა დაიფაროს ხმაურჩამხშობი მასალებით (ნახ.2.).



ნახ.2. გვირაბის პორტალების თანამედროვე კონსტრუქცია

ზექაროსნულ მაგისტრალებზე გვირაბების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ხდება გეოტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ, რომელსაც ახორციელებს სპეციალური უფლებამოსილი ორგანო ან ორგანიზაცია.

გეოტექნიკური ექსპერტიზისათვის წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

- საინჟინრო-გეოლოგიური და გეოტექნიკური კვლევების შედეგები;


- მშენებლობის გავლენის ზონაში განთავსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობის დასკვნები;
- მზიდი კონსტრუქციების საპროექტო გადაწყვეტები;
- მიწისქვეშა ნაგებობისა და გრუნტის მასივის ურთიერთქმედების მათემატიკური მოდელირების შედეგები, მათ შორის დასაპროექტებული მიწისქვეშა ნაგებობის მიმდებარე შენობებზე გავლენის გაანგარიშებები;
- არსებული შენობების საფუძვლებისა და ფუნდამენტების გამაგრების პროექტები და სხვა დონისძიებები მათი შენარჩუნებისთვის და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებების დასაბუთებით;
- პიდროგეოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირების შედეგები;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- გეოტექნიკური მონიტორინგის პროექტი (საზედამხედველო სადგური).
- გადაწყვეტილებები გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით:
- გვირაბებს შორის მანძილი პორტალურ უბნებზე არ ნორმირდება, თუმცა დერძებს შორის მანძილი არ უნდა იყოს საბოლოო თაღის განივი კვეთის ორმაგ სიგრძეზე ნამრავლზე ნაკლები.
- გვირაბების განლაგება გეგმაში უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ ზეჩაროსნული მაგისტრალების ტრასის დია მონაკვეთებს. პორტალების განლაგებისას გეგმაში 25 მ ნაკლები დერძებს შორის მანძილით, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას გამყოფი ტიხრის მოწყობა.

ერთლიანდაგიანი გვირაბების დერძებს შორის გეგმაში მიმდა გამორიცხავს მათ ურთიერთქმედებას მშენებლობისას. ღრმულების საერთო გამდლეობის კოეფიციენტი გამოვლებისას, გრუნტის მასივის ზღვრული წონასწორობის მეთოდით პროექტირებისას, მასივის შესწავლის მონაცემებით და დეფორმაციის ანალიზით უნდა იყოს არანაკლებ 1,3-ისა; პროექტირებისას ჭაბურდილების ბურღვის მონაცემებით და ანალოგიის მეთოდით - არანაკლებ 1,5-ისა.

გვირაბებში ლიანდაგქეშა საფუძვლის მოწყობა ბალასტზე არ დაიშვება. უპირაპირ ლიანდაგის დაპროექტება და მოწყობა ხდება მიწის ვაკისის ზედა ნაშენთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად ზეჩაროსნული სარკინიგზო მაგისტრალებისათვის.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების გათვალისწინებით, მშენებლობისათვის არახელსაყრელი ზონების გამოვლენისას (ნაპრალები, კასტრული, მეწყრული და სხვა პროცესების განვითარების ზონები, რომლებიც არახლსაყრელია გვირაბების უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის საიმედობისათვის) დგინდება მათი გავრცელების, ინტენსიური განვითარების საზღვრები, სამშენებლო სამუშაოების პირობებზე ზეგავლენის დონე. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის საჭიროა გრუნტების დამატებითი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესწავლა.

მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტების თვალსაზრისით გვირაბები უმჯობესია დაპროექტდეს როგორც ორი ერთლიანდაგიანი გვირაბი. 1000 მ-ზე ნაკლები სიგრძის გვირაბები, აგრეთვე გვირაბები, რომლებიც გაყვანილია არახელსაყრელ ბუნებრივ ან საქალაქო პირობებში შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით შეიძლება დაპროექტდეს როგორც ორლიანდაგიანი (ნახ.3), თუმცა გასათვალისწინებელია გამყოფი კონსტრუქცია, რომელიც განისაზღვრება დაპროექტებისას აეროდინამიური ზემოქმედებისა და შემაღენლობის რელსებიდან გადასვლისას კონსტრუქციის უმტკუნებლობის გამოვლების შედეგების მიხედვით.



ნახ.3.ორლიანდაგიანი გვირაბი გამყოფი კონსტრუქციით  
1500 მ-ზე მეტი სიგრძის მქონე გვირაბებში ხდება დამატებითი  
გასასვლელების მოწყობა შემდეგი მიზნებისათვის:

- ადამიანების ევაკუაცია;
- სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესრულება;
- საექსპლუატაციო მოწყობილობების დამონტაჟება;
- კომუნიკაციების გაყვანა;

ასევე გათვალისწინებელია მომსახურების მრავალფუნქციური სადგური.

ელექტრომომარაგების და ელექტროგანათების კაბელები, აგრეთვე ავტომატიკის სისტემებისა და ტელემეტრიკის, სარკინიგზო ელექტროკავშირგაბმულობის კაბელები, ასევე მიღებაყვანილობა საყოფაცხოვრებლივი საჭიროებებისათვის განთავსდება საკაბელო არხებში, რომლებიც განლაგებულია გვირაბის შიდა კონსტრუქციებში სატრანსპორტო განყოფილების გარეთ, ლიანდაგის მყარი საფუძვლის კონსტრუქციაში ან მრავალფუნქციონალურ შტოლნში (ასეთის არსებობისას).

განივი კვეთი, გრძივი პროფილი და გეგმა. გვირაბის განივი კვეთი განისაზღვრება ნაგებობის კონსტრუქციულ ელემენტებზე აეროდინამიური ზემოქმედების დასაშვებ მნიშვნელობამდე შემცირების აუცილებლობის, მგზავრთა კომფორტულობის უზრუნველყოფის, საკონტაქტო ქსელის კონსტრუქციის, ლიანდაგის კონსტრუქციის, წყალგამყვანის უვალა საჭირო ტექონიკური მოწყობილობის, სამშენებლო დაშვებების გათვალისწინებით, აგრეთვე მატარებლისა და გვირაბის კვეთს შორის თანაფარდობის გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს ზედმეტი წნევის უსაფრთხო დონეს.

სწორხაზოვან და არასწორხაზოვან უბნებზე გვირაბის განივი კვეთის პროექტირება ხდება გაბარიტების შესაბამისი პარამეტრების გათვალისწინებით.  $R > 4000$  მ მრუდის შემთხვევაში გაბარიტის გაფართოება შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული.


გვირაბის ტიპის მიხედვით (ერთი ან ორლიანდაგიანი) და მატარებლების გადაადგილების საპროექტო სიჩქარის მიხედვით გვირაბის შიდა განივი კვეთი არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე:

- 75 მ<sup>2</sup> ერთლიანდაგიანი გვირაბებისათვის;
- 110 მ<sup>2</sup> ორლიანდაგიანი გვირაბებისათვის.

ლიანდაგებს შორის მანძილი ორლიანდაგიან გვირაბებში 200 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის რეალიზებისას ისეთივე, როგორც გვირაბის გარეთ მდებარე ლიანდაგებზე. ლიანდაგების დერძებს შორის მანძილი ორლიანდაგიან გვირაბებში სწორ მონაკვეთებზე მაქსიმალური სიჩქარით 350 კმ/სთ უნდა იყოს არანაკლებ 5000 მმ-ს.

400 მ-დე სიგრძის გვირაბებში გრძივი ქანობი უნდა იყოს ერთგვარი მის მოედ სიგრძეზე. ლიანდაგის მინიმალური დახრილობა გვირაბში - 3.

მაქსიმალური ქანობი განისაზღვრება სახელმძღვანელო ქანობის შერბილების გათვალიწინებით. სახელმძღვანელო ქანობის შერბილების კოეფიციენტი მიიღება გამოთვლით, მოძრავი შემადგენლობის გვირაბში გავლისას დამატებითი წინაღობის მიხედვით. ნახაზზე 4 წარმოდგენია ნაგებობების მიახლოების გაბარიტი, საკონტაქტო ქსელის და დენის მიმღების განსათავსებლად სივრცის შემზღვდავი ხაზი.



ნახაზი 4. ნაგებობების მიახლოების გაბარიტი.

კონსტრუქციის სამშენებლო მოთხოვნები. მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ თაღის საბოლოო კონსტრუქციას, განისაზღვრება შესაბამისი გეოტექნიკური კვლევების საფუძველზე. გვირაბების და პორტალების მოსაპირკეთებელი კონსტრუქციები რაიონებში (ზონებში) სეისმურობით 7 ბალზე მეტი, უნდა აქმაყოფილებდეს შესაბამისი წესების კრებულის მოთხოვნებს. საბოლოო თაღის კონსტრუქციისათვის გამოიყენება ასაწყობი რკინაბეტონის ბლოკები, ლითონის მილისებრი რგოლი/ტიუბინგები, მონოლითური რკინაბეტონი ან ნაშეცბეტონი ან სხვა ბეტონის მზიდი კონსტრუქცია, რომლებიც მოცემულ პირობებში მშენებლობისას უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობას უზრუნველყოფს.

მოწყობილობების დამაგრება გვირაბში უზრუნველყოფს მდგრადობას დამრტყმელი ტაღდის ხანმოკლე ზემოქმედებისადმი ჩქაროსნული მატარებლის მოძრაობის ფრონტალურ სიბრტყეში ზედმეტი წნევის გამოთვლის გათვალისწინებით.

კონსტრუქციების გამოთვლისას გასათვალისწინებელია აეროდინამიური დატვირთვა. აეროდინამიური ზემოქმედება არ უნდა აღემატებოდეს 10 ქპა-ს. გამოთვლით სქემებში ეს დატვირთვა გათვალისწინებულია, როგორც დროებითი.

ცხრილი 1-ში მოცემულია საბოლოო თაღის გათვლებისას ბზარებისადმი მდგრადი და ბზარების ხანგრძლივი გახსნის ზღვრული დასაშვები სიგანეები: პიდროიზოლაციისა და კოროზიისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, მშენებლობის და სამუშაოების მიღებული ტექნოლოგიების საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე გამოიყენება მიწისქვეშა ნაგებობების შემდეგი სახის პიდროიზოლაცია: ასაკრავი, შემოსაგდესი, დასადნობი, დასაფრქვევი, აფსკური, ფოლადის ან სხვა სახის პიდროიზოლაცია, რომელიც გამორიცხავს წყლის შედწევას გვირაბის შიდა სივრცეში.

ცხრილი 1

გარემოს აგრესიული ზემოქმედების დონე	გზარებისადმი მდგრადობის მოთხოვნების კატეგორია და გზარების ხანგრძლივობის გახსნის ზღვრული დასაშვები სიგანე მმ გრუნტთან კონტაქტში მყოფი კონსტრუქციებისათვის <sup>1)</sup>		დამცავი ფენის სისქე <sup>2)</sup> გაწყლიანების ზონაში პიდროიზოლაციის გარეშე	ბეტონის მარვა წყალგაუმტარობაზე, არანაკლებ	
	გაწყლიანების ზონაში პიდროიზოლაციის გარეშე	გაწყლიანების ზონაში პიდროიზოლაციით და უწყლო ზონაში		გაწყლიანების ზონაში პიდროიზოლაციის გარეშე	გაწყლიანების ზონაში პიდროიზოლაციით და უწყლო ზონაში
არააგრესიული	3/0,15 (0,2)	3/0,2 (0,2)	30	W8	W6
სუსტად აგრესიული	3/0,1 (0,15)	3/0,15 (0,15)	30	W8	W6
საშუალოდ აგრესიული	3/0,05 (0,1)	3/0,1 (0,1)	35	W10	W8
ძლიერაგრესიული	3/0,05 (0,1)	3/0,1 (0,1)	35	W12	W8

გვირაბების მონოლითურ სამაგრს გააჩნია დეფორმაციულ ტემპერატურულ-დალექტადი ნაკერები, რომელთა შორის მანძილი უნდა გაითვალოს არანაკლებ 60 მ-ზე.

ენერგომომარაგება, ენერგომოწყობილობები, ელექტროგანათება, ვენტილაცია. სარკინიგზო გვირაბის ენერგომომარაგების პროექტირებისას სანათურების ტიპი და მათი დამაგრება უზრუნველყოფს ჩქაროსნული მატარებლის ფრონტალურ სიბრტყეზე მოძრაობის დამრტყმელი ტალღის ხანმოკლე ზემოქმედებისადმი მდგრადობას. სანათებს და მათ სამაგრებს გააჩნია გაუმჯობესებული აეროდინამიური მაჩვენებლები.

სარემონტო მოწყობილობების და ინსტრუმენტების მიერთება ითვალისწინებს სტაციონარულ მოწყობილობებს, რომლებიც არ უნდა იყოს გამოწეული გვირაბის კონსტრუქციის შიდა კონტრუის კორპუსიდან.

ვენტილაციის და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის პროექტირებისას გათვალისწინებულია საპაერო ნაკადების დინამიკა გვირაბებში და პორტალურ უბნებზე.

სადრენაჟო მოწყობილობები (სადრენაჟო შტოლნი, საბოლოო სამაგრსუებანა გრძივი დრენაჟი და სხვა) უზრუნველყოფს პიდროსტატიკური წნევის დაწევას სამაგრზე დასაშვებ დონეზე.

ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა. გვირაბი აღჭურვილი გადასაღობი და სასიგნალო სიგნალიზაციის მოწყობილობებით. ასევე, ლიანდაგის მდგომარეობის და გვირაბის საბოლოო თაღის კონსტრუქციის კონტროლის სისტემებით, გვირაბში მიკროკლიმატის კონტროლის სისტემებით, მთის მასივის მდგომარეობის გეომექანიკური კონტროლის სისტემებით, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემით.

ავტომატიკის, სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობილობების საკაბელო ხაზები გაყვანილია საკაბელო არხთან გვირაბის საგრანსპორტო ზონაში განთავსებული მოწყობილობით და განთავსებულია საბოლოო თაღში დატანილ მილებში ცალკე, ელექტრომომარაგების კაბელებისაგან მოშორებით.

გარემოს დაცვის დონისძიებების კომპლექსი ზეჩქაროსნულ სარკინიგზო მაგისტრალებზე გვირაბების დაპროექტებისას, მშენებლობისას და ექსპლუატაციისას მოიცე:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებს;
- განსახორციელებელი სამეურნეო საქმიანობის გარემოზე შესაძლო ნებატიური გავლენის შესამცირებელი ან/და თავიდან ასაცილებელი და

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დონისძიებების ჩამონათვალს გვირაბების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდისათვის;

- რუქა-სქემას ზექაროსნულ სარკინიგზო მაგისტრალებზე გვირაბების ტრასის განლაგების მითითებით და ტერიტორიის საგანგებო გამოყენების განსაკუთრებული პირობების, წითელ წიგნში შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა საცხოვრებელი ადგილების მითითებით;
- რუქა-სქემას გვირაბებში ავარიის შემთხვევაში ეკოლოგიური რისკის საზღვრების და გარემოს შესაძლო დაბინძურების მითითებით.

ზექაროსნულ სარკინიგზო ხაზებზე გვირაბების მუშაობა და ექსპლუატაცია არ დაიშვება პროექტით გათვალისწინებული გარემოს დაცვის დონისძიებების ჩატარების გარეშე.

საგანგებო სიტუაციების თავიდან ასაცილებელი დონისძიებები. სამოქალაქო თავდაცვის, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების დონისძიებების ჩამონათვალი გვირაბებისათვის გავითვალისწინებულ უნდა იქნას მოქმედი სამოქალაქო თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების ნორმატიული დოკუმენტების და კანონმდებლობის შესაბამისად.

გვირაბები უნდა იყოს აღჭურვილი შენობა-ნაგებობების საინჟინრო სისტემების მონიტორინგის სტრუქტურირებული სისტემით შესაბამისი ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით.

### 3. დასპპნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გვირაბის მშენებლობა წარმოადგენს რთულ პროექტს, რომელშიც გაერთიანებულია და ურთიერთდამოკიდებულია არაერთი საინჟინრო დარგი და გულისხმობს ყველა ამ სპეციალიზაციის სინქრონიზებულ მოქმედებას საბოლოო შედეგის მიღების მიზნით.

გვირაბმშენებლობა წარმოადგენს ძვირადღირებულ პროცესს, სადაც თავს იყრის გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოტექნიკური და სამოქალაქო მშენებლობის არაერთი დარგი, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მის ღირებულებას. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის მიზნით გატარებული დონისძიებანი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბოლოო ღირებულების დადგენისას.

აქედან გამომდინარე, გვირაბების დაპროექტების ეტაპზე აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ყველა შესაძლო სამომავლო გამოწვევის მაქსიმალური პროგნოზირება, რათა იგი პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს რაც შეიძლება დიდი ვადის განმავლობაში.

### ლიტერატურა

1. TSI (Technical Specifications for Interoperability) for safety in Railway Tunnels in European High-Speed lines, version 20 December 2007
2. UIC Code 779-11 R, 2nd Edition, February 2005, Determination of Railway Tunnel Cross Sectional Areas on the Basis of Aerodynamic Considerations
3. GAWTHORPE R.G., Pressure Effects in Tunnels, 2000
4. THSRC Taiwan High Speed Rail Project, 2002
5. MACDONALD MOTT, The Channel Tunnel - A Designer's Perspective, 1994
6. CHSTP Technical Memorandum 2.4.2 Basic Tunnel Configuration, June 2008
7. BS EN 14067:2006 Railway Applications – Aerodynamics
8. UIC Code 660 OR, 2nd Edition, August 2002, Measures to ensure the technical compatibility of high-speed trains.
9. BOPP R, HAGENAH B, Aerodynamics, Ventilation and Tunnel Safety for High Speed rail tunnels
10. VARDY A, Generation and Alleviation of Sonic Booms from Rail Tunnels, Presentation to Institution of Civil Engineers, March 2010

## შედგენილი ცილინდრის დრეკად-პლასტიკური მდგრადარეობა ბარე წნევისა და ცვლადი ფემატრატურის პირობებში

თ. ბაციკაძე, ჯ. ნიუარაძე, რ. გოლოგობიანი, გ. ტურაშვილი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** განიხილება იდეალურად დრეკად-პლასტიკური ორფენიანი ცილინდრული გარსი, რომლის შიგა ფენის სისქე გაცილებით ნაკლებია გარე ფენის სისქესთან შედარებით. გარსი ექვემდებარება ტრექას დენადობის პირობას და დენადობის ასოცირებულ კანონს. ფენები ხასიათდებიან სხვადასხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით. განიხილება თანაბრადგანაწილებული ტემპერატურული გელის ზემოქმედება, რომელიც მოიცავს მოლიან შიგა ფენას და გარე ფენის შიგა ზედაპირს. ამავე დროს ცილინდრის გარე ზედაპირზე მოქმედებს ასევე თანაბრადგანაწილებული დატვირთვა.

მიღებულია გადაადგილებათა და ძაბვათა გამოსახულებები, როგორც დრეკადი, ისე დრეკად-პლასტიკური სტადიებისათვის. შედარებითი ანალიზის საფუძველზე მიღწეულია ამ გამოსახულებათა გამარტივება.

**საკვანძო სიტყვები:** დენადობის ზღვარი, ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტი, დრეკადი სტადია, დრეკად-პლასტიკური სტადია, ძაბვები და გადაადგილებები.

### 1. შესაგალი

განვიხილოთ ორი ფენისაგან შედგენილი ცილინდრი (შიდა ფენა შედარებით მცირე სისქისა) ცილინდრზე მოქმედებს გარე დატვირთვა ინტენსივობით  $P_0$  და დერძსიმეტრიული ტემპერატურული ველი  $T_0$  შიდა ფენის წნევა იყოს  $P^I$ . დავუშვათ, რომ ცილინდრის ორივე ფენა იდეალურად დრეკად-პლასტიკურ თვისებებს ამჟღავნებს და ექვემდებარება როგორც ტრექას დენადობის პირობას, ასევე დენადობის ასოცირებულ კანონს. ფენების დენადობის ზღვარი და ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტები სხვადასხვაა. ჩავთვალოთ, რომ ტემპერატურა თანაბრად ნაწილება შიგა ფენის სისქეში და ტოლია გარე ფენის შიგა ზედაპირის ტემპერატურისა.

შიგა და გარე რადიუსები შესაბამისად აღვნიშნოთ  $r_1$  და  $r_2$  (ნახ. 1)  $t$  – შიდა ფენის სისქეა. გარე ძირითადი ფენის პარამეტრები აღვნიშნოთ  $a$  – ინდექსით, შიგა ფენის პარამეტრები  $c$  – ინდექსით. ამასთან დაგუშვათ, რომ  $\alpha_c > \alpha_a$ .

### 2. პირითადი ნაშილი

ძაბვებისა და გადაადგილებების გელი დრეკად სტადიაში გამოისახება ცნობილი ფორმულებით:

$$\frac{E_a \cdot U_a}{1 + \gamma_a} = \frac{E_a \cdot \alpha_a}{(1 - \gamma_a)r} \int_{r_1}^r T(r) r dr + \frac{E_a \cdot \alpha_a}{2(1 - \gamma_a)} \left[ (1 - 2\gamma_a) + \frac{r_1^2}{r} \right] T_s + \frac{P^I \cdot a^2}{r_2^2 - r_1^2} \left[ (1 - 2\gamma_a) \cdot r + \frac{r_2^2}{r} \right] - \frac{P_a \cdot r_2^2}{r_2^2 - r_1^2} \left[ (1 - 2\gamma_a)r + \frac{r_1^2}{r} \right] - \frac{E_a \cdot \gamma_a \cdot \varepsilon_z}{(1 + \gamma_a)} \cdot r$$

$$\sigma_\zeta = -\frac{E_a \cdot \alpha_a}{(1 - \gamma_a)r^2} \int_{r_1}^r T(r) r dr + \frac{E_a \cdot \sigma_a}{2(1 - \gamma_a)} \left( 1 - \frac{r_1^2}{r^2} \right) \cdot T_s + \frac{P^I \cdot r_1^2}{r_2^2 - r_1^2} \left( 1 - \frac{r_2^2}{r} \right) - \frac{P^I \cdot r_2^2}{r_2^2 - r_1^2} \left( 1 - \frac{r_1^2}{r} \right);$$

$$\sigma_\xi = \frac{E_a \cdot \alpha_a}{(1 - \gamma_a)r^2} \int_{r_1}^r T(r) r dr + \frac{E_a \cdot \sigma_a}{1 - \gamma_a} \left( 1 + \frac{r_1^2}{r^2} \right) \cdot T_s - \frac{E_a \cdot \alpha_z}{(1 - \gamma_a)} T(r) + \frac{P^I \cdot r_1^2}{r_2^2 - r_1^2} \left( 1 + \frac{r_2^2}{r} \right) - \frac{P^I \cdot r_2^2}{r_2^2 - r_1^2} \left( 1 + \frac{r_1^2}{r} \right); \quad (1)$$

$$\sigma_z = E_I \cdot \varepsilon_z - \frac{E_2 \cdot \alpha_a \cdot T(r)}{(1 - \gamma_a)} + \frac{2\gamma_a \cdot P^I \cdot r_1^2}{(r_2^2 - r_1^2)} - \frac{2\gamma_a \cdot P_0 \cdot r_2^2}{(r_2^2 - r_1^2)} + \frac{\gamma_a \cdot E_a \cdot \alpha_a}{(1 - \gamma_a)} \cdot T_s$$

სადაც

$$T_s = \frac{2}{r_2^2 - r_1^2} \int_{r_1}^r T(r) r dr \quad (2)$$

შიგა თხელკედლიანი ცილინდრისათვის, რომლის სისქე აღვნიშნეთ  $t$ -თი, გარე რადიუსი –  $r_1$ -ით, გარე წევით –  $P^I$  და თანაბრადგანაწილებული ტემპერატურა –  $T_0$ , მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

$$\frac{E_c \cdot U_c}{(1 + \gamma_c) \cdot r} = E_c \cdot \alpha_c \cdot T_0 - \frac{P^I}{\frac{t}{r_1} \left( 2 - \frac{t}{r_1} \right)} \left[ 1 - 2\gamma_c + \frac{(r_1 - t)^2}{r^2} \right] - \frac{E_c \cdot \gamma_c}{(1 + \gamma_c)} - \frac{E_c \cdot \gamma_c}{(1 + \gamma_c)} \cdot \varepsilon_z; \quad (3)$$

$$\sigma_r = \frac{P^I}{\frac{t}{r_1} \left( 2 - \frac{t}{r_1} \right)} \left[ 1 - \left( \frac{r_1 - t}{r} \right)^2 \right];$$

$$\sigma_\theta = \frac{P^I}{\frac{t}{r_1} \left( 2 - \frac{t}{r_1} \right)} \left[ 1 + \left( \frac{r_1 - t}{r} \right)^2 \right]; \quad (4)$$

$$\sigma_z = E_c \cdot \varepsilon_z - E_c \cdot \alpha_c \cdot T_0 - \frac{2\gamma \cdot P^I}{\frac{t}{r_1} \left( 2 - \frac{t}{r_1} \right)};$$

აქ  $r$ -ი იცვლება შემდეგ საზღვრებში  $1 - \frac{t}{r_1} \leq \frac{r}{r_1} \leq 1$

როცა  $r$  მიისწოდება  $r_1$ -კენ, ამასთან  $\left(\frac{t}{r_1}\right) \ll 1$ , (3)-ის ამონასსნი მარტივდება და დებულობს შემდეგ სახეს

$$\frac{E_c \cdot U_c}{r_1 \cdot (1 + \gamma_c)} = E_c \cdot \alpha_c \cdot T_0 - P^I \cdot \frac{r_1}{t} \cdot (1 - \gamma_c) - \frac{E_c \cdot \gamma_c \cdot \varepsilon_z}{(1 + \gamma_c)}; \quad (5)$$

$$\sigma_r = 0; \quad \sigma_\theta = -P^I \cdot \frac{r_1}{t}; \quad \sigma_z = E_c \cdot \varepsilon_z - E_c \cdot \alpha_c \cdot T_0 - \gamma_c \cdot P^I \cdot \frac{r_1}{t}$$

ფორმულებში (1) და (5) ორი უცნობი სიდიდეა  $P^I$  და  $\varepsilon_z$ . მათი გამორკვევა შეიძლება შემდეგი პირობებიდან:

1) კონტაქტის ზედაპირზე  $r = r_1$  რადიალური გადაადგილების უწყვეტობის პირობა.

2) ძალების წონასწორობის პირობა დერძის მიმართულებით.

პირველი პირობიდან მივიღებთ

$$(1 + \gamma_c)[\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s] + [\gamma_c - \gamma_a]\alpha_a \cdot T_s \\ = (\gamma_c - \gamma_a)\varepsilon_z \\ - 2P_0 \frac{(1 + \gamma_a)^2 r_2^2}{E_a(r_2^2 - r_1^2)} + P^I \left[ \frac{(1 + \gamma_a) \cdot \left( 1 - 2\gamma_a + \frac{r_2^2}{r_1^2} \right)}{E_a \left( \frac{r_2^2}{r_1^2} - 1 \right)} + \frac{1 - \gamma_c^2}{E_c} \cdot \frac{r_1}{t} \right] \quad (6)$$

თხელი ფენისათვის, რადგან  $\left(\frac{t}{r_1}\right) \ll 1$  ფორმულა გამარტივდება და მივიღებთ

$$(1 + \gamma_c)[\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s] + [\gamma_c - \gamma_a]\alpha_a \cdot T_s \\ = (\gamma_c - \gamma_a) + P^I \frac{1 - \gamma_c^2}{E_c} \cdot \frac{r_1}{t} - \frac{2P_0(1 - \gamma_a^2)}{E_a \left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right)} \quad (7)$$

მეორე პირობიდან გვექნება

$$\int_{r_1-t}^{r_1} \sigma_z r dr + \int_{r_1}^{r_2} \sigma_z r dr = -\frac{P_0 \cdot r_2^2}{2} \quad (8)$$

გამოვიყენოთ (1) და (5) საიდანაც აღებული  $\sigma_z$  შევიტანოთ ამ გამოსახულებაში და მივიღეთ

$$E_c \cdot \frac{t}{r_1} [\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s] + \alpha_a \cdot T_s \left[ \frac{E_c \cdot t}{r_1} + \frac{E_a}{2} \left( \frac{r_2^2}{r_1^2} - 1 \right) \right] = P^I (\gamma_a - \gamma_c) + E_a \left[ E_c \cdot \frac{r_1}{t} + \frac{E_a}{2} \left( \frac{r_2^2}{r_1^2} - 1 \right) \right] + P_0 \frac{r_2^2}{2r_1^2} (1 - 2\gamma_a) \quad (9)$$

(7)-დან და (9) - დან  $E_z$ -ის განსაზღვრის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ  $\frac{r}{r_1} \ll 1$  მივიღებთ რადგან  $\varepsilon_z$  - ცნობილია (6)-ის გამოყენებით გამოვთვლით  $P^I$ -ს

$$\begin{aligned} P^I & \left[ 1 + \frac{(1 + \gamma_a) E_c}{(1 - \gamma_c^2) E_a} \cdot \frac{\frac{r_2^2}{r_1^2} + 1 - 2\gamma_a}{\frac{r_2^2}{r_1^2} - 1} \cdot \frac{t}{r_1} \right] \\ & - \frac{(\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s) \cdot \frac{E_c \cdot t}{r_1}}{(1 - \gamma_c)} \cdot \left[ 1 - \frac{(\gamma_c - \gamma_a) \cdot (1 - \gamma_c) \cdot (1 - \gamma_c) \cdot 2t}{(1 + \gamma_c) \cdot (1 - \gamma_c) \cdot E_a \cdot \left( \frac{r_2^2}{r_1^2} - 1 \right) \cdot r_1} \right] \\ & + \frac{P_0 \cdot E_c \cdot t}{r_1 \cdot (1 - \gamma_c^2)} \left\{ \frac{\gamma_c - \gamma_a - 2\gamma_c\gamma_a + 2}{E_a \cdot \left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right)} - \frac{2E_c(\gamma_a - \gamma_c)^2(1 - \gamma_a^2)}{E_a^2 \left( \frac{r_2^2}{r_1^2} - 1 \right) \left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right) (1 - \gamma_c^2)} \right. \\ & \left. - \frac{t}{r_1} \right\} \quad (11) \end{aligned}$$

შიდა ცილინდრისათვის, რომლის სისქე  $\frac{t}{r_1} \ll 1$  მივიღებთ

$$P^I = \frac{E_c}{(1 - \gamma_c)} [\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s] + P_0 \left[ \frac{(\gamma_c - \gamma_a - 2\gamma_c\gamma_a + 2) \cdot E_c \cdot t}{\left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right) (1 - \gamma_c^2) \cdot E_a \cdot r_1} \right] \quad (12)$$

იმ შემთხვევაში, როცა  $\gamma_a = \gamma_c$

$$P^I = \frac{E_c}{(1 - \gamma_c)} [\alpha_c \cdot T_0 - \alpha_a \cdot T_s] \cdot \frac{t}{r_1} + \frac{2P_0 E_c}{E_a \cdot \left( 1 - \frac{r_1^2}{r_2^2} \right)} \cdot \frac{t}{r_1} \quad (13)$$

მიღებული ფორმულები გვაძლევს ძაბვების გამოთვლის საშუალებას როგორც შიდა, ასევე გარე ცილინდრის კვეთებში.

### 3. დასპენა

$\left( \frac{t}{r_1} \right) \ll 1 \quad \left( 1 - \frac{t}{r_1} \leq \frac{r}{r_1} \leq 1 \right)$  სისქეს ცილინდრისათვის განსაზღვრულია შიდა ფენის წნევისა და დეფორმაციის სიდიდეები საკონტაქტო ზედაპირზე ( $r = r_1$ ), რადიალური გადაადგილებების უწყვეტობისა და წონასწორობის პირობებიდან, როდესაც  $r \rightarrow r_1$ .

მიღებული ფორმულები განსახილველ ინტერვალში გვაძლევენ დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის სრულად შესწავლის საშუალებას, როგორც დრეკად ისე დრეკად-პლასტიკურ სტადიაში.

### ლიტერატურა

1. Боли Б. и Уэйнер Дж. “Теория температурных напряжений” Издательство “Мир” 1965 г.
2. о. ბაციკაძე, ბ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე “სქელაედლიანი სფერული გარსის არადრეკადი დეფორმაციები მუდმივი ტემპერატურული გრადიენტის პირობებში”. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” № 2(5) 2007 წ. თბილისი.
3. თ. ბაციკაძე, ბ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე “მთელ ზედაპირზე დატვირთული ორთოტროპული ცილინდრის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა” სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” №4 (27) 2012 წ. თბილისი.

საქართველოს საედლეულო ბაზის ბამოყენებით  
აკუსტიკურ-დეკორატიული მასალების ტექნიკობის  
დამუშავება და მათი გამოყენება თანამედროვე

ბინათმენებლობაში

ჯ. სამხარაძე, მ. ჯავახიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** არასასურველი აკუსტიკით გამოწვეული პრობლემები იმდენად  
მავნებელია, რომ სასურველი აკუსტიკის უზრუნველყოფა თანამედროვე  
მსოფლიოს ერთ-ერთი უძნიშვნელოვანების და პრობლემატიური გამოწვევაა.  
სტატიაში განხილულია საქართველოს სანებლეულო ბაზის გამოყენებით  
აკუსტიკურ-დეკორატიული მასალის შექმნა და მიხი გამოყენების  
შესაძლებლობები თანამედროვე ბინათმშენებლობაში. გაანალიზებულია  
შექმნილი მასალის თვისებები და დასაბუთებულია მიხი გამოყენების  
ტექნიკურ-გარნიური მიზანშეწონილობა.

**საკვანძო სიტყვები:** აკუსტიკა, აკუსტიკურ-დეკორატიული მასალები,  
ადგილობრივი მასალები.

## 1. შესავალი

აკუსტიკა არის ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ბგერის ბუნებასა და  
თვისებებს, ბგერით მოვლენებს და სმენადობის პირობებს რაიმე შენობაში. იგი  
ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომლის შესახებ პირველი ისტორიული ცნობები  
ჯერ კიდევ ძველ ბერძენ და რომაელ მეცნიერთა ნაშრომებში გვხვდება.  
სასურველი აკუსტიკური პირობების უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელი  
აუცილებელი მოთხოვნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შენობის გეგმარებასა  
და დიზაინზე, თუმცა ცუდი აკუსტიკის შედეგად გამოწვეული პრობლემები  
იმდენად მასშტაბური და მავნებელია თითოეული ჩვენგანისთვის, რომ ჩვენი  
შენობის დაპროექტებისა და მშენებლობის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია  
გავითვალისწინოთ აკუსტიკის ფაქტორი.

## 2. მირითადი ნაწილი

აკუსტიკურ დეკორატიული მასალების წარმოებისისა და გამოყენების  
ტენდენციების მხრივ თუ შევადარებო საქართველოს და მსოფლიოს  
განვითარებულ ქვეყნებს, აღმოჩნდება რომ საქართველოში ასეთი ტიპის  
მასალების როგორც წარმოებას ასევე გამოყენებასაც ძალიან ნაკლები  
ყურადღება ექცევა, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია მომხარებლის  
ინფორმირებულობის დაბალი დონით იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რაც  
შეიძლება გამოწვეული იქნას არასასურველი აკუსტიკური გარემოს ზემოქმედებით  
და ასევე იმითაც, რომ არ არსებობს სახელწიფოს მიერ რეგულაცია, რომელიც  
სამშენებლო ბაზრის მონაწილეებს დააგადებულებს უზრუნველყონ მინიმალური  
აკუსტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვადასხვა ტიპის და  
ფუნქციონალური მშენებლობების დროს.

განსაკუთრებით გულდასაწყვეტია აღნიშნული, რადან ერთის მხრივ  
საქართველოს ასეთი მასალების საწარმოებლად საქმაოდ კარგი სანებლეულო  
ბაზა გააჩნია და ასევე, ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჩვენ გვყავს იაფი  
მუშახელი, რაც ჯამში აკუსტიკურ დეკორატიული მასალების წარმოების საქმაოდ  
კარგ შესაძლებლობას იძლევა. აკუსტიკურ-დეკორატიული მასალების  
წარმოებისთვის საჭირო საქართველოს სანებლეულო ბაზა ძირითადად  
წარმოდგენილია პერლიტის, ობსიდიანის, თაბაშირის, გაჯის, ბაზალტის ბოჭკოს  
სახით. აკუსტიკურ-დეკორატიული მასალის შესაქმნელად გამოყენებული იქნა  
შემდეგი მასალები: 1) თაბაშირი 2) აფუებული პერლიტი 3) ქაფწარმომქმნელი 4)

პვა 5) ბაზალტის არმირების ბადე ლაბორატორიაში ჩატარებული მრავალი ცდის შედეგად გამოიკვეთა მასალის დამზადებისთვის საჭირო კომპონენტების ყველაზე ეფექტური პროცენტული განაწილება, რომელიც არის მოცემული შემდეგ ცხრილში

აკუსტიკურ-დეკორატიული მასალის მიღებისთვის საჭირო შემადგენელი  
კომპონენტების ოპტიმალური განაწილება ცხრილი 1

მასალის დასახელება	პროცენტული შემცველობა
თაბაშირი	65%
აფუნდული პერლიტი	25%
პვა	4%
ქაფწარმომქნელი	4%
არმირება	2%

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე განისაზღვრა კომპონენტების შერევის პროცესი და მათი თანმიმდევრობა, რასაც მეტად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რამეთუ ხანგრძლივი მორევის პროცესში შესაძლოა დაიშალოს ან დაზიანდეს ჩვენი შემაგვებლის თუ სხვა კომპონენტების სტრუქტურა და ამ ყველაფერმა უარყოფითად იმოქმედოს მიღებული საყალიბე მასალის მახასიათებლებზე. პირველ ეტაპზე ხდება ქაფწარმომქნელისა და წყლის გაზავება, წყლის მასა არის თაბაშირის მასის 50%, ხოლო ქაფწარმომქნელის მოცულობა წარმოადგენს წყლის მასის 4%-ს. პლასტმასის ბოთლში ხდება ამ ორი კომპონენტის შერევა, ხოლო შემდეგ ლითონის ჭურჭელში გადასხმა და აქაფება. ქაფწარმოქნის პროცესი გრძელდება დაახლოებით 1.5-2.0 წუთი, 200 ბრუნი/წამში. მას შემდეგ, რაც მიღებული გვაქვს სასურველი სტრუქტურის ქაფი, ჯერ ხდება პვას დამატება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სხვადასხვა კომპონენტებს შორის შეჭიდულობის გაზრდას და ამავდროულად მასალის სიმტკიცის ზრდას. შემდეგ კი ხდება მცირე ოდენობებით თაბაშირის ფეხნილის დამატება. თაბაშირისა და პვას-მორევის პროცესი მიმდინარეობს დაახლოებით 1 წუთის განმავლობაში და ამის შემდეგ ბოლო ეტაპზე ხდება პერლიტის ეტაპობრივი დამატება და დაბალ ბრუნზე, 30-40 ბრუნი წამში, ხორციელდება მორევის პროცესი, რათა პერლიტის სტრუქტურა არ დაიშალოს. ამ პროცესების შედეგად მიღებულ საყალიბე მასას უკვე აშკარად აღენიშნება ფორმვანი სტრუქტურა, რაც ბევრის შთანთქმის ერთ-ერთი უპირველესი და მნიშვნელოვანი პირობაა.




სურათი 1 ექსპერიმენტის შედეგად მიღებული საყალიბე მასა ექსპერიმენტის შედეგად მიღებული საყალიბე მასის დაყალიბება განხორციელდა  $4*4*16$  სმ  $\times$  ხომის რკინის ყალიბებში. მას შემდეგ რაც გარკვეული ოდენობის საყალიბე მასა ჩაესხმება ყალიბში ხდება წინასწარ დაჭრილი ბაზალტის ბოჭკოს არმირების ჩალაგება. დაყალიბებული ნიმუშები  $+22, +23^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ინახებოდა ოთახის პირობებში 4 დღის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ყალიბების მოხსნა და მათი მოთავსება გამოსაშრობად სპეციალურ გამოსაშრობ ღუმელში  $+60^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 2 საათის განმავლობაში. მოხდა გამომშრალი ნიმუშების აწონვა და მისი საშუალო სიმკვრივის გაზომვა, რამაც შეადგენა 470-480 კგ/მ³. აღნიშნული სიდიდე საკმაოდ კარგი მაჩვენებელია აკუსტიკურ-დეკორატიული მასალისთვის. რომლის

საფუძველზეც შესაძლებელია წინასწარ ითქვას, რომ მასალას აქვს კარგი აკუსტიკური მახასიათებლები. გამომშრალი ნიმუშები გამოცდილი იქნა სიმტკიცის ზღვარის ღუნვაზე, რამაც შეადგენდა 0,9-1,03 მპა.

ბოლო ეტაპზე წარიმართა მიღებული მასალის აკუსტიკური თვისებების განსაზღვრა, რომლის საწყის ეტაპზე იმპედანსის მილის დიამეტრიდან გამომდინარე განხორციელდა მასალის დაყალიბება 9,4 სმ დიამეტრის მქონე ლითონის ყალიბში.

გამოშრობის შემდეგ ნიმუშები გამოცდილი იქნა იმპედანსის მილის მეთოდის მეშვეობით, მილში არსებული მიკროფონი და ხმის წყარო მიერთებულია კომპიუტერთან, საიდანაც ხდებოდა სხვადასხვა სიხშირეებზე ჩაწერილი ხმების მეშვეობით ნიმუშების ბეჭრის შთანთქმის თვისების ტესტირება. როგორც წინასწარ მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა სიხშირეზე სხვადასხვა ტიპის ზედაპირის მიხედვით მიღებული მახასიათებლები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.



სურათი 2 ბეჭრის შთანთქმაზე მასალის ტესტირების შედეგები  
მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს მიერ შექმნილი მასალის ბეჭრის შთანთქმის კოეფიციენტი საშუალო სიხშირეებზე მერყეობს 0,5-0,8 ფარგლებში, რაც თაბაშირის ბაზაზე დამზადებული აკუსტიკური ფილტებისთვის საჭირო კარგი და მისაღები მახასიათებლელია.

მიღებული აკუსტიკურ-დეკორატიული მასალის სახელად, მასში შემავალი ძირითადი კომპონენტების დასახელებებიდან გამომდინარე, შერჩეული იქნა დასახელება Gypertone, ხოლო ფილტების ოპტიმალურ ზომად განსაზღვრული იქნა 300\*300\*20მმ. შექმნილი ფილა შესაძლოა გამოყენებული იქნას შენობის შიდა სივრცეებში როგორც ჭერის, ასევე კედლის მოსაპირკეთებლად.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროექტის დეკორატიული გამოწვევები, განხორციელდა მასალის ზედაპირის დამუშავება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ესენია: 1) ზედაპირის გახეხვა 2) ფერის მიცემა 2) ფაქტურის მიცემა

ზედაპირის გახეხვის მეშვეობით შესაძლებელი გახდა გამოსწორებული იქნას ისეთი ხარვეზები, როგორიც შეიძლება გამოწვეული იყოს მასალის დაყალიბებისა და გამოშრობის პროცესისას. ზედაპირის ხეხვისთვის გამოყენებული იქნა სპეციალური დამამუშავებელი კორუნდის რგოლები და მეტალის დანები.

ფერის მიცემა არის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რადგან მისი მეშვეობით იქმნება მასალის სასურველი იერსახე. ფერი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც შეიძლება ფსიქოლოგიურად შეამციროს ხმაურის ზემოქმედება და მიანიჭოს ადამიანს სისუფთავის შეგრძნება. ფერის მიცემის ორი შემდეგი ძირითადი მეთოდი არსებობს: 1) ნაკეთობის კაზში პიგმენტების დამატებით 2) ზედაპირის შედეგით. ფერის მიცემის პირველი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ნაკეთობის ბეჭრის შთანთქმის კოეფიციენტი ძალიან მცირდება და ფაქტიურად ძალიან

ახლოსაა იმ შემთხვევასთან, როდესაც საერთოდ არ ხდება ფერის მიცემა. რაც შეეხება მეორე მეთოდს, იმის გამო რომ ზედაპირზე საღებავის ფენის დატანისას ხდება ნაკეთობის ზედაპირზე არსებული ფორების შევსება, რომელთა მეშვეობითაც მიღწეულია ხმის ენერგიის სითბურ ენერგიაში გადაყვანა და შეძეგ ჩახშობა, საკმაოდ უარესდება მასალის ბგერის შთანთქმის კოეფიციენტი და სწორედ ამიტომ მიურ უპირატესობა მიენიჭა პირველ მეთოდს. სხვადასხვა ტიპის ყალიბების გამოყენებით, შესაძლებელია რომ მიღებული იქნას გლუვი, ხორკლიანი, პერფორირებული და რელიეფური ფაქტურები, რაც საშუალებას მოგვცემს ერთი მხრივ ამაღლებული იქნას ჩვენი ნაკეთობის ესთეტიკურობა და ასევე გაიზარდოს ნაკეთობის მიერ ბგერის შთანთქმის კოეფიციენტი. ცდების შედეგად დგინდება, რომ ყველაზე კარგ მისაღებ აკუსტიკურ მახასიათებელს ვაღწევთ, თუ გამოყენებული იქნება ნაკეთობის პერფორაცია, რადგან პერფორირებული ზედაპირი ეხმარება ჩვენს ნაკეთობას მოახდინოს ბგერის ენერგიის მარტივი შთანთქმა. ბგერის შთანთქმის კოეფიციენტი კიდევ უფრო იზრდება, თუ ჩვენს ნაკეთობის პერფორირებული ზედაპირის უკან მოვახდენ ბაზალტის ბოჭკოს ბაზაზე დამზადებული ქეჩის დამაგრებას, ამ შემთხვევაში ერთის მხრივ პერფორირებული ზედაპირების მეშვეობით მოხდება ბგერის ენერგიის ჩახშობა და ასევე ქეჩის მეშვეობით, რომელიც საკმაოდ კარგი ბგერის ჩამხშობია და ამავდროულად ეკოლოგიურად სუფთა მასალაა. ჩვენს მიერ შექმნილი აკუსტიკურ-დეკორატიული მასალა შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც ჭერის ასევე კედლების მოსაპირკეთებლად. ჭერზე მონტაჟი ხორციელდება შეძეგი სქემის მიხედვით:

ჭერზე მონტაჟის სქემა

კედლები მონტაჟის სქემა



სურათი 3 ჭერსა და კედლებზე სამონტაჟო სქემები

ჭერზე მონტაჟი ხორციელდება ლითონის პროფილების ბაზაზე, ხოლო კედლებზე თაბაშირის წებოს გუნდების მეშვეობით. როგორც სხვადასხვა ხარისხის ლითონის პროფილები და აქსესუარები ასევე სამონტაჟო წებო, რომლებიც საჭიროა ჩვენს მიერ შექმნილი ფილის სამონტაჟოდ, მრავლად მოიპოვება როგორც საქართველოს ბაზარზე ასევე საზღვარგარეთ და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა შეისყიდოს იგი და მოახდინოს მათ ბაზაზე ჩვენი აკუსტიკურ-დეკორატიული ფილების მონტაჟი. სხვა ფილებისგან განსხვავებით, რომლებიც დამზადებული არიან მაგალითად მინერალური ბამბის ბაზაზე, ჩვენს მიერ დამზადებულ აკუსტიკურ-დეკორატიულ ფილას არ სჭირდება საკუთალური აღჭურვილობის (ხელთათმანები, პირბადეები) გამოყენება მონტაჟისას, რომელიც მემონტაჟებს დაიცავს ალერგიისაგან, დასუსხვისგან და ასე შეძეგ, რაც შეიძლება განვითარდეს მინაბამბის ბაზაზე დამზადებული პროდუქტების მონტაჟისას. იმისათვის, რომ მომხდარიყო ჩვენს მიერ შექმნილი აკუსტიკურ-დეკორატიული ფილის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის გარემონტივება და იმის დაგენა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება ჩვენი ფილები ბაზარზე არსებულ სხვა ანალოგიურ ფილებთან მიმართებაში, უპირველეს ურვლისა მოხდა ჩვენი ფილების დასამზადებლად საჭირო დანახარჯების კალკულაცია და შეძეგ შედარებული იქნა მისი ანალოგიური თვისებების მქონე ფილებთან.

GYPERTONE-ის დასამზადებლად საჭირო მასალების კალკულაცია და სარეალიზაციო ფასის დადგენა 1მ²-ზე						
#	მასალის დასახელება	გაწ.ერთეუ ლი	დანახარჯი პროცენტულ ად	დანახარჯი კილოგრამებ ში	ღირებულება ერთეულზე	სულ ღირებულე ბა
1	თაბამირი	3	65%	6.11	GEL 0.42	GEL 2.59
2	აფუებულ პერლიტი	38	25%	.53	GEL 0.59	GEL 0.91
3	პვა	ლიტრი	4%	0.24	GEL 4.24	GEL 1.04
4	ქაფწარმომქნე ლი	ლიტრი	4%	0.24	GEL 5.51	GEL 1.35
5	არმირება	მ2	2%	1.00	GEL 1.97	GEL 1.97
სულ პირდაპირი ხარჯები						GEL 7.85
კომუნალური ხარჯები 1მ²-ზე						11% GEL 0.86
ხელფასებისა და სხვა ზედნადები დანახარჯები 1მ²-ზე						15% GEL 1.18
დანადგარებისა და სხვა მოწყობილობების დანახარჯები 1მ²-ზე						70% GEL 5.50
გაუთვალისწინებელი ხარჯები 1მ²-ზე						3% GEL 0.24
სულ პროდუქციის თვითღირებულება						GEL 15.62
მოგების ნორმა 1მ²-ზე						12% GEL 1.87
სულ ღირებულება დღგ-ს გარეშე						GEL 17.50
დღგ ( დამატებითი ღირებულების გადასახადი)						18% GEL 3.15
სულ 1მ²-ზე პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (დღგ-სა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის ჩათვლით)						GEL 20.65

როგორც უშუალოდ პროდუქციის მწარმოებლებისგან ასევე საქართველოს  
ბაზარზე არსებული პროდუქციის ღილერებისა და ღისტრიბუტორებისგან მოხდა  
ჩვენი ფილის მსგავსი აკუსტიკური მახასიათებლების მქონე სხვადასხვა  
მწარმოებლების აკუსტიკურ-დეკორატიული ფილების შესყიდვის შესახებ  
კომერციული წინადადებების მიღება და საბაზრო ფასების დადგენა, რომელთა  
შედეგები შეჯამებულია შემდეგ ცხრილში:

მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა აკუსტიკურ-დეკორატიული  
მასალის საბაზრო ფასები ცხრილი 3

მასალის დასახელება	1მ²-ზე ღირებულება
Knauf აკუსტიკური ფილა	30-34 ლარი
Armstrong აკუსტიკური ფილა	39-45 ლარი
VOGL აკუსტიკური ფილა	41-50 ლარი

არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ ჩვენი  
აკუსტიკურ-დეკორატიული ფილა გაცილებით იაფია მის ანალოგებთან  
შედარებით და აქვს იგივე ტიპის აკუსტიკური მახასიათებლები. საბოლოო ჯამში  
ფასთა შორის სოლიდური სხვაობა მეტად პოზიტიურ გაფლენის მოახდენს ჩვენი<sup>1</sup>  
მასალის სამშენებლო ბაზარზე დამკვიდრებისათვის და მისი წარმატებული  
რეალიზაციისათვის.

### 3. დასპპნა

თუ გავითვალისწინებოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს შენობებში კარგი აკუსტიკის  
შექმნა წარმოადგენს პრაქტიკულ აუცილებლობას და მიუხედავად იმისა, რომ  
საქართველოს თანამედროვე სამშენებლო სექტორში ძირითადი აქცენტები ამ  
ეტაპზე არ არის გადატანილი შენობის აკუსტიკაზე, ძალიან მოკლე დროის  
პერიოდში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება და აუცილებლად გაჩნდება

შენობის სასურველი აკუსტიკის მიღების გარდაუგალი მოთხოვნა და აუცილებლობა, რაც პირველ რიგში განპირობებული იქნება ევროპავშირის ქვეყნების სტანდარტებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესით, რაც თავისთვავად კიდევ უფრო უკეთეს პირობებს შექნის ქართული ნედლეულის ბაზაზე დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა აკუსტიკურ-დეკორატიული მასალა “Gypertone”-ის რეალიზაციისა და სამშენებლო სექტორში ფართოდ დამკვიდრებისათვის, რომელიც მისი კარგი მახასიათებლებისა და შედარებით დაბალი ფასის გამო კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ აკუსტიკურ-დეკორატიულ მასალებს.

### ლიტერატურა

1. A. Bies, C. H. Hansen, Engineering Noise Control Theory and Practice, London, New York: Spon Press, 2003, 3<sup>rd</sup> Edition, pp 340-399
2. Daniel R. Raichel, THE SCIENCE AND APPLICATIONS OF ACOUSTICS, New York, Springer, 2006, 2<sup>nd</sup> Edition, pp 243-281
3. Park, J, Measurement of the frame acoustic properties of porous and granular materials. J. Acoust. Soc. Amer. 118, 2005, pp 48-90.
4. Robert B. Newman, Noise Control for Buildings, guidelines for acoustical problem solving, certainTeed, 2013, pp 4-13
5. William W. Seto, Theory and Problems of Acoustics, McGraw-Hill ,1971, pp 139-150
6. Скуянс Ю.Р., Бериныш А., Беткерс Т. Применение пеногипса для декоративно – акустических плит. Тезисы докл. Рига ЛатНИИНТИ, 1985, стр. 95-96.

## მოზაიდური ხელოვნების განვითარების ზოგადი მიმოხილვა თ. ჩუბინიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია მოზაიკური ხელოვნების განვითარების ხაზი, ამ ხელოვნების როლი და დანიშნულება. ზოგადად მიმოხილვება მოზაიკის ტექნოლოგიები და ამ ტექნოლოგიების ცვლილებები ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სტატია მიმოხილავს მხატვრული ხელოვნების სტილისტურ თავისებურებებს პერიოდიზაციის შესაბამისად, ცალკეული ქვეყნების მოზაიკური ხელოვნების ნიმუშების განხილვის მაგალითებზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოზაიკა, ხელოვნება, იატაკი, კულტურა.

### 1. შესავალი

სიტყვა „მოზაიკა“ ლათინურიდან მოდის და დაკავშირებულია სიტყვა „მუზასთან“ – ხელოვნება, რომელიც მიძღვნილია შთაგონების ქალღმერთებისადმი.

მოზაიკური ხელოვნებით იქმნებოდა და იქმნება დეკორატიულ – სახვითი და მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც სახვითი ხელოვნების სხვა ქანრებთან ერთად არქიტექტურის განუყოფელ ნაწილად იქცა.


### 2. მიზიდვის ნაწილი

მოზაიკური ხელოვნების მრავალი ტექნოლოგია არსებობს, რომლებიც დროის განმავლობაში იცვლება. მოზაიკა იკვრება პატარა კენჭებისაგან, სმალტისაგან, ნიუარებისაგან, კერამიკული ფილებისაგან, რომლებსაც უბრალო ოთხეუთხედი ან რთული გეომეტრიული ფორმა აქვთ. ამას გარდა არსებობს მოზაიკის შერჩევის ორი ხერხი „პირდაპირი“ - რომლის დროსაც ნაწილები მაგრდება წინასწარ გამზადებულ გამაგრებულ მასაზე, რომელზედაც ნახატია დატანილი და „შებრუნებული“ როდესაც ნაწილები ეწევება სახიანი მხრიდან ნახატზე, შემდეგ ეს წყობა ზურგის მხრიდან იფარება გასამაგრებელი ხსნარით, ეცლება დროებითი ქვედა საფუძველი და მიღებული ბლოკი მაგრდება პირდაპირ კედელზე ან ჭერზე.

იატაკის მოზაიკას უკეთდებოდა რთული მრავალი, ფენიანი საფუძველი, ჯერ იქმნებოდა მსხვილი ფენის ე.წ. ბალიში, რაზედაც მაგრდებოდა ფიცრების საფარი, გვერდები მაგრდებოდა ლურსმნებით რომ არ ემორავათ და არ მიედოთ დეფორმაცია. ფიცრებზე აფენდნენ თივას რომ გაჯს არ დაესველებინა, შემდეგ ისევ აწყობდნენ მომცრო ზომის ქვებს და ასხავდნენ ხერხითა და სილით გაჯერებულ ხსნარს, რომელსაც კარგად ტკებდნიდნენ. ასეთი საფუძველი ძირითადად დია ცის ქვეშ გამოიყენებოდა. გარეგანი ზემოქმედებისაგან დასაცავად გრუნტს ამუშავებდნენ ხის ზეთით.

მოზაიკის ისტორია იწყება ჩვ. წ. ად-მდე II საუკუნის II ნახევრიდან, მესოპოტამიის ქალაქებიდან. ამ დროის ტექნოლოგია განსხვავებული შემდგომისაგან.

თავდაპირველად 8-10 სანტიმეტრიანი კონუსისებური ფორმის ჩეირები ეწყობოდა ხსნარზე და იღებებოდა თეთრად, შავად ან წითლად. გამოიყენებოდა გეომეტრიული ფიგურები, რომბი, სამკუთხედი. ასეთი მოზაიკებით ამკობდნენ ნაგებობის კედლებსა და კოლონებს (სურ. 1).




სურ.1



სურ.2

დაახლოებით ამ პერიოდისაა ინკრუსტაციის ტექნიკაც - გამოყენებულია სმალტა, პერლამუტრი, ნიჟარა, წითელი თიხა - ასეთი ტექნიკითაა შესრულებული ქ.წ. „შტანდარტი ურიდან“ - 2600-2400 წ.წ. ჩვ.წ. აღ-მდე, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. ეს არის ორი ერთმანეთთან ცილინდრულა შეერთებული სწორკუთხა ხის პლასტი 55X22.5 სმ. ორივე პლასტზე ლაბზურიტის ფონზე ფრიზისებურად სამ იარუსად ლაგდებიან ფიგურები. გადმოცემულია ომის სცენები - დამარცხებული ტყვეების წარდგენა მეფისათვის და გამარჯვებულების პროცესია. ფიგურები სტატიურია, მაგრამ ძალიან ცხოველხატული და საინტერესოდ ფერადოვანი (სურ. 2).

ჩვ.წ. აღ-მდე I საუკუნით ოარიდდება ანტიკური მოზაიკები, რომლებიც აღმოჩენილია კორონდოში, ესენი ადამინების, ცხოველებისა და მითოლოგიური არსებების კონტურული გამოსახულებები, რომლებიც შემკულია მცენარეული ორნამენტებით ძირითადად შავ ფონზე ოეთრით და სტილისტურად ძალიან უახლოვდება ანტიკური ლარნაკების წითელფიგურიან ფერწერას. ანტიკური ხანის მოზაიკებს აკრავდნენ „პირდაპირი“ მეთოდით, შემდეგ ზედაპირს აშალაშინებდნენ და მიიღებოდა კარგად ცნობილი ანტიკური მოზაიკის სწორი მბზინავი ზედაპირი. ანტიკური მოზაიკის აყვავების პერიოდია ელინიზმის ეპოქა, ამ დროს უკვე გამოიყენებოდა ფერადი მინა, რაც ფერადოვანი გამის უსაზღვრო მრავალფეროვნების საშუალებას იძლეოდა და ჩნდებოდა ცხოველხატული, ფერწერასთან მიახლოებული რეალისტური გამოსახულებები (სურ. N3, N4).




სურ. 3



სურ. 4

მოზაიკური ხელოვნების პრეფერაცია ნიმუშებია პომპეის მოზაიკები. ისინი ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნით თარიღდებიან. უმეტესი მათგანი ნეაპოლის ნაციონალ არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული.



სურ. 5



სურ. 6

მოზაიკური პანოები და იატაკის საფარველები მხატვრული სტილისტიკითა და სიუჟეტებით სათავეს უდებენ არამარტო მოზაიკის არამედ საერთოდ ხელოვნების განვითარებას. თითქმის ყველა ხელოვნების მიმდინარეობა იყრის თავს პომპეის მოზაიკებში - სიმბოლიზმი, რეალიზმი, პრივიტივიზმი და ა.შ. გასაოცარია ფერთა გამა და თვით მოზაიკური ელემენტები, რომლებიც ხშირად რადგენიმე მილიმეტრია.

პომპეის მოზაიკებიდან ყველაზე ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლის თემები (სურ. 5). გასაოცარია ამ მოზაიკების ფიგურების დინამიზმი, ემოციურობა, ექსპრესია. კომპოზიციები მრავალფეროვანი და ამავე დროს შეკრული და ერთიანია. პომპეის მოზაიკებიდან ძალიან საინტერესოა ცხოველთა სერია - ლეოპარდი, ძაღლის რამდენიმე გამოსახულება. ამ მოზაიკებში კარგად შეიმჩნევა რომაული მოზაიკების ერთერთი ტიპიური ხერხი - ფიგურის კონტური ხასგასმულია არამარტო ფერადი ქვებით, არამედ თვით ქვების ფორმით, ქვათა წყობით, ძალიან კარგად გადმოიცემა მოცულობა და ჩრდილები.

ძაღლების გამოსახულებები ხშირად იხმარებოდა სახლების შესასვლელებში, გვხვდება როგორც დეტალურად დამუშავებული ასევე ზოგადიც. გადმოიცემა მათი ხასიათიც, ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ გაავებული (სურ. 6).



სურ. 7



სურ. 8

საოცრად რეალისტური, მოძრავი და დინამიურია ყოფითი კომპოზიციები მუსიკოსების სცენით (სურ. 7). ფერწერასთან გათანაბრებული უხვი დრაპირება, მეტყველი სახეები, ბუნებრივი მოძრაობები, შუქრდილი, ღია და მუქი ნაწილაკების მონაცემებით სრულდება. კოლორიტი მოოქროსფრო-მოწითალოა და თითქოსდა მზითაა განათებული. ასეთივე ბუნებრიობით თითქმის ნატურალისტურობამდეა მისული ფრინველებისა და თევზების გამოსახულებებიანი მოზაიკები. ფრინველის ბუმბული, თევზების თითოეული

დეტალი მოზაიკისათვის დაუჯერებელი სიზუსტით გამოისახება, ხატოვანი ფერადოვანი გამით, შუქ-ჩრდილით, დენდი, ლამაზი მოძრაობებით (სურ. 8). ეს კომპოზიციები შემდგომში თითქოსდა მეორდება ეკროპულ შეატვრობაში. (სხეიდერსი) პომპეის მაცხოველებლები დიდ ფურადლებას უთმობდნენ თავიანთ საცხოვრებლებს, მდიდარი არისტოკრატების საცხოვრებლების იატაკები გეომეტრიული და ორნამენტული ფერადი მოზაიკებით იფარებოდა, ინტერიერები ირთვებოდა ძალიან მდიდრული და პარმონიულ ფერადოვან გამაში შესრულებული ასევე მოზაიკური ხალიჩისებური პანოებითა და დეკორით სურ. 9. 10). კედლებისთვის ფერადი სმალტა გამოიყენებოდა რაც შედარებით გვიანდულ პერიოდზე მიუთითებს, სმალტის ელემენტები ძალიან პატარებია და ამის გამო ერთის შეხედვით ფერწერის ეფექტს უახლოვდება.



სურ. 9



სურ. 10

პომპეის მოზაიკებით შეიძლება მსჯელობა, თუ რამდენად ფეხგადმული იყო იმ პერიოდში ეს ხელოვნება, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ექსტერიერების ისე ინტერიერების შესამკობად.


ადრებიზანტიური პერიოდის მოზაიკები ტექნოლოგიითა და გამომსახველობით თითქოსდა ეყრდნობოდა ანტიკურს, მაგრამ რა თქმა უნდა გართულებული და გამდიდრებული იყო ახალი, ქრისტიანული მოტივებით. პრინციპული განსხვავება კი იყო ის, რომ თუ ბერძნულ-რომაულ არქიტექტურაში მოზაიკით ირთვებოდა მხელოდ საერო ნაგებობები-სასახლეები, თერმები, საცხოვრებელი სახლები და ატარებდა წმინდა ფუნქციონალურ და ესთეტიკურ დატვირთვას, უკვე ქრისტიანულ პერიოდში მოზაიკური დეკორებით იმკობოდა ბაზილიკები, ტაძრები, სამარხები და ვიზუალური ამოცანები პირველ პლანზე გადმოვიდა.

ბიზანტიურმა ოსტატებმა შეიმუშავეს სმალტის წარმოების ტექნოლოგია. შედარებით ეკონომიური მინა იყო სმალტის საფუძველი, რომელშიც ერეოდა სხვადასხვა მეტალები: ოქრო, სპილენძი, ვერცხლი და შესაძლებელი იყო მიეღოთ რამდენიმე ათეული ტონალობის მასალა, რომელიც ძალიან ადვილად იჭრებოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოზაიკურ ელემენტებად, ძირითადად კი ჭრიდნენ ძალიან წვრილ ერთი ზომის სწორკუთხედებად.

ბიზანტიური მოზაიკები, რომლებიც ჩვენამდე შემორჩა, ძირითადად III- IV საუკუნეებს მიეკუთვნებოდა, ხოლო აღორძინება მოხდა VI-VII საუკუნეებში (ოქროს ხანა) და IX-XIV საუკუნეებში - ხატმებრძოლების შემდეგ.

ბიზანტიური მოზაიკები მონუმენტური და დიდი ზომების იქმნებოდა და ძირითადად ქრისტიანულ სიუჟეტებზე იყო აგებული. ბიზანტიური მოზაიკების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ოქროსფერი ფონი იყო, მოზაიკები ეწყობოდა პირდაპირი წესით, ფერადი სმალტა ოქროსფერ ფონზე როგორც ბუნებრივი განათების, ისე სანთლის განათების დროს ციმციმებდა და თვალისმომჭრელ და

ცოცხალ ეფექტს ქმნიდა, ამას ეხმარებოდა დია და მუქი ფერების გრადაცია დრაპირებებზე შუქ-ჩრდილის ეფექტისთვის. ასევე დამახასიათებელი ბიზანტიური ფრესკებისათვის იყო ფიგურთა კონტურები რომლებიც ერთ რიგად დაწყობილი სმალტის ელემენტებით იქმნებოდა ფიგურთა გარშემო მუქ ზოლად, ხოლო მეორე რიგი ფონის მხრიდან, ასეთი ხაზები მოციმციმე ფონზე კვეთდნენ ფიგურებს.  
ქ. რავენას სან ვიტალეს ბაზილიკა VI საუკუნისაა, ინტერიერის კედლების, ნიშებსა და კამარებს ხალიჩისებურად ფარავს მოზაიკური დეკორი და მრავალრიცხოვანი სცენები ქრისტიანულ თემებზე (სურ. 11,12).



სურ. 11



სურ. 12

ტაძრის მთელი მოზაიკა მრავალფეროვანი და დეკორატიულია, ამავე დროს მონუმენტური. ოქროსფერი სიჭარბით, დეკორით, მოციმციმე პრიალა სმალტით მთელი ინტერიერი პომპეზურ ხასიათს ატარებს. ექსტერიერი აბსოლუტურად განსხვავებულია იგი მკაცრი და სადაა.

ასეთივე პომპეზური და მდიდრულია კონსტანტინეპოლის აია სოფიას ტაძარი. აია-სოფიას ტაძრის პირველი მოზაიკური ციკლი IX საუკუნეში შეიქმნა, აბსიდაში დვოთისშობლის გამოსახულებაა ყრმით ხელში (სურ. 13), რომელიც ტახტრევანზე ზის. ოქროსფერი ფონიდან თითქოს ქანდაკებასავით იძერწებოდა დვოთისშობლის ფიგურა, ამ ეფექტის მუქი ტანსაცმელი და კონტური ქმნის. ძალიან წვრილი მოზაიკური წყობით მძიმე დრაპირება დეკორატიულად ეშვება და პომპეზური ხასიათის შექმნას უწყობს ხელს. ამავე დროს ამ მონუმენტურ, პომპეზურ ხასიათს მიწიერსა და ბუნებრივს ხდის მარიამის სახის რბილი, ქალური ოვალი, სწორი ფორმები, მომდიმარი გამოხედვა. ტახტრევანი გეომეტრიული დეკორით იმკობა.




სურ. 13


აია-სოფიას ტაძრის მოზაიკები ბიზანტიური ხელოვნების განვითარების სხვადსახვა ეტაპს ასახავს, რადგან სრულდებოდა IX საუკუნის შუა წლებიდან X საუკუნის ბოლომდე ეტაპობრივად.

ბიზანტიური მოზაიკის ხერხები-სმალტა, ოქროსფერი ფონი, მოზაიკური ელემენტების უსწორმასწორო ზედაპირი, მკვეთრი კონტურები როგორც ფიგურებზე ასევე ფონზე - გამოიყენება როგორც შემდგომ შუასაუკუნეებში, ასევე თანამედროვე მოზაიკურ ხელოვნებაში. “Pietza Duza” - რაც იტალიურიდან თარგმანით „იმიტირებულ ქვას“ ნიშნავს.

XVI საუკუნიდან ჩნდება ე.წ. „ფლორენციული მოზაიკა“ - ამ დროისთვის სიახლე იყო ერთის მხრივ ის, რომ გაპრიალებული, ფერადი ქვების ინკრუსტაციები უკვე ხის ავეჯის მოსაპირკეთებლადაც გამოიყენებოდა და მეორეს მხრივ უნდა გადმოცემულიყო რეალიზმის მხატვრული პრინციპები. ფერწერული ტილოების ქვაში გადმოცემა ახალ ტექნოლოგიებს ითხოვდა.



სურ. 14



სურ. 15

1580 წელს ფლორენციაში, უფიციში მედიჩების ოჯახმა დაარსა მოზაიკის სახელოსნო. გამოიყენებოდა სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრადმჭირფასი ქვები - მარმარილო, იაშმა, ლაზურიტი, აქატი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, სერდოლიკი, მალაქიტი, ქალცედონი და სხვა, რომლებიც იჭრებოდა თხელ ფირფიტებად და თითქმის ღარების გარეშე იკვრებოდა გაპრიალებული ზედაპირით. ასეთი წყობით და სხვადასხვა ფერთა გრადაციით თითქმის ფერწერული ეფექტი იქმნებოდა (ნახ. 14,15). რაც უფრო მეტი სხვადასხვა ხარისხის ქვა გამოიყენებოდა, რომლებსა თავიანთი ინდივიდუალური ფაქტურა, ჟღერადობა, ნახატი აქვთ, მით უფრო რთული იყო მათი ისეთი წყობა, რომ მიღებულიყო ერთიანი სიბრტყე, დარების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური მარმარილო შედარებით რბილია დასამუშავებლად, მთელი ტექნოლოგია ძალზე რთული და შრომატევადი იყო და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა.

XIII-XIV საუკუნეებიდან ვრცელდება მაიოლიკის მოზაიკა ისლამურ ქვეყნებში. შეკავენის ქვეყნებში შექმნილი მოზაიკებიდან ყველაზე საინტერესოა XIV-XV საუკუნეების სამარყანდისა და ბუხარის ტაძართა მოზაიკები სურ. 16).



სურ. 16



სურ. 17


რესეტში სმალტის მოზაიკის ტექნიკა მ.ვ. ლომონოსოვმა ააღორძინა მე-18 საუკუნეში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ბატალიური კომპოზიციები და

დაზგური პორტრეტები (სურ. 17), 1864 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შეიქმნა განკუთხილება, სადაც მზადდებოდა მოზაიკები „ისაკის ტაძრის“ მოსაპირკეთებლად.

მოზაიკური ხელოვნება საქართველოშიც გავრცელდა. გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში I საუკუნის მე-2 ნახევრის მოზაიკებია აღმოჩენილი. აბანოს ნაშთების ცენტრალურ მონაკვეთში დიდ ტერიტორიაზე მოვარდისფრო და მუქი ფერის ქვების მონაცვლეობით ჭადრაკული და რომბირებული გეომეტრიული ორნამენტები უკვე საქართველოში ამ ხელოვნების არსებობაზე მეტყველებს. მოზაიკით იყო შემკული ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკის იატაკი, თვით მოზაიკა VI საუკუნით თარიღდება (სურ. 18). როგორც აღმოჩნდა მოზაიკა ამ ტაძარს არ ეპუთვნოდა, არამედ უფრო ძველს და მასზე აიგო ახალი. მოზაიკა შესრულებულია ფერადი ქვის თეთრი, შინდისფერი, ყვითელი და შავი ოთხეუთხა ნატეხებით, სუფთად დაფქული აგურისა და კირის ხსნარზე. იატაკი დაყოფილი იყო სხვადასახვა ზომის სექტორებად რომლებიც ორნამენტული ჩარჩოებით იფარგლებოდნენ. შესრულების მანერა თავისუფალია და ძალიან მიახლოებული ელინისტურ ტრადიციებთან. ამასთან შერწყმულია ადგილობრივი ორნამენტული ტრადიციებიც (ნახ. 19).



სურ. 18



სურ. 19

საქართველოში მოზაიკური ხელოვნების განვითარებაზე მსჯელობა ძალიან ძნელია, იმდენად, რამდენადაც მასალა ძალზე ცოტაა და ქრონოლოგიას მოკლებული.

შეა საუკუნეების მოზაიკურ ხელოვნებას განეკუთვნება წნორის VII საუკუნის ეკლესიის მოზაიკა, რომელიც საკურთხევლის კონქს ფარავდა, დღეისათვის უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. მოზაიკური მხატვრობის ნიმუში შემორჩენილი იყო აგრეთვე მცხეთის ჯვრის ტაძრის საკურთხევლის აბსიდის კონქში.

ქართველი მოზაიკისტების ბრწყინვალე ოსტატობისა და მაღალმხატვრულობაზე ლაპარაკობს მოზაიკური მხატვრობა გელათის ტაძრის აბსიდის კონქში, რომელიც 1125-1130 წლებით თარიღდება (სურ. 20).



სურ. 20

მოზაიკაზე, რომელიც ტაძრის აბსიდის კონქზეა, გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მათ წინ მდგომი მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი. ფონი მთლიანად ოქროსფერია, რომელზეც მკვეთრად გამოიკვეთება სცენის ყველა ფიგურა, განსაკუთრებით კი ღვთისმშობელი თავისი ლურჯი მოსახვამით, რაც მძიმე დრაპირებით ეშვება და მკვეთრი კონტურის გამო თითქოსდა სკულპტურულად წარმოგვიდგენს ფიგურას. ასევე ზედმიწევნით ისახება მთავარანგელოზთა პლასტიკა და ხასიათი, მოზაიკური წყობა იმდენად მჭიდროა, რომ აბსოლუტური ფერწერულობის შთაბეჭდილება იქმნება.

მოზაიკურმა ხელოვნებამ თანდათანობით განვითარება პპოვა და ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სახვითი ხელოვნების დარგებს შორის.

თანამედროვე მოზაიკურ მხატვრობაში ჭარბობს დიდი კომპოზიციები, რომლებიც აგებულია ლოკალურ, ფერადოვან გამებზე. ასეთ კომპოზიციებს ქმნიან გაუდი (სურ. 21), რენატო გუტუხო, ფ. ლეჟე დ. რივერა (სურ. 23) და ა. სიკეიროსი (სურ. 22). თანამედროვე მოზაიკის აღმავლობა, 1930 წლებიდან შეიმჩნევა ჩვენს ქვეყანაში. ეს გამოწვეულია ხელოვნებათა სინთეზის ახალი მოთხოვნილებებით., მასალის, ტექნიკის საშუალებებით. მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების ეს დარგი სულ უფრო და უფრო მეტად მკვიდრდება.



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

1954 წელს არქიტექტორ პ. თოფურიძემ მოსკოვში, მიღწევათა გამოფენაზე ააგო შადრევანი „ქვის ყვავილი“ (სურ. 24), რაც საბჭოეთის სიმდიდრის ერთგვარ სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო ამ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ვიზუალური ეფექტი იქმნებოდა შადრევნის ცენტრალური ნაწილის მოზაიკური საფარველით.



სურ. 24



სურ. 25

აღსანიშნავია მოზაიკური პანოები „ბოროდინოს პანორამის“ ფასადზე, რომელიც 1962 წელს აიგო, (ავტ. ბ. ტალძერგი). აქ ორი პანო, თითოეული 75 კვ.მ. მოზაიკები ძირითადად ორ ფერშია გადაწყვეტილი - წითელი და ნაცრისფერი, ამ ტონალობების გრადაცია, რომელიც საკმაოდ მკვეთრია, ქმნის არა ფერწერულ ეფექტს, არამედ გრაფიკულს, ხოლო შედარებით სტატიური ფიგურები მონუმენტურობას აძლევენ პანოს. ასეთი გამომსახველობა დამახასიათებელი გახდა იმ პერიოდისათვის.

XX საუკუნის მოზაიკური ხელოვნების კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მაგალითია კლასიკური ბალეტის მოცეკვავის რუდოლფ ნურიევის საფლავი პარიზთან ახლოს (სურ. 25).

ეს არის ერთ-ერთი აღმოსავლური ხალიჩის ზუსტი იმიტირება, რომლებსაც აგროვებდა მოცეკვავე ავტორი მისი მეგობარი და პარიზის იმპერიის წამყვანი მხატვარი ენტო ფრიჯერო.

ქსოვილის ტექსტურის გამომსახვისათვის გამოყენებულია მოზაიკა, იგი შედგენილია ძალიან წვრილი, ძირითადად სწორტუთხა ელემენტებისგან, და იმდენად მჭიდროდაა ჩასმული ერთმანეთთან რომ აბსოლუტურად შეუმჩნეველია დარების არსებობა, ამასთან ერთად ზედაპირი გაუშალაშინებელია, და აბსოლუტური ქსოვილის ილუზიას ტოვებს. ტონალურად თავშეკავებული, ძირითადად ოქროსფერი, ბორდო და ლურჯი მოზაიკური ხალიჩა აღფრთოვანებას იწვევს არა ერთ მნახველში.

მოზაიკური ხელოვნების წამყვან მხატვრად საქართველოში ზურაბ წერეთელი გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ მან გაამრავალფეროვნა მოზაიკური ხელოვნების თემატიკა და დიაპაზონი, შექმნა არა მხოლოდ ცალკეული დეკორატიული პანოები არამედ რამდენიმე არქიტექტურული ანსამბლის მთლიანი დეკორატიული საფარველი.

ბიჭვინთის კომპლექსის მშენებლობა იყო ჩვენს ქვეყანაში პირველი ცდა ასეთი სახის ანსამბლის პროექტირებისა და აგებისათვის.

ყველაზე მეტად, რამაც ხელი შეუწყო წერეთლის მოზაიკებს ბიჭვინთასთან ორგანული შერწყმისა იყო მხატვრული მემკვიდრეობა. ფერადოვან მოზაიკურ პანოებში, რომლებიც ხშირად მრგვალი ფორმის სმალტისგანაა შესრულებული, მხატვარი მიმართავს ძველ ხალხურ-დეკორატიულ მომენტებს, რომლებსაც ახლებურ სახეს ანიჭებს.

მოზაიკური ჩანართებით მთელი კომპლექსის ასეთი გადაწყვეტა ორგანულად ერწყმის გარემომცველ ბუნებას, აერთიანებს მას საერთო გარემოსთან და ამავე დროს აღამაზებს და ფერადოვანი ქლერადობა შეაქვს მთელს კომპლექსში (სურ. 26).



სურ. 26



სურ. 27

ბიჭვინთის მოზაიკების შემდეგ ზ. წერეთელი უკვე თანდათან ანვითარებს თავისი შემოქმედების ძირითად ხაზს, მისი შემდგომი ნამუშევრები უკვე თავისებურ ხასიათსა და ელფერს იძენდნენ იმისდა შესაბამისად, თუ სად და რა დანიშნულებისთვის სრულდებოდნენ. საინტერესოა თბილისში პროპრავშირების სასახლის მოზაიკური პანო.

ასევე თბილისში, გამარჯვების პარკის აუზისთვის მხატვარმა შექმნა მოზაიკური ფრიზი, რომელიც ძალზე სადა და ლაკონურია, მაგრამ ზუსტად პასუხობს დანიშნულებას.

სხვა ამოცანებს ისახავს ზ. წერეთელი თბილისში, ავტოსადგურის შენობის ფასადზე მოთავსებული პანოს გადაწყვეტისას. ეს არის რელიეფურად დამუშავებული უსწორმასწორო გარშემოწერილობის მქონე კომპოზიცია, სხვადასხვა დროისა და მარკის ავტომობილების გამოსახულებებით, რომლებიც კვეთენ ერთმანეთს.

ეს მოზაიკის რელიეფური გადაწყვეტა თითქოსდა უჩვეულოა, მაგრამ ძალიან საინტერესო, და მხატვრის შემდგომი ძიების საგნად იქცა, რომელიც პლასტიკური ამოცანებისა და მოზაიკით შედგენილი ფერის დაკავშირების პრობლემას გულისხმობს.

ამოცანები, რომლებიც ზ. წერეთელმა ავტოსადგურის გაფორმებისას დაისახა, ანუ ფერისა და პლასტიკის სინთეზი, უკვე დასრულებული სახით ადლერის საკურორტო კომპლექსის გაფორმებაში გამოვლინდა (სურ. 27).

აუზები, ბავშვთა სათამაშო მოედნები, დასასვენებელი კუთხეები აცოცხლებდნენ ახლადგაშენიანებულ კურორტს სადაც სიმწვანე მოკლებულ ტერიტორიაზე მხოლოდ შიშველი კორპუსები იყო ამოზრდილი.

ზურაბ წერეთლის გარდა მოზაიკურ ხელოვნებაზე მუშაობდნენ სხვა ქართველი მხატვრებიც - მაგ. ნ. იგნატოვმა მოზაიკური ფრიზით შეამკო საცურაო კომპლექსის ფასადი, რ. თორდიაშვილი და ა. ხარებავაშვილი თბილისში მეტროს სადგური „პოლიტექნიკური“.

საქართველოში 2001 წელს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და მხატვარ დავით კავაბაძის ხელმძღვანელობით დაარსდა გალერეა „ფოკანი“. „ფოკანის“ სახელოსნოებში ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ვითარდება მოზაიკური ხელოვნებაც. დავით კაკაბაძემ აბაშის ღვთისმშობლის შობის ტაძარში შექმნა თანამედროვე მოზაიკური პანო, რომელიც გელათის ტაძრის ღვთისმშობლის გამოსახულების ძალიან საინტერესო და მაღალმხატვრული თითქოსდა ერთგვარი განმეორებაა.

ყველა მხატვარი თავისებურად უდგება მოზაიკურ ხელოვნებას, იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიას, გამომსახველობას და ეს ყველაფერი არქიტექტურასთან სინთეზით მნიშვნელოვან ემოციურ გავლენას ახდენს.

XX საუკუნის მოზაიკურ ხელოვნებაში მოხდა მრავალი სტილისა და სკოლის შეცვლა და უკვე ოთითგანვე ხელოვნებაში მიიღო ახალი სახეები.

მონუმენტური ხელოვნების ეს სახე საკმაოდ რთული და მრავალმხრივია, იგი საკმაოდ ძვირადღირებული იყო ყოველთვის, მაგრამ ამავე დროს ძალიან დიდი გამძლეობის მატარებელი. თანამედროვე ტექნოლოგიებით მიღწეულია მოზაიკური ხელოვნებისათვის სხვადასხვა მასალის გამოყენება. ეს არის კვარციტი, მურანოს მინა, ასევე უჯანგავი ფოლადი და ნატურალური ოქროც კი. მოზაიკური პანოდისთვის უკვე გამოიყენება ბამბუკიც და ქოქოსის ქერქიც - მაგრამ ქოქოსი იმდენად მყარი მასალაა, რომ მისი გამოყენება ლაზერული ტექნიკის გარეშე შეუძლებელია.

როგორც ზევით დავინახეთ, მოზაიკური ხელოვნება ხშირად გამოიყენებოდა ფერწერის ალტერნატივად. მოგვიანებით, პუანტელისტებმა ფუნჯის მონასტები წერტილოვანით შეცვალეს და აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთის გვერდით დასმული სხვადასხვა ფერის წერტილები შორიდან სხვა ფერს წარმოქმნიდნენ და მოზაიკის ეფექტს ქმნიდნენ. (ეორჟ სიორა 1886 წ.) მუშაობდნენ პოლ სინიაკი. ჯონ როი, ვან გოგი, კამილ პისარო და სხვა (სურ. 28,29).



სურ. 28



სურ. 29

მოზაიკური ხელოვნება მდიდრდება და პოპულარობით სარგებლობს. ორგანიზაციები - თანამედროვე მოზაიკის ბრიტანული ასოციაცია და ამერიკულ მოზაიკის ხელოვანთა საზოგადოება სულ უფრო ანგითარებენ ამ დარგის ხელოვნებას.

### ლიტერატურა

1. . «», ,
- » . 1996 .
2. ირ. ციციშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისი 1995წ.
3. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“ თბილისი 1961წ.
4. „გელათი - არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები“ თბილისი 1982წ.
5. Швидновский О.А. – Гармония взаимодействия: архитектура и монументальное Искусство» М. Цтрайиздат 1984г.
6. «Всеобщая История Искусств» - Том 1,2,3 (1956-1960, 1962гг).
7. Зураб Церетели, Алпатовские чтения – 2004г.
8. Олег Швидковский – Зураб Церетели – 1985г.
9. Зураб Церетели. Три альбома – 1996г.

## სიახლე სტატიას მეთოდიკაში

### „მშენებლობისა და არქიტექტურის“ მოდულის შესახებ

ნ. თევზაძე, რ. ქლენტი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო 0175 თბილისი,  
კოსტავას 77)

